# საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (2017-2021)

## 2019 წლის

## შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2020 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**მოკლე შეჯამება** ........................................................................................................................ 4
**თავი 2: გარემოსდაცვითი მმართველობა** ................................................................................... 9
ამოცანა 2.1 - პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფასების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება ........................................................ 9
ამოცანა 2.2 გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ................................................................ 21
ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება ........................................................................................................ 26
**თავი 3: წყლის რესურსების მართვა** ............................................................................................ 35
ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა........................................ 35
ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა....................................... 43
ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა....................................................................................................... 48
**თავი 4: ატმოსფერული ჰაერის დაცვა**.......................................................................................... 55
ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება ...................................................................................................................... 55
ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება....... 67
ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა .............................................................. 70
**თავი 5: ნარჩენების მართვა** ........................................................................................................ 73
ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება............................... 73
ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება ...................................................................................................................... 82
ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება ......................................................................................... 87
**თავი 6: ქიმიური ნივთიერებების მართვა**...................................................................................... 91
ამოცანა 6.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესება............................ 91
ამოცანა 6.2 გარკვეული ქიმიური ნივთიერებების, როგორიცაა მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები, ოზონდამშლელი ნივთიერებები, ვერცხლისწყალი და ვერცხლისწლის ნაერთები, ეროვნულ დონეზე მართვის გაუმჯობესება............................................................ 97
ამოცანა 6.3 სახიფათო სამრეწველო ობიექტების შემოწმების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა........................................................................................................................... 105
**თავი 7: ბიომრავალფეროვნების დაცვა**.......................................................................................... 109
ამოცანა 7.1 ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის ხელშეწყობა ............................... 109
ამოცანა 7.2 სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია................. 116
ამოცანა 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება................................................ 123

ამოცანა 7.4 დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება ....................... 130
ამოცანა 7.5 დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ........................................................................................................................ 137
**თავი 8: ტყის მართვა** ........................................................................................ 141
ამოცანა 8.1 საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა ........................................................................................ 141
ამოცანა 8.2 ტყეზე ზეწოლის შემცირება საწვავის ალტერნატიული წყაროების გამოყენების წახალისებითა და ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება ........................................................................................ 149
ამოცანა 8.3 ტყის პოლიტიკის, მართვის და მაკონტროლებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება ........................................................................ 155
ამოცანა 8.4 ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა ........................ 159
ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ........................................................................ 162
**თავი 9: ნიადაგის დაცვა** ........................................................................................ 168
ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა ........................................................................ 168
ამოცანა 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება ........................................................ 177
**თავი 10: კლიმატის ცვლილება** ........................................................................ 179
ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა ................ 179
ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა ........................................ 187
ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება ........................................................ 191
**თავი 11: ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა** ............................................ 195
ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა ................................................ 195
**თავი 12: რადიაციული უსაფრთხოება** ................................................................ 205
ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება ........................................................................................ 205
ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში ........................................................................................................................ 208
ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება ... 211
**თავი 13: მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება** .. 214
ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე ........................................................................................ 214

## მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №1124 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ნაწილს, სადაც ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და გრძელვადიანი, სტრატეგიული მიზნები, 2017-2021 წლებში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს გასაუმჯობესებლად.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა დაყოფილია სექტორული მიმართულებების მიხედვით და მოიცავს 12 თავს:

- ✓ გარემოსდაცვითი მმართველობა
- ✓ წყლის რესურსების მართვა
- ✓ ატმოსფერული ჰაერის დაცვა
- ✓ ნარჩენების მართვა
- ✓ ქიმიური ნივთიერებების მართვა
- ✓ ბიომრავალფეროვნების დაცვა
- ✓ ტყის მართვა
- ✓ ნიადაგის დაცვა
- ✓ კლიმატის ცვლილება
- ✓ ბუნებრივი საფრთეების რისკების მართვა
- ✓ რადიაციული უსაფრთხოება
- ✓ მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება

2019 წელს პროგრამის მიხედვით მიმდინარეობდა ან დაიწყო 154 ქმედების განხორციელება. აღნიშნული ქმდებების უდიდესი ნაწილის განხორციელება ხდებოდა ან არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში და მათზე არ იყო გათვალისწინებული ცალკე ბიუჯეტი, ან ფინანსდებოდა დონორ(ებ)ის მიერ. მთლიანობაში, საანგარიშო პერიოდში ქმედებების განხორციელებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 12,348,482 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების 13% (20 ქმედება) სრულად შესრულდა, 25% (38 ქმედება) უმეტესწილად შესრულდა, 38% (58 ქმედება) ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 24% (37 ქმედება) არ შესრულებულა. შეწყდა 1 ქმედების შესრულება. დანარჩენი ქმედებების შესრულება კი გრძელდება ან მათი შესრულება დაიწყება 2020 წელს.

აღნიშნული მონიტორინგის ანგარიში მოიცავს საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის, 2019 წლის 1 იანვარი - 2019 წლის 31 დეკემბერი პერიოდში, ქმედებების შესრულების მონიტორინგის შესახებ დეტალურ ინფორმაციას.

| თავის დასახელება | ამოცანა | ქმედებების რაოდენობა | დაფინანსების წყარო | 2019 წელს ბიუჯეტის შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 2. გარემოსდაცვითი მმართველობა | 2.1 პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდცვითი შეფასების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | 7 | ბიუჯეტი, დონორები | 44,576 |
| | 2.2. გარემოსდაცვითი მონცემთა მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება | 2 | ბიუჯეტი, დონორები | 237,565 |
| | 2.3 გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | 6 | ბიუჯეტი, დონორები | 4,208,000 |
| 3. წყლის რესურსების მართვა | 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა | 4 | ბიუჯეტი, დონორები | 2,061,492 |
| | 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | 5 | ბიუჯეტი, დონორები | 470,121 |
| 4. ატმოსფერული ჰაერის დაცვა | 4.1. ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | 8 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება | 3 | ბიუჯეტი, დონორები | 267,543 |
| | 4.3 გაფრქვევების სისტემის ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა | 1 | ბიუჯეტი, დონორები | არსებულ საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5. ნარჩენების მართვა | 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანის სისტემის ჩამოყალიბება | 7 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 5.2 ნარჩენების გადმუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება | 4 | ბიუჯეტი, დონორები | 3,041,426 |
| | 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება | 3 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 6. ქიმიური ნივთიერებების მართვა | 6.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესება | 5 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 6.2 გარკვეული ქიმიური ნივთიერებების, როგორიცაა მდგრადი ორგანული დამბინძურებლები, ოზონდამშლელი ნივთიერებები, ვერცხლისწყალი და ვერცხლისწყლის ნაერთები, ეროვნულ დონეზე მართვის გაუმჯობესება | 7 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 6.3 სახიფათო სამრეწველო ობიექტების შემოწმების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 7. ბიომრავალფეროვნე-ბის დაცვა | 7.1 ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის ხელშეწყობა | 5 | ბიუჯეტი, დონორები | 100,000 |
| | 7.2 სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 7.4 დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 7.5 დაცულ ტერიტორიებზე მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 8. ტყის მართვა | 8.1 საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება და ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვა | 7 | ბიუჯეტი, დონორები | 418,400 |
| | 8.2 ტყეზე ზეწოლის შემცირება საწვავის ალტერნტიული წყაროების გამოყენების წახალისებითა და ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება | 5 | ბიუჯეტი, დონორები | 1,266,000 |
| | 8.3 ტყის პოლიტიკის, მართვისა და მაკონტროლებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება | 3 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 8.4 ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | 4 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 9. ნიადაგის დაცვა | 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება | 1 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 10. კლიმატის ცვლილება | 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა | 3 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება | 3 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 11. ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა | 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | 7 | ბიუჯეტი, დონორები | 233,359 |
| 12. რადიაციული უსაფრთხოება | 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებში | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| | 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება | 2 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |
| 13. მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება | 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | 6 | ბიუჯეტი, დონორები | არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში |

# თავი 2: გარემოსდაცვითი მმართველობა

თავი 2 - გარემოსდაცვითი მმართველობა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 18 ქმედებას. აქედან 2019 წელს 15 ქმედების შესრულება მიმდინარეობდა. ამოცანები ორიენტირებულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრირებასა და გარემოსდაცვითი შეფასების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც აუცილებელია გარემოსდაცვითი მონაცემების სრულყოფილი მართვის სისტემის ჩამოყალიბება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ასევე გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემების თანამედროვე სტანდარტებთან მოყვანა.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2019 წელს თავი ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 4,490,141 ლარი.

## ამოცანა 2.1 - პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფასების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 2.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 ქმედება, მათ შორის დაიწყო საქართველოს ეროვნული მოხსენება „გარემოს მდგომარეობა 2014-2017“-ზე მუშაობა, დამტკიცდა „გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ და ითარგმნა ინგლისურ ენაზე, შემუშავდა ,,გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგია (თუმცა მთავრობის ადმინისტრაციით რეკომენდირებულია მისი ინტეგრირება საქართველოს გარემოს დცვის მოქმედებათა მესამე პროგრამაში ან „2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში“), არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის გაიმართა ტრენინგების სერია, 1-მა სტრატეგიულმა დოკუმენტმა გაიარა სკრინინგის, 3-მა კი სკოპინგის პროცედურა, ჩატარდა 2 სასწავლო სემინარი და 19 ტრენინგი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებზე და შემუშავდა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. ამოცანის ყველა ქმედება განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ დამტკიცდა საქართველოს ეროვნული მოხსენება „გარემოს მდგომარეობა 2014-2017“
- ⇒ შემუშავდა მოხსენების ინგლისურენოვანი სამუშაო ვერსია და მიმდინარეობს მისი შესაბამისობაში მოყვანა ქართულენოვან დოკუმენტთან
- ⇒ გაიმართა ტრენინგების სერია - „გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“
- ⇒ წელს ერთმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა გაიარა სკრინინგის პროცედურა - გაიცა ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის” სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების თაობაზე”
- ⇒ სამმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა გაიარა სკოპინგის პროცედურა
- ⇒ გაიმართა სასწავლო სემინარი ,,საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის გაძლიერება UNECE-ის ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის შესაბამისად სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის და სკოპინგის ეტაპები მუნიციპალური სივრცითი მოწყობის გეგმებისთვის”
- ⇒ გაიმართა ,,სასწავლო სემინარი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) გამოყენება მუნიციპალური სივრცითი გეგმებისთვის საქართველოში
- ⇒ ჩატარდა ტრენინგების სერია - „გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“
- ⇒ შემუშავებულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები

2.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 44,576 ლარი

- **ქმედება 2.1.1:** საქართველოს ეროვნული მოხსენების „გარემოს მდგომარეობა 2014-2017“ შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> გარემოს მდგომარეობის შეფასება ქმნის მყარ საფუძველს ეფექტიანი და მიზანმიმართული გარემოსდაცვითი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. „გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით სავალდებულოა 4 წელიწადში ერთხელ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ

მოხსენების შემუშავება, დამტკიცება და გამოქვეყნება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გარემოს მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შემაჯამებელ დოკუმენტს. კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტრო ვალდებულია შეიმუშავოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება 2014-2017 წლებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სტრუქტურის გაუმჯობესების, ამ მხრივ ევროპული გამოცდილების გაზიარებისა და წესის ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ-პოლიტიკურ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავდა „გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მაისის №337 დადგენილებაში ცვლილების

პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 დეკემბრის N592 დადგენილებით.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, სამინისტროს მიერ შემუშავდა 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტი. მოხსენების პროექტი განსახილველად გაეგზავნა ყველა ჩართულ სახელმწიფო უწყებას. მოხსენების პროექტი ასევე განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საიტზე. 2019 წლის 21 ოქტომბერს შედგა მოხსენების პროექტის საჯარო განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამთავრობო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის, აკადემიური სფეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა. მოხსენების პროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამის უწყებებთან კონსულტაციის საფუძველზე, მოხდა აღნიშნული შენიშვნების/წინადადებების დოკუმენტში გათალისწინება, რომლის საფუძველზეც შემუშავდა 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის საბოლოო ვერსია.

მოხსენება დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

2019 წლის 30 დეკემბრის N 2-1294 ბრძანებით. GIZ-ის მხარდაჭერით შემუშავდა მოხსენების ინგლისურენოვანი სამუშაო ვერსია და მიმდინარეობს მისი შესაბამისობაში მოყვანა ქართულენოვან დოკუმენტთან.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედება ითვალისწინებდა გარემოს მდგომარეობის შესახებ 2014-2017 წლების ეროვნული მოხსენების დამტკიცებას. ამასთანავე, მოხსენების თავები უნდა შემუშავებულიყო საერთაშორისო გარემოსდაცვითი ინდიკატორების საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში ქმედება სრულად შესრულდა - დამტკიცდა 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება, რომელიც მოიცავს ინფორმაციასა და მონაცემებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) 30-მდე გარემოსდაცვით ინდიკატორზე.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 150,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 0 ლარი.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.1 საქართველოს ეროვნული მოხსენების „გარემოს მდგომარეობა 2014-2017“ შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული ეროვნული მოხსენება<br>მოხსენების თავები შემუშავებულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ინდიკატორების საფუძველზე | **შესრულებული:**<br>დამტკიცებულია ეროვნული მოხსენება<br>მოხსენების თავების მოიცავს ინფორმაციასა და მონაცემებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) 30-მდე გარემოსდაცვით ინდიკატორზე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 150, 000 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 2.1.3:** ,,გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ 2018-2022 წწ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მიღება და განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია ქვეყანაში მდგრადი განვითარების პროცესების ხელშეწყობა განათლების სექტორში განხორციელებული ცვლილებებით. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს პასუხისმგებლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნება მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი ცოდნა და უნარები. სტრატეგია მოიცავს ფორმალურ, არაფორმალურ და არაოფიციალურ განათლებას, რომელიც უშუალო კავშირშია კონცეფციასთან “განათლება მდგრადი განვითარებისთვის.”

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავებულია სტრატეგიის სამუშაო ვერსია. სტრატეგია არ დამტკიცებულა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაწყებულია იმ ღონისძიებების და პროექტების განხორციელება, რომელიც ასახულია სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში და თანხვედრაშია კონცეფციასთან „განათლება მდგრადი განვითარებისთვის.”

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

2019 წელს ქმედებისათვის განსაზღვრული იყო 62,361 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტისა და მიზნობრივი გრანტის დაფინანსებით). 2019 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 44,576 ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტიდან 24,973.99 ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 19,602.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.3 „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ 2018-2022 წწ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მიღება და განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელებული მოკლევადიანი ქმედებები, მიმდინარე საშუალო და გრძელვადიანი ქმედებები | **შესრულებული:**<br><br>შემუშავებულია სტრატეგიის სამუშაო ვერსია და ნაწილობრივ დაწყებულია შესრულება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 23,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 44,576 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.1.5:** გზშ-ს პროცესში ჩართული შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განისაზღვრა საქმიანობების ახალი ჩამონათვალი. გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ხარისხის გათვალისწინებით, საქმიანობები დაჯგუფდა ორ დანართში. პირველ დანართში მითითებული საქმიანობები ექვემდებარება გზშ-ს, რაც შეეხება მეორე დანართში მითითებულ საქმიანობებს, მათთვის თავდაპირველად გათვალისწინებულია სკრინინგის პროცედურის ჩატარება, რომლის საფუძველზეც დადგინდება ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გზშ-ს. ასევე, გაიყო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ეტაპი - ორ ეტაპად, საზოგადოების

ინფორმირებისა და მონაწილეობის ტვირთი საქმიანობის განმახორციელებლიდან გადავიდა - სამინისტროზე. კოდექსით დანერგილი ახალი პროცედურებისა და რეგულირების საკითხების საფუძველზე, საჭირო გახდა შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით და გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის მონაწილეობით, მუნიციპალიტეტების და სამინისტროების წარმომადგენლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის გაიმართა ტრენინგების სერია - „გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“. ტრენინგების ფარგლებში განხილული იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით” გათვალისწინებული პროცედურები. 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა 19 ტრენინგი. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 475 მონაწილემ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედება სრულად შესრულდა - ყველა დაინტერესებული მხარისთვის შემუშავებულია მეთოდოლოგიები და მათთვის რეგულარულად ტარდება შესაბამის ტრენინგები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.5 გზშ-ს პროცესში ჩართული შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული და ყველა დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი მეთოდოლოგიები<br>დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა<br>გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული ახალი საქმიანობების რაოდენობა (%) | **შესრულებული:**<br>მეთოდოლოგიები შემუშავებულია<br><br>2019 წელს ჩატარდა 19 ტრენინგი; სულ - 475 მონაწილე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.1.6:** სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა გულისხმობს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლას, ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესს. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციის ნაწილში ამოქმედდა 2018 წლის 1 ივლისს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სგშ-ის ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის და სტრატეგიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის (მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული განსახორციელებელი საქმიანობის/საქმიანობების

მასშტაბის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ადგილის ცვლილებას (მათ შორის, გაზრდას), საქმიანობის/საქმიანობების სახეობის, ექსპლუატაციის პირობების ან წარმადობის ცვლილებას), რომლებითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობებისთვის შემდეგ სექტორებში: სოფლის მეურნეობა; სატყეო მეურნეობა; თევზჭერა; ენერგეტიკა; მრეწველობა; ტრანსპორტი; ნარჩენების მართვა; წყლის რესურსების მართვა; ელექტრონული კომუნიკაციები; ტურიზმი; დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს ერთმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა გაიარა სკრინინგის პროცედურა - გაიცა ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის" სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარების თაობაზე" მინისტრის 2019 წლის 16 აპრილის №2-329 ბრძანება. ამასთან, სამმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა გაიარა სკოპინგის პროცედურა - გაიცა ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წარმოდგენილ ქალაქ მცხეთის გენერალურ გეგმაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 ოქტომბრის №2-988 ბრძანება, ,,კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" მინისტრის 2019 წლის 25 დეკემბრის №2-1131 ბრძანება, ,,ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის „ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე"

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის №2-1085 ბრძანება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედების შესრულების ინდიკატორად მოიაზრებოდა სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას დაქვემდებარებული პოლიტიკის დოკუმენტების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების რაოდენობა. ვინაიდან სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 ივლისიდან. საანგარიშო პერიოდში, 2019 წელს, სკრინინგის პროცედურა გაიარა ერთმა დოკუმენტმა, ხოლო სკოპინგის პროცედურა სამმა დოკუმენტმა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.6 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შესაბამისი ეროვნული სტრატეგიების, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების რაოდენობა, რომელთაც გავლილი აქვთ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურა | **შესრულებული:**<br>სკრინინგის პროცედურა - კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა<br>სკოპინგის პროცედურა - ქალაქ მცხეთის გენერალური გეგმა; კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა; ქალაქ გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.1.7:** სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში ჩართული შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას ექვემდებარება სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც ცალკეული სექტორებისთვის დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო, ამავე კოდექსის III თავის შესაბამისად და რომელიც განსაზღვრავს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის მახასიათებლებს ან/და მოცულობებს. 2018 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სტრატეგიული დოკუმენტების შეფასებას გარემოსდაცვითი კუთხით, შესაბამისად, საჭირო გახდა შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება ტრენინგების/ვორქშოფების ჩატარების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის 16-17 მაისს გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE), ჩეხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობის საფუძველზე გაიმართა სასწავლო სემინარი ,,საქართველოში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის გაძლიერება UNECE-ის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის შესაბამისად სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის და სკოპინგის ეტაპები მუნიციპალური სივრცითი მოწყობის გეგმებისთვის", რომელსაც დაესწრო როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, ასევე დამგეგმავი ორგანოები (სამინისტროები) და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები - სულ 52 მონაწილე;

2019 წლის 19-20 სექტემბერს ევროპისთვის გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE), ჩეხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლობის საფუძველზე, პროექტის ,,ევროკავშირი გარემოსათვის" (EU4Environment) ფარგლებში გაიმართა ,,სასწავლო სემინარი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) გამოყენება მუნიციპალური სივრცითი გეგმებისთვის საქართველოში: სგშ-ის ანგარიშის მომზადება, ხარისხის კონტროლი სგშ-ში და სგშ-ის საბოლოო რეკომენდაციები" ტრენინგი, რომელსაც დაესწრო როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები, ასევე დამგეგმავი ორგანოები (სამინისტროები) და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები - სულ 40 მონაწილე;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით და გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის მონაწილეობით, მუნიციპალიტეტების და სამინისტროების წარმომადგენლებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისთვის 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა ტრენინგების სერია - „გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები". ტრენინგების ფარგლებში განხილული იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურები. 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში სულ ჩატარდა 19 ტრენინგი. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 475 მონაწილემ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედება ითვალისწინებდა სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართული უწყებებისთვის ტრენინგების ჩატარებას სტრატეგიული გარემოდაცვითი შეფასების შესახებ. ქმედება ნაწილობრივ შესრულდა -საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 21 ტრენინგი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებზე.

2019 წლის 16-17 მაისს და 19-20 სექტემბერს ჩატარებული სასწავლო სემინარები დაფინანსდა დონორის ხარჯით, 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში ჩატარდა ტრენინგების სერია - „გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“ განხორციელდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ბიუჯეტის ფარგლებში.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.7 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში ჩართული შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობათა გაძლიერება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართული უწყებების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ სგშ-ს სკოპინგს, სკრინინგსა და ანგარიშგებას | **შესრულებული:**<br>ჩატარდა 2 სასწავლო სემინარი და 19 ტრენინგი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებზე; სულ - 567 მონაწილე |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.1.8:** ინტეგრირებული ნებართვების სისტემის ინიცირება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ახალი სანებართვო სისტემის ინიცირების საფუძველს წარმოადგენს მსხვილი სამრეწველო ობიექტების რეგულირების თანამედროვე ევროპული მექანიზმის დანერგვა, რომლის მიზანია სამრეწველო საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში, წყალში

და მიწაში ემისიების პრევენცია ან სადაც ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ემისიების შემცირება და კონტროლი, ასევე, ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია.

ინტეგრირებული ნებართვის გაცემის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებული ტექნოლოგიის საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან (BAT) შესაბამისობა და საწარმოში არსებული თითოეული დაბინძურების წყაროსთვის ემისიის ზღვრული მნიშვნელობების დადგენა. ახალი სანებართვო სისტემა გულისხმობს, ასევე, გარემოსდაცვითი რისკების შეფასებაზე დაფუძნებული კონტროლის სისტემის დანერგვას.

ინტეგრირებული სანებართვო სისტემის დანერგვის ვალდებულებას, ითვალისწინებს, ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“) შემუშავებულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები; კანონპროექტი დაგზავნილია უწყებებში განსახილველად;

ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში, ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგები სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლებისთვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედების ინდიკატორები ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავებულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება განხორციელდა დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.8 ინტეგრირებული ნებართვების სისტემის ინიცირება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| შემუშავებული უწყებრივი და საკანონმდებლო საფუძველი ინტეგრირებული ნებართვის გაცემის სისტემისთვის | „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი შემუშავებულია და არ არის მიღებული |
| დაინტერესებული მხარეები, რომელთაც შესწევთ უნარი, გამოიყენონ, მოამზადონ და გასცენ ნებართვები | ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში ინტეგრირებული ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ტრენინგები ჩაუტარდათ სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალ თანამშრომლებს |
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.1.9:** კონცეფციის შემუშავება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის (BAT) შემოღებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქმიანობის განხორციელებისას გამოყენებული ტექნოლოგიისა და ტექნიკის საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკასთან (BAT) შესაბამისობა წარმოადგენს ინტეგრირებული სანებართვო სისტემის საფუძველს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, BAT იმპლემენტაციის ვადა 2026 წელია. შესაბამისად, არსებულ საწარმოებს ეძლევა გარკვეული დრო მოდერნიზებისა და ახალი ტექნიკის დასანერგად, რაც იმპლემენტაციის პროცესის მოქნილი მექანიზმით განხორციელების შესაძლებლობაზე მიუთითებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია BAT დასკვნების ეტაპობრივად ქართულ ენაზე თარგმნა/ შემუშავება/დამტკიცება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის" (EU4Environment) ფარგლებში, სამინისტროს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა სხვადასხვა სამრეწველო სექტორისთვის BAT შესახებ დასკვნების შემუშავება ქართულ ენაზე, ასევე, BAT და მისი დანერგვის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული გამოცდილების თაობაზე ტრენინგების განხორციელება ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის სამრეწველო სექტორისთვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება:**

ქმედების ინდიკატორები არ შესრულებულა - კონცეფციის შემუშავება დამოკიდებულია დონორის დახმარებით საპილოტე პროექტის განხორციელებაზე.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება განხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.1** პოლიტიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი შეფსების, დაგეგმვისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.1.9 კონცეფციის შემუშავება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის (BAT) შემოღებისთვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული კონცეფცია საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიის შემოღებისთვის<br>ქართული BAT მიღებულია და მოხმარებაშია | **შესრულებული:**<br>BAT დასკვნები ქართულ ენაზე მიღებული არ არის |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 2.2 გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 2.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 ქმედება - საქართველოს მასშტაბით დასრულდა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების" სახელმძღვანელოს დანერგვა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის გამართვის მიზნით შემუშავდა შიდა სისტემა - საჯარო პორტალის ძირითადი ბირთვი.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ 1600-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 1963 აღმზრდელი და მეთოდისტი გადამზადდა და უზრუნველყოფილ იქნა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების" სახელმძღვანელოებით
- ⇒ გამოიცა განახლებული სახელძღვანელო (მეორე გამოცემა)
- ⇒ კონკურს „მწვანე ჯილდო"-ში მონაწილეობა მიიღო 120-მა აღმზრდელმა და მეთოდისტმა, ხოლო შერჩეული საუკეთესო ათეულიდან კი გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული
- ⇒ გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული სისტემის შესაქმნელად გაკეთდა ბიზნეს პროცესების ანალიზი
- ⇒ შემუშავდა შიდა სისტემა - საჯარო პორტალის ძირითადი ბირთვი
- ⇒ შემუშავდა გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული პორტალის სტრუქტურის ძირითდი ნაწილი, დეტალურად და ზუსტად განისაზღვრა ფუნქციები

2.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 237,565 ლარი

- ქმედება 2.2.1: გარემოსდაცვითი სწავლების დანერგვა სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამებში ეროვნული მასშტაბით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

<u>ქმედების მიზანი:</u> სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ და 2015 წელს დამტკიცებულ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს გარემოსდაცვითი კომპონენტი დაემატა.

2016 წელს ცენტრის მიერ სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო აღმზრდელთათვის - ,,სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება", რომელიც მოიცავს შემდეგ გარემოსდაცვით თემებს:

- ბიომრავალფეროვნება ჩვენ გარშემო
- წყლისა და ენერგიის დაზოგვა
- ნარჩენების მართვა

სახელმძღვანელოს წარმატებული დანერგვისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს ტრენინგებს საბავშვო ბაღების აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მასშტაბით „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების" სახელმძღვანელოს დანერგვა დაასრულა, საერთო ჯამში 1600-მდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 1963 აღმზრდელი და მეთოდისტი გადაამზადა და უზრუნველყო

სახელმძღვანელოებით. უშუალოდ 2019 წელს გამოიცა განახლებული სახელმძღვანელო (მეორე გამოცემა). ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეების, ასევე აჭარისა და თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 1145-მა წარმომადგენელმა, რომლებსაც გადაეცათ სახელმძღვანელოები დამხმარე მასალასთან ერთად.

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და საბავშვო ბაღის აღმზრდელთა და მეთოდისტთა წახალისების მიზნით 2018 წელს საფუძველი ჩაეყარა კონკურსს „მწვანე ჯილდო“, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ ქალაქ თბილისის ბაღების აღმზრდელები და მეთოდისტები. 2019 წელს „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების“ სახელმძღვანელოს დანერგვის დასრულების შემდეგ კონკურსი მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა. მასში მონაწილეობდა 120 აღმზრდელი და მეთოდისტი, შერჩეული საუკეთესო ათეულიდან კი გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული. კონკურსი ყოველწლიურად მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი კომპონენტის დანერგვას საქართველოს ყველა საბავშვო ბაღში. საანგარიშო პერიოდში ინდიკატორი შესრულდა სრულად.

ქმედების საპროგნოზო ბიუჯეტი NEAP-3-ის მიხედვით განისაზღვრებოდა 115,000 ლარის ოდენობით (მათ შორის საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში 65,000 ლარი. ხოლო საბიუჯეტო რესურსების ზემოთ 50,000 ლარი). 2019 წელს ქმედებისათვის განსაზღვრული იყო 37000 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ 2019 წელს შეადგინა 37,565 ლარი.

| **ამოცანა 2.2** გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.2.1 გარემოსდაცვითი სწავლების დანერგვა სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამებში ეროვნული მასშტაბით |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| დაგეგმილი:<br>გარემოსდაცვითი კომპონენტები ისწავლება საქართველოს ყველა საბავშვო ბაღში | შესრულებული:<br>გარემოსდაცვითი კომპონენტები ისწავლება საქართველოს ყველა საბავშვო ბაღში |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში 65,000 ლარი, ხოლო საბიუჯეტო რესურსების ზემოთ 50,000 ლარი | **ფაქტობრივი**: 37,565 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.2.2:** გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დანერგვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია ერთიანი ელექტრონული გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის სისტემის შექმნა, რომელშიც თავს მოიყრის სხვადასხვა გარემოსდაცვით სექტორში არსებული ბაზების მონაცემები - აღნიშნული სისტემა ყველა დაინტერესებული მხარისთვის გაზრდის გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

"გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში", რომელიც UNDP/GEF- ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა, განთავსებულია 3 მოდული ბიომრავალფეროვნების, გაუდაბნოების და კლიმატის ცვლილების შესახებ. სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით 2019 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი "გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების შესახებ" შემუშავების პროცესში გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის ფუნქციონირებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონული სისტემის შესაქმნელად ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობით გაკეთდა ბიზნეს პროცესების ანალიზი. აღნიშნულზე დაყრდნობით მომზადდა გეგმა და შემუშავდა შიდა სისტემა - საჯარო პორტალის ძირითადი ბირთვი. ამასათანავე, ჩატარდა მის მოხმარებასთან დაკავშირებით ტრენინგი. შემდგომ ეტაპზე, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობითა და მონაწილეობით იდენტიფიცირდა განსათავსებელი ინფორმაცია, შემუშავდა პორტალის სტრუქტურის ძირითდი ნაწილი, დეტალურად და ზუსტად განისაზღვრა ფუნქციები. მიმდინარეობს პორტალის ამოქმედებამდე მიღებული გადაწყვეტილებების ეტაპობრივი განთავსება შიდა სისტემაში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო პორტალის ნაწილზე მუშაობა, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე საზოგადოებისთვის მარტივის და ეფექტური ხელმისაწვდომობა 2020 წელს იქნება უზრუნველყოფილი.

პროგრამაში მითითებული საკითხების გარდა, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველოფის და ერთიანი ელექტრონული სისტემების შექნის მიზნით შემუშავდა ჰაერის ხარისხის პორტალი - air.gov.ge, რომელიც ონლაინ რეჟიმში აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ინფორმაციას საქართველოში არსებული ჰაერის ხარისხის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მონაცემები ინტეგრირებულია და ხელმისაწვდომია ასევე ევროპის გარემოს სააგენტოს (EEA) ჰაერის ხარისხის პორტალზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისიწინებდა გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში ინდიკატორი შესრულდა უმეტესწილად, კერძოდ, მოქმედია ელექტრონული სისტემები, რომელშიც შედის ნარჩენების აღრიცხვა- ანგარიშგების სისტემა, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემის პროექტის ფარგლებში

შექმნილიაბიომრავალფეროვნების მოდული, გაუდაბნოების მოდული დაკლიმატის ცვლილების მოდულები. ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან თანამშრომლობით შექმნილი წყლის ანაგრიშგების ელექტრონული სისტემა ამ ეტაპზე სატესტო რეჟიმში მუშაობს და მისი საშუალებით კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა ელექტრონულად უზრონველყონ წლიური ანგრიშგება. ასევე, წყლის საკითხებზე მიმდინარეობს დამატებითი, ახალი მოდულების შემუშავება, რომელიც დასრულებული იქნება წლის ბოლოს. ამ ეტაპზემდინარეობს გარემოსდაცვითი შეფასების ელეტრონულ სისტემაზე მუშაობა, შექმნილია შიდა სისტემა და წლის ბოლომდე შემუშავდება საჯარო პორტალი. დამატებით, შექმნა და სრულყოფილად ფუნქციონირებს ჰაერის ხარისხის პოტალი - air.gov.ge.

ქმედების საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 1,641,650 ლარის ოდენობით (მათ შორის საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში 655,00 ლარი, ხოლო დონორის დაფინანსებით 986,650

ლარი). 2019 წელს ქმედებისათვის განსაზღვრული იყო 300000 ლარი, ხოლო ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ 2019 წელს შეადგინა 200 000 ლარი.

| ამოცანა 2.2 გარემოსდაცვითი მონაცემების მართვის სისტემის გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.2.2 გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მოქმედი ელექტრონული სისტემა, რომელშიც შედის სულ მცირე შემდეგი მონაცემთა ბაზა:<br><br>1. ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მონაცემთა ბაზა<br>2. სივრცით მონაცემთა სისტემა<br>3. ბიომრავალფეროვნების მოდული<br>4.გაუდაბნოების მოდული<br>5. კლიმატის ცვლილების მოდული<br>6.წყლის ანგარიშგების მონაცემთა ბაზა | **შესრულებული:**<br>1. შემუშავებულია ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული სისტემა<br>2. მიმდინარეობს გარემოსდაცვითი შეფასების ელექტრონულ სისტემაზე მუშაობა, რომლის შიდა ბირთვი დასრულდა 2019 წლის ბოლოს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საჯარო პორტალის ნაწილზე მუშაობა.<br>3. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში შექმნილია ბიომრავალფეროვნების მოდული<br>4. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში შექმნილია გაუდაბნოების მოდული<br>5. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში შექმნილიაკლიმატის ცვლილების მოდული<br>6. შექმნილია წყლის ანგარიშგების ელექტრონული სისტემა. დამატებით შეიქმნილია ჰაერის ხარისხის პორტალი |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო:** საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში 655,00 ლარი, ხოლო დონორის დაფინანსებით 986,650 ლარი | **ფაქტობრივი**: 200 000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 2.3  გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 2.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 6 ქმედების განხორციელება - მათ შორის, ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება, „ბრაკონიერობასთან ბრძოლის სტრატეგიის“ შემუშავება, ნებადართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დასადგენი მეთოდოლოგიის დანერგვა, ლიცენზიების პირობების შესრულების ანგარიშგების ელექტრონული სისტემის გამართვა, სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა და საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღება საზღვაო ტრანსპორტზე. ამოცანის ყველა ქმედება განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონპროექტი - ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაინტერესებული უწყებებიდან მიღებული შენიშვნების განხილვა
- ⇒ მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ზიანი გაანგარიშების მეთოდლოგიის შემუშავება
- ⇒ დამტკიცდა რისკებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგია
- ⇒ შემუშავდა და და დამტკიცდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების შემოწმებათა 2019 წლის გეგმა
- ⇒ მიმდინარეობს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება - გაიზარდა ავტოპარკი, შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის 65 ავტომანქანა და 2 ერთეული ბაგის ტიპის ავტომობილი. განხორციელდა თანამშრომელთა და ეკიპაჟების აღჭურვა
- ⇒ განხორციელდა 400 რეგულირების ობიექტის შემოქმება (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 17%-ით)

⇒ წინა წელთან შედარებით ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი 33%-ით გაიზარდა

2.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 4,208,000 ლარი

- **ქმედება 2.3.1** ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია საქართველოში თანამედროვე, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შესაბამისად გარემოზე ზიანის მიყენების პრევენცია, შერბილება/აღმოფხვრა და აღდგენა „დამბინძურებელი იხდის" პრინციპზე დაყრდნობით განხორციელდება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" შემუშავებულია ჯერ კიდევ 2018 წელს და წარედგინა სამინისტროს შემდგომი მსვლელობისთვის. 2019 წელი - მიმდინარეობს დაინტერესებული უწყებებისგან მიღებული შენიშვნების განხილვა. კანონის მიღების შემდგომ და მის საფუძველზე შემუშავდება ზიანის გაანგარიშების მეთოდოლოგია; მეთოდოლოგიის შემუშავება მიმდინარეობს ევროკავშირის დონორების დახმარებით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ"საქართველოს კანონის მიღებასა და გარემოზე მიყენებული ზარალის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებას. ქმედება არ შესრულდა - ვინაიდან კანონი არ არის მიღებული, ასევე არ არის მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ).

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.3** გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.1 ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: მიღებული საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ და გარემოზე მიყენებული ზარალის გაანგარიშების მეთოდოლოგია | შესრულებული: კანონი არ არის მიღებული |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.3.2** „ბრაკონიერობასთან ბრძოლის სტრატეგიის" შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია ბრაკონიერობასთან ბრძოლის ეფექტიანი, თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბრაკონიერობის ფაქტების პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას, არსებული მექანიზმების დახვეწისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ასევე ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, საზოგადოების ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში ქმედების განხორციელება არ დაწყებულა - სტრატეგიის შემუშავების დაწყება იგეგმებოდა 2018 წელს, რაც არ მოხერხდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ბრაკონიერობასთან ბრძოლის სისტემის ამოქმედებას. საანგარიშო პერიოდში ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედების განხორციელება იგეგმება დონორის დახმარებით.

| **ამოცანა 2.3** გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.2 „ბრაკონიერობასთან ბრძოლის სტრატეგიის" შემუშავება და დამტკიცება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:**<br>მიღებული ბრაკონიერობის იდენტიფიცირების მოქმედი სისტემა | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 2.3.3** მეთოდოლოგიის დანერგვა ნებადართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დასადგენად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია შექმნას სამართლებრივი საფუძველი რეგულირების ობიექტების ინსპექტირების თაობაზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად - კერძოდ, შემუშავდება გარემოსდაცვითი შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულირების ობიექტების შემოწმებათა დაგეგმვისადმი სისტემური მიდგომის დანერგვას ეკოლოგიური რისკებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზის გათვალისწინებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

რისკებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ (ბრძანება №2-616, 03.07.2019წ. „რეგულირების ობიექტების გეგმური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“).

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადდა და დამტკიცდა „საქართველოს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების შემოწმებათა 2019 წლის გეგმა“ (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება №188, 01.08.2019წ.)

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ნებდართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებას და აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით ყოველწლიურად სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საანგარიშო პერიოდში ქმდების ინდიკატორები შესრულდა - მეთოდოლოგიის პროექტი დამტკიცდა და მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავდა და დამტკიცდა რეგულირების ობიექტების შემოწმებათა წლიური გეგმა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.3 მეთოდოლოგიის დანერგვა ნებადართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დასადგენად |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული მეთოდოლოგია<br><br>მეთოდოლოგიის შესაბამისად ყოველწლიური ინსპექტირების შემუშავებული გეგმა | **შესრულებული:**<br>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ ბრძანება №2-616, 03.07.2019 წ. - „რეგულირების ობიექტების გეგმური შემოწმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.<br>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება №188, 01.08.2019 წ. - „საქართველოს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ რეგულირების ობიექტების გეგმურ შემოწმებათა 2019 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 2.3.4** მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშებისთვის

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა/განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ ბუნებრივი რესურსების მოპოვების/ათვისების მონაცემების ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენის შესაძლებლობების განვითარებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემაში (პორტალი -

emoe.gov.ge) მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემას და თევზჭერის მართვის ელექტრონულ სისტემას. სისტემაში ჩართულნი არიან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები („ტყის რესურსების“ მოდული), მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების საამქროებთან ერთად („სახერხი საამქროების“ მოდული). 2019 წელს ელექტრონულ სისტემაში ყოველდღიურ ანგარიშგებას მათ მიერ დამზადებული ხე-ტყის თაობაზე ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების 35 ლიცენზიის მფლობელი;

2017 წლიდან მოქმედებს თევზჭერის მართვის ელექტრონული სისტემა („თევზჭერის“ მოდული), რომელშიც რეგისტრირებულნი არიან შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მფლობელები, ასევე მათ დაქვემდებარებაში არსებული ან იჯარით მომუშავე გემები (მათ შორის, ქართული გემები), რომლებიც ონლაინში აწარმოებენ მათ მიერ მოპოვებული თევზის რესურსის ელექტრონულ აღრიცხვას. 2018-2019 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიანტი, მათ მფლობელობაში არსებული გემების ელექტრონული სარეწაო ჟურნალის მეშვეობით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ლიცენზიის პირობების შესრულების ანაგრიშგების ელექტრონული სისტემის შექმნასა და ლიცენზიანტების მიერ გაკეთებული ანგარიშების რაოდენობის დათვლას. საანგარიშო პერიოდში ქმედება სრულად შესრულდა - ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშის ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს. ყოველდღიურ ანგარიშგებას მათ მიერ დამზადებული ხე-ტყის თაობაზე ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის 35 მფლობელი, ხოლო 2018-2019 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიის მფლობელი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 2.3** გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.4 მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშებისთვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მოქმედი მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემა<br>ლიცენზიების მფლობელების მიერ სისტემაში გაკეთებული ანგარიში | **შესრულებული:**<br>ელექტრონული მართვის სისტემა ფუნქციონირებს<br>სისტემაში ანგარიშს ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების 37, ხოლო 2019 წელს - 35 ლიცენზიის მფლობელი, ხოლო 2018-2019 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიის მფლობელი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.3.6** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობის თანმიმდევრული ზრდა პერსონალის გადამზადებისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება 2019 წელს 411-დან 870 ერთეულამდე გაიზარდა. განხორციელდა ეკიპაჟების ტექნიკური განახლება - გაიზარდა ავტოპარკი, შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის 65 ავტომანქანა და 2 ერთეული ბაგის ტიპის ავტომობილი. განხორციელდა თანამშრომელთა და ეკიპაჟების აღჭურვა.

2019 წლის მაისი-ივნისში განხორციელდა 2-დღიანი ტრენინგების კურსი გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. სწავლება გაიარა გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების 156 თანამშრომელმა. 2020 წლისათვის დაიგეგმა კიდევ 350 თანამშრომლის გადამზადება დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ თემებზე.

2019 წელს დონორების მხარდაჭერით მიმდინარე პროექტების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ინსპექტორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ინსპექტორებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა თემებზე - ინსპექტირების განხორციელების საკითხებზე (55 ინსპექტორი), გარემოსდაცვითი პასუხიმგებლობის შესახებ დირექტივის მოთხოვნების პრაქტიკული იმპლემენტაციის თემებზე (23 ინსპექტორი), სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ადგილების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიის საკითხებზე (8 ინსპექტორი), გარემოსდაცვითი შეფასების სისტემისა და სუფთა წარმოების საკითხებზე (18 ინსპექტორი).

სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, მუშავდება ღონისძიებები ელექტრონული სისტემების შესამუშავებლად:

- „ხე-ტყის ტრანსპორტირების კონტროლის ელექტრონული სისტემა“ - შემუშავდა ტექნიკური დავალება და პროგრამული უზრუნველყოფა (დანერგვა გათვალისწინებულია 2020 წლიდან).
- „ინსპექტირების მართვის ელექტრონული სისტემა, შემოწმების რისკების გამოთვლის ელექტრონული მოდული“ - შემუშავდა ტექნიკური დავალება (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა/დანერგვა გათვალისწინებულია 2020 წლისათვის).

2018 წელს განხორციელდა 333 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება, 2019 წელს - 400 რეგულირების ობიექტის (შემოწმებების რაოდენობა 17%-ით გაიზარდა).

2019 წელს წინა წელთან შედარებით ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი 33%-ით გაიზარდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგს, აღჭურვილობის განახლებასა და ამის შედეგად ინსპექტირებების რაოდენობის ზრდას. ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულებულია - მიმდინარეობს დეპარტამენტის თანამშრომლების რეგულარული ტრენინგები, ასევე ხდება დეპარტამენტის თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა 4,399,000 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 4,208,000 ლარი.

| **ამოცანა 2.3** გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.6 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა<br>შეძენილი ახალი აღჭურვილობა<br><br>ჩატარებული ინსპექტირებების გაზრდილი რაოდენობა (პროცენტულად) | **შესრულებული:**<br>დატრენინგდა დეპარტამენტის 200-მდე თანამშრომელი.<br>შეძენილია მაღალი გამავლობის 65 ავტომანქანა და 2 ბაგის ტიპის ავტომობილი, განხორციელდა თანამშრომელთა და ეკიპაჟების აღჭურვა.<br>2019 წელს წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რეგულირების ობიექტების შემოწმებების რაოდენობა 17%-ით გაიზარდა, სულ, ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი 33%-ით გაიზარდა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 4,399,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 4,208,000 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 2.3.7** საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღება საზღვაო ტრანსპორტზე

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოს ნავსადგურში ნავმისადგომებთან განთავსებული გემების მიერ გამოყენებულ საწვავში გოგირდის შემცველობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №256, 2017 წლის 25 მაისი - ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, თხევადი საწვავის სინჯის აღების, ანალიზის მეთოდებისა და ინსპექტირების წესის შემუშავება გათვალისწინებულია 2021 წლამდე, რომლის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი სინჯების აღება და ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორები მოიცავდა საზღვაო ტრანსპორტის საწვავის ხარისხის კონტროლზე პასუხიმსგებელი თანამშრომლების დატრენინგებას და გაანალიზებული საწვავის ნიმუშების რაოდენობას. საანგარიშო პერიოდში თანამშრომელთა გადამზადება და საზღვაო ტრანსპორტის საწვავის კონტროლი არ დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 2.3** გარემოსდაცვითი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 2.3.7 საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღება საზღვაო ტრანსპორტზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა (შავი ზღვის დაცვის კონვენციის სამმართველოდან)<br>გაანალიზებული ნიმუშების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>ტრენინგები არ ჩატარდა<br><br>ნიმუშები აღება/ანალიზი საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## თავი 3: წყლის რესურსების მართვა

თავი 3 - წყლის რესურსების მართვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 21 ქმედებას. აქედან 2019 წელს მიმდინარეობდა 15 ქმედების შესრულება. ამოცანები ორიენტირებულია წყლის მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვაზე, წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის რესურსების დაბინძურების შემცირებასა და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფაზე, ასევე წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2019 წელს თავის ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 2,531,613 ლარი.

### ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა

ამოცანა 3.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 ქმედება - შემუშავებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტი, მომზადებულია სზღვაო გარემოს სტრატეგიისადა მოქმედებათა პროგრამის სამუშაო ვერსია, დაწყებულია მუშაობა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსასაზღვრად, მიმდინარეობს სააუზო მართვის გეგმების შემუშავება. ამოცანის ყველა ქმედება განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავდა სააუზო მართვის გეგმის პროექტი ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო უბნისთვის
- ⇒ დაიწყო ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების შემუშავება
- ⇒ მომზადებულია „სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
- ⇒ შემუშავდა საზღვაო გარემოს სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის პირველადი ინგლისურენოვანი სამუშაო ვერსია

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 3.1.1**: ,,წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და მიღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ეროვნულ დონეზე წყლის რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად აფერხებს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული არასრულყოფილი კანონმდებლობა. საქართველოს კანონი ,,წყლის შესახებ" (1997 წ.) მოძველებულია და ვერ არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: წყლის ობიექტებთან დაკავშირებული საკუთრების, მფლობელობისა და გამოყენების უფლებები და სხვ. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულია მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის „წყლის ჩარჩო დირექტივასა" და წყლის ხარისხთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან. ,,წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და მიღება მიზნად ისახავს წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად გამოყენებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს დასრულდა "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და შესაბამისი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. კანონპროექტის მიზანია ქვეყანაში წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის დანერგვა, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებსა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე და რომელშიც ასახულია ასოცირების შეთანხმების ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნები, კერძოდ, ევროკავშირის დირექტივების: წყლის პოლიტიკის სფეროში გაერთიანების მოქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ, წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ, ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ,

ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ. კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს წარედგინება 2020 წლის პირველ ნახევარში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.1.: ,,წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის შემუშავება და მიღება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |

| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
|---|---|
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული კანონი "წყლის რესურსების მართვის შესახებ" | **შესრულებული:**<br>შემუშავებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის საბოლოო ვერსია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.1.3:** საამუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და აპრობირებულ მიდგომას წყლის რესურსების მართვის სფეროში. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად საქართველო ეტაპობრივად გეგმავს ეროვნულ დონეზე დანერგოს აღნიშნული მიდგომა, რომლის ძირითადი პრინციპები მოცემულია საქართველოს კანონის პროექტში "წყლის რესურსების მართვის შესახებ". კანონპროექტის მოთხოვნების შესაბამისად უნდა მომზადდეს და ამოქმედდეს საამუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა, რაც ხელს შეუწყობს მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის პრინციპების განხორციელებას საქართველოში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადებულია „საამუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა |
|---|

| | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.3: სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსაზღვრა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული მთავრობის დადგენილება - „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ" | **შესრულებული:**<br>მომზადებული „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| შესრულების შეფასება | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.1.4:** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დასანერგად საჭიროა სააუზო მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად მართვას ადგილობრივ დონეზე ყველა მდინარეთა აუზებისთვის. აღნიშნული სისტემის შექმნა დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ქმედების განხორციელება დაიწყება "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2018-2021 წლები. ქმედება არ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.4: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>შექმნილი წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემა | **შესრულებული:**<br><br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 3.1.6**: სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დასანერგად აუცილებელია სააუზო მართვის გეგმების არსებობა ქვეყანაში იდენტიფიცირებული სააუზო უბნებისათვის. საქართველოში იდენტიფიცირებულია სულ ექვსი სააუზო უბანი, რომელთათვისაც ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით 2024 წლამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს სააუზო მართვის გეგმები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

"ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი" ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა სააუზო მართვის გეგმის პროექტი ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო უბნისთვის და 2019 წელს დაიწყო ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების შემუშავება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

| ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.6: სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>სააუზო მართვის დამტკიცებული გეგმები სულ მცირე 2 სააუზო უბნისთვის | **შესრულებული:**<br>შემუშავებულია სააუზო მართვის გეგმის პროექტი 1 სააუზო უბნისთვის |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.1.7;** სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დანერგვისა და სააუზო მართვის გეგმების განხორციელების მიზნით აუცილებელია სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა. აღნიშნულმა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების მომზადებისა და განხორციელების პროცესში კონსულტაციების გაწევა, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება და მხარეთა კოორდინაციის მიზნით დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადებულია „სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.7: სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული მთავრობის დადგენილება - ,,სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის შესახებ"<br><br>შექმნილი სულ მცირე 5 სააუზო მართვის საბჭო | **შესრულებული:**<br>მომზადებული „სააუზო მართვის საკონსულტაციო–საკოორდინაციო საბჭოების შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.1.8**: საზღვაო სტრატეგიის შემუშავების დაწყება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულებისა და საზღვაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საზღვაო გარემოს სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის სამუშაო ვერსიის მომზადება.

ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის გათვალისწინებით, 2018 წელს „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ 56-ე მუხლს დაემატა პუნქტი შავი ზღვის დაცვის ეროვნული საზღვაო სტრატეგიასა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის სამოქმედო პროგრამის შექმნის შესახებ, რომლის კოორდინატორ უწყებად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განისაზღვრა. შემუშავებულ სტრატეგიას დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა და დოკუმენტი განახლდება 6 წელიწადში ერთხელ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულების მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “მხარდაჭერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი დებულებების განხორციელებაში” ფარგლებში, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, ევროპელი ექსპერტის მიერ შემუშავდა საზღვაო გარემოს სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის პირველადი ინგლისურენოვანი სამუშაო ვერსია.

პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრები და ჩატარდა ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფთან. სტრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის პროექტი განხილულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებთან და უწყებებთან.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2020-2021 წლები. ქმედება შესრულდა უმეტესწილად. მომზადებულია საზღვაო სატრატეგიისა და მოქმედებათა პროგრამის პირველადი ინგლისურენოვანი სამუშაო ვერსია.

ქმედების განხორციელება მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ დაფინანებული პროექტის ფარგლებში. შესაბამისად, ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 3.1** წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.1.8: საზღვაო სტრატეგიის შემუშავების დაწყება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მომზადებული საზღვაო სტრატეგიის სამუშაო ვერსია | **შესრულებული:**<br>მომზადებულია ინგლისურენოვანი საზღვაო სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

ამოცანა 3.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ქმედება - მიმდინარეობს მუშაობა საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირებაზე ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, განხორციელდა ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ მომზადებულია „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
⇒ დასრულდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/მოწყობის სამუშაოები 2 ლოკაციაზე
⇒ დაიწყო და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 4 ლოკაციაზე
⇒ დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი 5 ლოკაციისთვის
⇒ შემუშავებულია წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მიმდინარეობს მეთოდოლოგიის ტესტირება მდ. არაგვის საპილოტე აუზში.

3.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 2,061,492 ლარი.

- **ქმედება 3.2.1**: საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირება ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს ზედაპირული წყლის რესურსებზე ყველაზე ძლიერ ზეწოლას საყოფაცხოვრებო სექტორი, კერძოდ, ზედაპირული წყლის ობიექტებში გაუწმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ახდენს, რისი ძირითადი მიზეზიც ჩამდინარე წყლის შეკრების, განსაკუთრებით კი ჩამდინარე წყლის გაწმენდის გაუმართავი სისტემების არსებობაა. ზედაპირული წყლის ობიექტებში გაუწმენდავი საწარმოო წყლების ჩაშვება დამატებით ზეწოლას ახდენს ზედაპირულ წყალზე.

წყლის ობიექტებში გაუწმენდავი ურბანული და საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვება აქვეითებს წყლის ხარისხს, რაც თავის მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში წყლის ობიექტებზე

უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება დაბინძურებისა და იმ რისკების შესამცირებლად, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ყველა სახის წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუარესება. მიზანშეწონილია საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების პირობების განსაზღვრა ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადებულია „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე

წყლების ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი

და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 3.2** წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.2.1: საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირება ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული მთავრობის დადგენილება - „ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ“ | **შესრულებული:**<br>მომზადებული „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.2.3:** ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა შერჩეულ დასახლებებში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალომომარაგების კომპანია"

ქმედებისს მიზანი: აქტივობის მიზანია საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი არსებული სისტემების რეაბილიტაცია, ასევე ახალი სისტემების მშენებლობა და გამართვა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალომომარაგების კომპანიის" კოორდინაციით დასრულდა წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა/მოწყობის სამუშაოები 2 ლოკაციაზე - ურეკი, ანაკლია. მათ შორის 2019 წელს დაიწყო და სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს 5 ლოკაციაზე - ზუგდიდი, ფოთი, გუდაური. მარნეული და მესტია. ასევე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი 5 ლოკაციისთვის - ფასანაური, ყვარელი, ხაშური, აბასთუმანი, დუშეთი. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიმდინარეობს 3 ლოკაციაზე - სოფ. მუხრნი, ბახმარო და მარტვილი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ითვალისწინებს 2017-2021 წლებში განხორციელებულ ქმედებებს - ამ პერიოდში ურბანული ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობები უნდა ფუნქციონირებდეს სულ მცირე 10 დასახლებაში. ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა - დასრულებულია წყალრინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა ჯამში 2 დასახლებელ პუნქტში (2018-2019 წ.წ.) და დაწყებულია მშენებლობა კიდევ 5 დასახლებულ პუნქტში. ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 149,000,000 (2017-2021 წ.წ.) ლარის ოდენობით. 2019 წელს 2 ლოკაციასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 2,061,492 ლარი.

| **ამოცანა 3.2** წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.2.3: ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა შერჩეულ დასახლებებში |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალომომარაგების კომპანია" |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ურბანული ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობები სულ მცირე 10 დასახლებაში | **შესრულებული:**<br>დასრულებულია წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა ჯამში 2 დასახლებელ პუნქტში და დაწყებულია მშენებლობა კიდევ 5 დასახლებულ პუნქტში |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 149,000,000 | **ფაქტობრივი:** 2,061,492 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.2.5**: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> წყლის ობიექტებში ნიტრატების მაღალი კონცენტრაცია წყალმცენარეების ინტენსიურად ზრდის მთავარ გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს, რაც წყლის ობიექტების ევტროფიკაციას იწვევს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისა და იმ რისკების შესამცირებლად, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ყველა სახის წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუარესება სასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან წარმოქმნილი ნიტრატებით დაბინძურებისგან წყლის დაცვის შესახებ. ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის მარტში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიმართა ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს ნიტრატებით დაბინძურებული ან რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირებასთან და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრასთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების თაობაზე. განაცხადი განხილვის პროცესშია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2019-2020 წლები. ქმედება არ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი. იგი უნდა განხორციელდეს დონორის გრანტით.

| **ამოცანა 3.2** წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.2.5: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიცირება და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| ნიტრატებით დაბინძურებული ან რისკის ქვეშ მყოფი ზედაპირული წყლის ობიექტების რუკა | არ შესრულდა |
| განსაზღვრულია ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონები | არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 3.2.7**: წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის პრაქტიკის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედებისს მიზანი: ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივა, ისევე, როგორც ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები, ადგენს წყალზე დამოკიდებული ეკოსისტემების დაცვისა და კონსერვაციის სავალდებულო მიზნებს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილია წყლის სათანადო ხარჯი. აქედან გამომდინარე გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასება უნდა ჩატარდეს ისეთი მდინარისთვისაც, რომელზედაც მისი გამოყენების სივრცითმა ან დროითმა ცვლილებამ, მომავალმა გამოყენებამ ან წყლის რესურსების მართვის არსებულმა მოდელმა შეიძლება შეცვალოს ან უკვე მნიშვნელოვნად შეცვალა წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური რეჟიმი ან ეკოლოგიური სტატუსი.

**განხორციელებული ღონისძიებები**

„მმართველობა განვითარებისთვის საქართველოში“ (G4G) USAID-ის პროექტის მხარდაჭერით შემუშავებულია გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ამჟამად “მტკვარი-2” GEF-UNDP-ის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მეთოდოლოგიის ტესტირება მდ. არაგვის საპილოტე აუზში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 3.2** წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.2.7: წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის პრაქტიკის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |

| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
|---|---|
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>წყლის გარემოსდაცვითი ხარჯის გამოთვლის დანერგილი პრაქტიკა | **შესრულებული:**<br>შემუშავებული გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა

ამოცანა 3.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 5 ქმედება - მიმდინარეობს მუშაობა ზედაპირული წყლების ხარისხის ახალი სტანდარტის შემოღებაზე, მიმდინარეობს ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის მონიტორინგის ქსელის გაფართოება, ამასთანავე გრძელდება მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის სრულყოფა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგის ფარგლებში ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩატარდა 171 წერტილში
- ⇒ მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელის წყალპუნქტებიდან 2019 წელს აღებულ იქნა 300 სინჯი ლაბორატორიული ანალიზისათვის
- ⇒ 1 წყალპუნქტზე (ჭაბურღილი) დამონტაჟდა თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგული აპარატურა
- ⇒ მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელში ჩართულია 56 წყალპუნქტი (50 ჭაბურღილი და 6 წყარო)
- ⇒ შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდა სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი ყოველთვიური დაკვირვების ოთხ მუდმივ სადგურზე

3.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 476,121 ლარი.

- **ქმედება 3.3.1:** ზედაპირული წყლის ხარისხის ახალი სტანდარტების შემოღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს ზედაპირული წყლის ხარისხის გაუმჯობესების და მისი დაბინძურების პრევენციისა და შემცირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დანერგვას, რომლის საშუალებით გაუმჯობესდება ზედაპირული წყლის ხარისხის კონტროლის, მონიტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადებულია ,,ზედაპირული წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 3.3** წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.3.1: ზედაპირული წყლის ხარისხის ახალი სტანდარტების შემოღება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019– 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მთავრობის მიღებული დადგენილება - ,,ზედაპირული წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ" | **შესრულებული:**<br>მომზადებული ,,ზედაპირული წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 3.3.2:** ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ადამიანის ჯანმრთელობისა და წყლის ეკოსისტემებისათვის ზედაპირული და მიწისქვეშაწყლის ობიექტების, აგრეთვე სანაპირო წყლების მდგომარეობის კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგის ფარგლებში ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩატარდა 171 წერტილში აღებულ სინჯებში; ასევე, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელის წყალპუნქტებიდან 2019 წელს აღებულ იქნა 300 სინჯი ლაბორატორიული ანალიზისათვის (106 ქიმიური, 99 ბაქტერიოლოგიური, 37 მძიმე მეტალების და 58 პესტიციდებისა და ნავთობპროდუქტების ანალიზისათვის).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2019 წელს ზედაპირული წყლის მონიტორინგის ქსელის პუნქტების რაოდენობა გაიზარდა 171 წერტილამდე.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 2,345,800 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 232,025 ლარი.

| **ამოცანა 3.3** წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.3.2: ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ყოველწლიურად 10%-ით გაფართოებული წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელი | **შესრულებული:**<br>საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგის ფარგლებში ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩატარდა 171 წერტილში აღებულ სინჯებში; ასევე, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელის წყალპუნქტებიდან 2019 წელს აღებულ იქნა 300 სინჯი ლაბორატორიული ანალიზისათვის (106 ქიმიური, 99 ბაქტერიოლოგიური, 37 მძიმე მეტალების და 58 პესტიციდებისა და ნავთობპროდუქტების ანალიზისათვის) |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 232,025 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 3.3.3**: მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> აქტივობის მიზანია მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, როგორც მონიტოირნგის ქსელის გაზრდით, ისე შერჩეულ ჭაბურღილებზე ახალი აღჭურვილობის დამონტაჟებით - ამან უნდა უზუნველყოს მიწისქვეშა წყლების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლების მონიტორინგის გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს, მიმდინარეობდა მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობის გაზრდის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო პროცედურების დაწყებისთვის ტექნიკური პარამეტრების დაზუსტება, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტისთვის თანამედროვე აპარატური შეძენა და სამონტაჟო სამუშაოები.

2019 წელს, 1 წყალპუნქტზე (ჭაბურღილი) დამონტაჟდა თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგული აპარატურა.

2019 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელში ჩართულია 56 წყალპუნქტი (50 ჭაბურღილი და 6 წყარო), მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში მონაცემების მიღება-კონტროლი, მიწისქვეშა წყლების მონიტორინგის ქსელის ჭაბურღილების ინსპექტირება და ტექნიკურ-პროფილაქტიკური სამუშაოები.

2019 წელს გამოიცა საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ბიულეტენები:

- საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2018 წლის 15 ივლისის მდგომარეობით;
- საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2019 წლის 20 ივლისის მდგომარეობით;
- 2019 წელს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მონიტორინგის ქსელის 56 წყალპუნქტიდან აღებულ იქნა 300 სინჯი (106 ქიმიური, 99 ბაქტერიოლოგიური, 37 მძიმე მეტალების, 58 პესტიციდებისა და ნავთობპროდუქტების ანალიზისთვის).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2019 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობის ზრდა. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით 1 ერთეულით გაიზარდა მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული სადამკვირვებლო წყალპუნქტების რაოდენობა.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 1,081,700 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 104,476 ლარი.

| **ამოცანა 3.3** წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.3.3: მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შესყიდული და შერჩეულ ჭაბურღილებზე დამონტაჟებული ახალი აღჭურვილობა ანგარიშები წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვალებადობის დინამიკის შესახებ | **შესრულებული:**<br>1 წყალპუნქტზე (ჭაბურღილი) დამონტაჟებული თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური აპარატურა;<br>გამოცემული 3 საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ბიულეტენი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 104,476 |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- ქმედება 3.3.4 ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგის პროგრამის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანს წარმოადგენს ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგის სისტემის კონცეფციის ჩამოყალიბება - უნდა განისაზღვროს თუ სად ჩატარდება ზედაპირული წყლების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები და შემუშავდეს შესაბამისი მოქმედებების გეგმა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავდა გარემოს დაბინძურების მონიტორინგის 2019 წლის პროგრამა, რომელშიც შესაბამისი თავები ეხებოდა ზედაპირული წყლის დაბინძურების მონიტორინგს. წლის განმავლობაში წყლის სინჯების აღება და ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები ტარდებოდა პროგრამის შესაბამისად.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

შემუშავდა გარემოს დაბინძურების მონიტორინგის 2019 წლის პროგრამა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.3.4: ზედაპირული წყლების ხარისხის მონიტორინგის პროგრამის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ზედაპირული წყლების მონიტორინგის დამტკიცებული პროგრამა | **შესრულებული:**<br>შემუშავდა გარემოს დაბინძურების მონიტორინგის 2019 წლის პროგრამა, რომელშიც შესაბამისი თავები ეხება როგორც ზედაპირული წყლის დაბინძურების მონიტორინგს, ასევე მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგს. წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიღებისა და ამოქმედების შემდეგ, მოხდება ამ პროგრამის განახლება კანონის მოთხოვნების შესაბამისად. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | x | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | x |

- ქმედება 3.3.6 შავი ზღვის წყლის ხარისხის წინასწარი შეფასება ზღვის წყლის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მისაღწევად

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> აქტივობის მიზანია საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ევროკავშირის წყლის ჩარჩო და საზღვაო ჩარჩო დირექტივების მოთხოვნათა შესაბამისად მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება შავი ზღვის წყლის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მისაღწევად.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით 2019 წელს განხორციელდა სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი ყოველთვიური დაკვირვების ოთხ მუდმივ სადგურზე (სარფი, ბათუმი, ბათუმის პორტი, მწვანე კონცხი). განისაზღვრა წყლის ზოგიერთი სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური *(ფიტოპლანქტონი, ზოოპლანქტონი, მაკროფიტები, მაკროზოობენთოსი)* პარამეტრების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, შესწავლილი იქნა ზღვის პლანქტონური,

ფსკერული და კლდოვანი ჰაბიტატების ბიომრავალფეროვნება. სულ შეგროვდა და დამუშავდა 228 ნიმუში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2019 წლის აქტივობის ფარგლებში განხორციელდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი და მომზადდა შესაბამისი ანგარიში. მონიტორინგის სისტემის

გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნა ჰიდრობიოლოგიური კვლევების განსახორციელებლად თანამედროვე აპარატურა-ხელსაწყოები.

ქმედებისთვის დოკუმენტის შემუშავებისას არ იყო გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯები. თუმცა საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 240,000 ლარი.

| **ამოცანა 3.3** წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 3.3.6: შავი ზღვის წყლის ხარისხის წინასწარი შეფასება ზღვის წყლის კარგი ეკოლოგიური სტატუსის მისაღწევად |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შავი ზღვის წყლის ხარისხის შეფასების მომზადებული ანგარიში | **შესრულებული:**<br>შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით 2019 წელს განხორციელდა სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი ყოველთვიური დაკვირვების ოთხ მუდმივ სადგურზე. მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდა წლიური ანგარიში "შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი, 2019". |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი:** 133,620 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | x | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | x | | | |

## თავი 4: ატმოსფერული ჰაერის დაცვა

თავი 4 - ატმოსფერული ჰაერის დაცვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 16 ქმედებას. აქედან 2019 წელს ჯამში მიმდინარეობდა 12 ქმედების შესრულება. ამოცანები ორიენტირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებატა გაფრქვევების შემცირებაზე, ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარებასა და გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2019 წელს თავის ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 267,543 ლარი.

### ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება

ამოცანა 4.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 8 ქმედება - მიმდინარეობს საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, დაწყებულია მუშაობა მსხვილი წვის დანადგარებისათვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების დაწესებაზე, მიმდინარეობს ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მოწყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დაწესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად, საწყის ეტაპზეა ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა, შემუშავდა და ძალაში შევიდა ზოგიერთ თხევად საწვავში (მძიმე საწვავი, გაზოილი, საზღვაო საწვავი) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების შესახებ საკანონმდებლო აქტი, მიმდინარეობს საავტომობილო დიზელის საწვავის ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან, ასევე, განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დარგის ზემოქმედების შემცირებაზე ორიენტირებული რეგულაციის გამკაცრება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ საქართველოს პარლამენტის N5632-რს დადგენილებით „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტი მიღებულ იქნა მეორე მოსმენით

⇒ შემუშავდა „ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო ეტიკეტირების შემოღების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების სამუშაო ვერსია
⇒ 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 3-ჯერ შემცირდა და ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა
⇒ დიზელში გოგირდის შემცველობის შემოქმედების მიზნით აღებულ იქნა 270 სინჯი
⇒ შეიქმნა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების სისტემა

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 4.1.1:** საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანომდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999 წ.) ადგენს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს. კანონის აღსრულების მიზნით მიღებულია რიგი კანონქვემდებარე აქტები და ტექნიკური რეგლამენტები. არსებული სამართლებრივი ჩარჩო სრულად ვერ აკმაყოფილებს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ ცვლილებების განხორციელების ძირითად მიზანს სწორედ ატმოსფერული ჰაერის დაცვის თანამედროვე ევროპული პრაქტიკის დანერგვა და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კანონმდებლობის, კერძოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ (2008/50/EC) დირექტივისა და ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ (2004/107/EC) დირექტივის ძირითად მოთხოვნებთან.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე წარედგინა საქართველოს პარლამენტს 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე. 2019 წლის აპრილ-დეკემბერში ჩატარდა პროექტის საკომიტეტო და პლენარული განხილვები. საქართველოს პარლამენტის N5632-რს დადგენილებით კანონის პროექტი მიღებულ იქნა მეორე მოსმენით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულდა - საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მიღებულია მეორე მოსმენით.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.1.: საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანომდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განახლებული კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში | **შესრულებული:**<br>საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მიღებულია მეორე მოსმენით |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 4.1.2:** მსხვილი წვის დანადგარებისათვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დაწესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ენერგეტიკა ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი ძირითად დამაბინძურებელ სექტორს წარმოადგენს. ენერგეტიკის სექტორიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია თბოელექტროსადგურებისთვის თანამედროვე ევროპულ ნორმებსა და მიდგომებზე დაფუძნებული რეგულირების სისტემის დანერგვა, კერძოდ წვის მსხვილი დანადგარებისთვის საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაფუძნებული ემისიის ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დაწესება. აღნიშნულ ვალდებულებას, ასევე ითვალისწინებს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ამ ეტაპზე ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“) შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.2.: მსხვილი წვის დანადგარებისათვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დაწესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „წვის დანადგარებისთვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების დაწესების შესახებ" | **შესრულებული:**<br>შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 4.1.3:** ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მოწყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დაწესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> 2017 წლის მონაცემებით, აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) გაფრქვევის დაახლოებით 40% სატრანსპორტო სექტორზე მოდის. ბენზინის შესანახი

მოწყობილობების (ტერმინალებისა და ავტოგასამართი სადგურების) ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება კონკრეტული ქმედებების დასაგეგმად ბენზინის შენახვისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებიდან აონ-ების გაფრქვევების შემცირებისა და, ასევე, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულების მიზნით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებასა და „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №65

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები განხილულ იქნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნავთობპროდუქტრების იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებთან. დადგენილებების პროექტები უახლოეს მომავალში აიტვირთება ელექტრონული მთავრობის პროგრამაში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2018-2021 წლები. ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულდა - ანგარიში ბენზინის შესანახი მოწყობილობების (ტერმინალებისა და ავტოგასამართი სადგურების) ინვენტარიზაციის შესახებ მომზადებულია და ასევე შემუშავებულია ცვლილებების პროექტები მთავრობების შესაბამის დადგენილებებში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.3.: ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მოწყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დაწესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ანგარიში არსებული ობიექტების ინვენტარიზაციის შესახებ<br>განხორციელებული ცვლილებები ,,ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ | **შესრულებული:**<br><br><br><br>შემუშავებული საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 და N65 დადგენილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე |

| | |
|---|---|
| საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებასა და ,,ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებაში ბენზინის შესანახი და გადასატვირთი ტერმინალებიდან გაფრქვევების რაოდენობის შემცირება, ტ/წელი | ამ ეტაპზე არ არის მონაცემები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 4.1.4:** ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესაბამისად, აონ-ების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგინდება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობები ლაქებში, საღებავებსა და ზედაპირების დაფარვის სხვა საშუალებებში და განისაზღვრება მათი ბაზარზე განთავსების რეგულაციები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა „ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო ეტიკეტირების შემოღების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის სამუშაო ვერსია. ასევე, პროექტის ფარგლებში დაიწყო მუშაობა ქვეყანაში წარმოებულ და იმპორტირებულ ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება აონ-ების ზღვრული შემცველობის განსაზღვრის პროცესში. ჩატარდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორთა ტრენინგი, რათა მათ განახორციელონ ბაზარზე განთავსებულ პროდუქტში აონ-ების შემცველობის ეფექტური კონტროლი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2018-2021 წლებია - საანგარიშო პერიოდში ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.4.: ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (VOC) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება "ლაკებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო ეტიკეტირების შემოღების შესახებ";<br>საღებავებიდან და ლაკებიდან აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების რაოდენობის შემცირება, ტ/წელი | **შესრულებული:**<br>შემუშავებული „ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო ეტიკეტირების შემოღების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის სამუშაო ვერსია<br><br>ამ ეტაპზე არ არის მონაცემები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 4.1.5:** ზოგიერთ თხევად საწვავში (მძიმე საწვავი, გაზოილი, საზღვაო საწვავი) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების ამოქმედება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> 2016 წლის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობით არ იყო დადგენილი გოგირდის დიოქსიდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობები ზოგიერთ თხევად საწვავში (საზღვაო საწვავი, მძიმე საწვავი და გაზოილი). საქართველო-ევროკავშირს

შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაუახლოვდეს ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ დირექტივის (1999/32/EC) მოთხოვნებს და შეამციროს ზოგიერთი თხევადი საწვავის წვის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გოგირდის ოქსიდების გაფრქვევა მასში გოგირდის შემცველობის მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობების დაწესებით, რომლის მიზანია ატმოსფერული ჰაერის, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და გარემოს დაცვა მოსალოდნელი ზიანისგან.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ჩატარდა სინჯების აღების პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსიის შიდა განხილვები და აღნიშნული წესის შესაბამისად დაგეგმილია ცვლილების შეტანა „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედების ინდიკატორები ნაწილობრივ შესრულდა - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის N256 დადგენილებით დამტკიცდა „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. შემუშავდა სინჯების აღების

პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.5.: ზოგიერთ თხევად საწვავში (მძიმე საწვავი, გაზოილი, საზღვაო საწვავი) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების ამოქმედება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული საკანონმდებლო აქტი „ზოგიერთი თხევადი საწვავის ხარისხის სტანდარტების შესახებ“ (რომელიც ასევე ადგენს სინჯების აღების პროცედურას, ანალიტიკურ მეთოდებსა და მათი განხორციელების წესს) | **შესრულებული:**<br>დამტკიცებული „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი<br>შემუშავებული სინჯების აღების პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსია |
| თხევადი საწვავის მოხმარებისას გაფრქვეული გოგირდის დიოქსიდის ($SO_2$) რაოდენობის შემცირება, ტ/წელი | მონაცემები ამ ეტაპზე არ არსებობს |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 4.1.6:** საავტომობილო დიზელის საწვავის ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> თბილისსა და საქართველოს სხვა დიდ ურბანულ დასახლებებში ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო არის ავტოსატრანსპორტო სექტორი, რისი გამომომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საავტომობილო საწვავის, კერძოდ დიზელის არასათანადო ხარისხი. ქმედების მიზანია დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესების გზით ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლების, განსაკუთრებით გოგირდის ორჟანგის გაფრქვევების შემცირება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ეტაპობრივად მიმდინარეობს დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 დეკემბრის N238 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 3-ჯერ შემცირდა და ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან დიზელის საწვავის დადგენილებით განსაზღვრული ყველა კომპონენტი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება;

საწვავის ხარისხის ეროვნულ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს ქვეყანაში საწვავის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი, რომლის ფარგლებში 2019 წელს ავტოგასამართ სადგურებზე აღებულ იქნა დიზელში გოგირდის შემცველობაზე 270 სინჯი. (2017-2019 წლებში 300 სინჯი).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორები სრულად შესრულდა - დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016

წლის 15 დეკემბრის №559 დადგენილება „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 3-ჯერ შემცირდა. დიზელში გოგირდის შემცველობის კონტროლის მიზნით ავტოგასამართ სადგურებზე აღებულ იქნა 300 სინჯი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.6.: საავტომობილო დიზელის საწვავის ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები;<br>გოგირდის შემცველობაზე აღებული სინჯების რაოდენობა;<br>დიზელის საწვავზე მომუშავე ავტომობილებიდან გოგირდის დიოქსიდის ($SO_2$) გაფრქვევების მოცულობა შემცირებულია 33%-ით | **შესრულებული:**<br>ცვლილებები განხორციელდა<br><br>აღებული 300 სინჯი ავტოგასამართ სადგურზე გოგირდის შემცველობაზე<br>დიზელის საწვავში გოგირდის შემცველობა 66%-ით შემცირდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 4.1.8:** ყველა სახის ავტომობილისათვის სავალდებულო გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების თანამედროვე და ეფექტიანი სისტემის დანერგვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოს მასშტაბით ნებისმიერი ტიპის ავტომობილობილებისთვის გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირების სისტემის ჩამოყალიბება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შეიქმნა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების სისტემა.

2020 წლის იანვრის მდგომარეობით მოქმედებს 41 ტესტირების ცენტრი, 143 ტესტირების ხაზით (მათ შორის: 35 – UN - უნივერსალური ხაზი; 6 – HV ხაზი (M2,M3, N2, N3, O3, O4) კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის; 99 – LV (M1, M2, N1) და 3 -UN - უნივერსალური მოძრავი ხაზი.

2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური ინსპექტირების სტატისტიკა ასეთია:

- პირველადი ტექნიკური ინსპექტირება - სულ 788,157 ერთეული ასს, მათ შორის გამართული 347,925 ერთეული, გაუმართავი - 438,347 ერთეული, აეკრძალა გზაზე გადაადგილება 1,885 ერთეულ ასს-ს.
- განმეორებითი ტექნიკური ინსპექტირება - სულ 349,883 ერთეული ასს, მათ შორის გამართული 328570 ერთეული, გაუმართავი - 21,136 ერთეული, აეკრძალა გზაზე გადაადგილება 177 ერთეულ ასს-ს. საქართველოში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა (2019 წელი (IV კვარტალი) ) – 1,375,794 ერთეული.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება სრულად შესრულდა - სავალდებული ტესტირება გავლილი აქვს ავტოპარკის 100%.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.8.: ყველა სახის ავტომობილისათვის სავალდებულო გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების თანამედროვე და ეფექტიანი სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ავტოპარკის წილი, რომელსაც გავლილი აქვს სავალდებულო ტესტირება | **შესრულებული:**<br>ტესტირება გავლილი აქვს ავტოპარკის 100% |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 4.1.9:** ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გამოყენების ხელშეწყობა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ტრანპოსრტის სექტორის ზეწოლის შემცირება ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ავტოპარკის თანდათანობითი ზრდით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე გაეროს შიგა ტრანსპორტის კომიტეტის დახმარებით, გაეროს ექსპერტსა და სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს" უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტებთან თანამშრომლობის შედეგად, შემუშავდა „ტიპის აღიარების" 1958 წლის გაეროს შეთანხმების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა (იმპლემენტაციის პროცესი შედგენა 4 ფაზისგან და დასრულდება დაახლოებით 7-8 წელში).

აღსანიშნავია, რომ გაეროს 1958 წლის შეთანხმების სრულად იმპლემენტაცია ხელს შეუწყობს ქვეყანაში ავტოპარკის განახლებას (რაც ასევე მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ავტოპარკის ზრდას) და ავტოწარმოების განვითარებას.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში, კერძოდ, გეგმით გათვალისწინებული პირველი ფაზის საფუძველზე, განხორციელდა „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების პროექტისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტის (გაეროს 1958 წლის შეთანხმების საფუძველზე ტიპის აღიარების მინიჭებისა და შესაბამისი ტექნიკური სერვისი საწარმოს განსაზღვრის წესის შესახებ) შემუშავება. რამდენადაც აღნიშნული პროექტები შედგენილია ინგლისურ ენაზე, მის ქართულ ენაზე ოფიციალურად თარგმნის შემდგომ, აღნიშნულ დოკუმენტებს მიეცემათ მსვლელობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

აქტივობის შესრულება დაწყებულია. კერძოდ, შედგენილია სამოქმედო გეგმა რის შესაბამისადაც შემუშავდა „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების პროექტი და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 4.1** ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.1.9.: ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გამოყენების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გაზრდილი რაოდენობა | **შესრულებული:**<br>შესრულების პროცესი დაწყებულია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელება პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება

ამოცანა 4.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ქმედება - მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის ავტომატიზაცია და გაფართოება, ხდება ავტომატური სადგურების მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა და მონიტოირნგის მონაცემების რეალურ დროში ვებ-გვერდზე განთავსება, საქართველოს ქალაქებში ყოველკვარტალურად ტარდება ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები და დაიწყო ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს დაემატა 2 ახალი ავტომატური მონიტორინგის სადგური
- ⇒ ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა საქართველოს 25 ქალაქში
- ⇒ შემუშავდა ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, დაკვირვების პუნქტების რაოდენობის, განლაგების და ფუნქციონირების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი

4.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 267,543 ლარი.

- **ქმედება 4.2.1:** მონიტორინგის ქსელის სრული ავტომატიზაცია და შემდგომი გაფართოება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> აქტივობის მიზანია ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის არსებული ქსელის თანდათანობითი გაფართოება და ავტომატიზაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს დაემატა 2 ახალი ავტომატური მონიტორინგის სადგური, რომელთაგან ერთი განთავსდა ქალაქ თბილისში, ხოლო მეორე კი - ქალაქ რუსთავში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

მონიტორინგის ქსელის სრული ავტომატიზაციისა და შემდგომი გაფართოების მიზნით შეძენილი იქნა და ამოქმედდა 2 ახალი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ავტომატური სადგური.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 3,371,875 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 267,543 ლარი.

| **ამოცანა 4.2** ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სიტემის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.2.1.: მონიტორინგის ქსელის სრული ავტომატიზაცია და შემდგომი გაფართოება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მონიტორინგის ქსელს დამატებული სულ მცირე 3 ახალი ავტომატიზებული სადგური და 1 მობილური სადგური | **შესრულებული:**<br>სრულად შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 267,543 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 4.2.4:** ყოველკვარტალურად ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> აქტივობის მიზანია საქართველოს ქალაქებში ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების რეგულარული ჩატარება და მიღებული ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა მარტში, ივნისში, სექტემბერსა და ნოემბერში შემდეგ 25 ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, რუსთავი, თელავი, გორი, ახალციხე, ზუდიდი, კასპი, მცხეთა, ოზურგეთი, ფოთი, სამტრედია, სენაკი,

საჩხერე, ლანჩხუთი, ტყიბული, ჭიათურა, სიღნაღი, ყაზბეგი, ლენტეხი, მარნეული, ბოლნისი და ხაშური. ატმოსფერულ ჰაერში ისაზღვრებოდა აზოტის დიოქსიდის, ოზონისა და ბენზოლის კონცენტრაციები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2019 წელს ყოველკვარტალურად ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები საქართველოს 25 ქალაქში. შედეგები გამოქვეყნებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე www.air.gov.ge.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 4.2** ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სიტემის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.2.4.: ყოველკვარტალურად ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** გამოქვეყნებული კვარტალური ანგარიშები ჰაერის ხარისხის შესახებ კონკრეტული დამაბინძურებლების კუთხით | **შესრულებული:** ქმედება შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | x | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | x |

- **ქმედება 4.2.5:** ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმისა და კრიტერიუმების დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების და მისი დაბინძურების პრევენციისა და შემცირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ევროპული სტანდარტების დანერგვას, რომლის საშუალებით, ევროპული კრიტერიუმების შესაბამისად, გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის, მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავდა „ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC და 2004/107/EC დირექტივების შესაბამისად" ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, დაკვირვების პუნქტების რაოდენობის, განლაგების და ფუნქციონირების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულდა - მიღებულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ივლისის №383 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" და შემუშავდა "ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, დაკვირვების პუნქტების რაოდენობის, განლაგების და ფუნქციონირების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 4.2** ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სიტემის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.2.5.: ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმისა და კრიტერიუმების დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული კანონქვემდებარე აქტი „ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ";<br>მიღებული კანონქვემდებარე აქტი ჰაერის ხარისხის შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით; | **შესრულებული:**<br>დამტკიცებულია კანონქვემდებარე აქტი „ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ";<br>შემუშავდა კანონქვემდბარე აქტი "ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, დაკვირვების პუნქტების რაოდენობის, განლაგების და ფუნქციონირების შესახებ" |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | x | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | x | | | |

## ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა

ამოცანა 4.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1 ქმედება - თანდათანობით უმჯობესდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაცია. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციის მონაცემთა გამოთვლას ეკონომიკის ყველა სექტორისთვის 1990-2006 წლებში და წვის სექტორებისთვის 2007-2012 წლებში, გაფრქვევების პროგნოზირებას 2025 და 2030 წლებისთვის

4.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 4.3.2:** ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაციის შემდგომი განვითარება და პროგნოზირების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებისა და მათგან გაფრქვევების შემცირების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების აღრიცხვის გაუმჯობესება და გაფრქვევათა პროგნოზირების სისტემის შექმნა, რასაც სწორედ აღნიშნული ქმედება ისახავს მიზნად.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით დაიწყო პროექტი „ჰაერის ხარისხის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოში“, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს გაფრქვევების ინვენტარიზაციის და პროგნოზირების სისტემის გაუმჯობესება საქართველოში. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციის მონაცემთა გამოთვლას ეკონომიკის ყველა სექტორისთვის 1990-2006 წლებში და წვის სექტორებისთვის

2007-2012 წლებში, გაფრქვევების პროგნოზირებას 2025 და 2030 წლებისთვის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტების შესაძლებლობების გაძლიერებას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - მომზადდა 2007-2017 წლების ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ. გაიზარდა გაფრქვევების ინვენტარიზაციის მასშტაბი და გაუმჯობესდა ხარისხი. დაგეგმილია გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის შემუშავება.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 4.3.2.: ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაციის შემდგომი განვითარება და პროგნოზირების სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ<br>გაფრქვევების ინვენტარიზაციის მასშტაბის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება<br>მიმდინარეობს გაფრქვევების პროგნოზირება | **შესრულებული:**<br>ეროვნული ანგარიში მომზადებულია<br>ეტაპობრივად უმჯობესდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაცია<br>ამ ეტაპზე პროგნოზირება არ კეთდება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## თავი 5: ნარჩენების მართვა

თავი 5 - ნარჩენების მართვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 16 ქედან 2019 წელს მიმდინარეობდა 14 ქმედების შესრულება. ამოცანები ორიენტირებულია ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ასევე, „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპისა და მწარმოებელის გაფართოებული ვალდებულების განხორციელებაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2019 წელს თავის ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 3,041,426 ლარი.

### ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანა 5.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 7 ქმედება - მიმდინარეობს ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია, ხდება საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა, შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის, მიმდინარეობს კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი, შეიქმნა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემა, დაწყებულია სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება, დაწყებულია მწარმოებლისთვის კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა ნარჩენების თითოეული ნაკადისთვის და იგეგმება ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ’’
- ⇒ შემუშავებულია „ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის“ სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია
- ⇒ შემუშავდა 6 ტექნიკური რეგლამენტის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვას
- ⇒ შემუშავდა კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ (ახალი რედაქცია)
- ⇒ ყველა მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

⇒ შემუშავდა "სახიფათო ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის" პროექტი

5.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 5.1.1:** ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის მოთხოვნებთან

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანს ნარჩენების მართვის სფეროში თანამედროვე ევროპული პრაქტიკის დანერგვა და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კანონმდებლობბას დაახლოება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 26 ნოემბერს (#5302-Iს) მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ''.

შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 ივლისის N346 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 სექტემბრის №472 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" .

ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე შემუშავებულია „ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის" სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია. გაიმართა სტრატეგიის საჯარო განხილვა ყველა დაინტერესებულ მხარის ჩართულობით, ამ ეტაპზე გრძელდება სტრატეგიაზე მუშაობა.

შემუშავდა 6 ტექნიკური რეგლამენტის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვას, აქედან 4 პროექტი შეთანხმებულია სხვადასხვა უწყებებთან და წარდგენილია მთავრობაში დასამტკიცებლად, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა. ხოლო 2 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი უახლოეს პერიოდში გადაეგზავნება მთავრობას,

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულია - მიღებულია 2 ახალი საკანონმდებლო აქტი, შემუშავდა „ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის" სტრატეგიის პირველადი სამუშაო ვერსია, შემუშავდა 6 ტექნიკური რეგლამენტების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვას, აქედან 4 წარდგენილია მთავრობაში დასამტკიცებლად, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.1.: ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის მოთხოვნებთან |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივებთან/რეგულაციებთან შესაბამისობაშია | **შესრულებული:**<br>ნაწილობრივ შესრულებულია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.2:** ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ვალდებულებებიც გააჩნია - ერთ-ერთი მათგანია ბაზელის კონვენცია (სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ). აღნიშნული ქმედება ეროვნული კანონმდებლობის ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანას ეხება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავდა კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ" (ახალი რედაქცია). ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ" სრულ შესაბამისობაშია ბაზელის კონვენციასთან და მოხდება მისი მოთხოვნების სრული ასახვა. ამ ეტაპისთვის პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობაში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ შემუშავებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობაში, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.1** ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.2.: ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განახლებული კანონმდებლობა (საქართველოს კანონი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“), ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაშია | **შესრულებული:**<br>შემუშავდა კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ბაზელის კონვენციასთან. პროექტი წარდგენილია საქართველოს მთავრობაში. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.3:** პირველი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების (5-წლიანი) შემუშავება და მიღება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს მუნიციპალიტეტები

<u>ქმედების მიზანი:</u> ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიან გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას და ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მონაწილეობს აღნიშნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

დღეისათვის ყველა მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი შესრულებულია - ყველა მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.1** ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.3.: პირველი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების (5-წლიანი) შემუშავება და მიღება |
| პასუხისმგებელი უწყება: | მუნიციპალიტეტები |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმები ყველა მუნიციპალიტეტისთვის | **შესრულებული:**<br>ყველა მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.4:** კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების/განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად საქართველოში მოქმედ კომპანიებს აქვთ ვალდებულება შეიმუშაონ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეათანხმონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ შეთანხმებულია 500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;

4000-მდე კომპანიას დანიშნული ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი და მათი ვინაობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამინისტროში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულებულია - 2019 წლის განმავლობაში შეთანხმებულია 500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. თუმცა პროცესი ამ ეტაპზე არ ჩერდება, დაწყებულია 2016 წლიდან და გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.4.: კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების/განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>2019 წლის განმავლობაში შეთანხმებულია 500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.6:** სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედება ითვალისწინებს საქართველოში სახიფათო ნარჩენების მართვის მოქმედი წესების შეფასებას და სახიფათო ნარჩენების ინვენტარიზაციას, რის შემდეგაც უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის კონცეფცია და დაიწყოს აღნიშნული სისტემის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტის და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სახიფათო ნარჩენების მართვის პირველადი შეფასება, ტექნიკური ეკონომიკური კვლევა, ევროკავშირის პროექტის „ტექნიკური დახმარება საქართველოში ნარჩენების სისტემების სრულყოფისათვის" ფარგლებში შემუშავდა "სახიფათო ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის" პროექტი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა სახიფათო ნარჩენების შეგროვების და დამუშავების ეროვნული სისტემის შექმნასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია - ჩატარდა სახიფათო ნარჩენების მართვის შეფასება, ტექნიკური ეკონომიკური კვლევა და ნაწილობრივ ინვენტარიზაცია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.6.: სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>სახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვების შექმნილი სისტემა<br>რეგისტრირებული/სერტიფიცირებული ოპერატორების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზე<br><br>არ დაწყებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.7:** კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა მწარმოებლებისთვის

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, 2019 წლის 1 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი. ამისთვის აუცილებელია ნორმატიული აქტებით კონკრეტულად განისაზღვროს რა ვალდებულებები აქვთ სხვადასხვა მწარმოებლებს.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავდა შემდეგი მთავრობის დადგენილებების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვას:

- „შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;.
- „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის
- დამტკიცების შესახებ“;
- „ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების მართვის
- შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- „საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- „ნარჩენი ზეთების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: შემუშავებულია 6 ტექნიკური რეგლამენტი, აქედან 4 შეთანხმებულია უწყებებთან და წარდგენილია მთავრობაში დასამტკიცებლად, თუმცა ჯერ

არ დამტკიცებულა. 2 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი უახლოეს პერიოდში წარედგინება მთავრობას.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 5.1** ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.7.: კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა მწარმოებლებისთვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br><br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>კანონმდებლობა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) შესახებ ძალაშია | **შესრულებული:**<br>შემუშავებულია 6 ტექნიკური რეგლამენტი, აქედან 4 წარდგენილია მთავრობაში დასამტკიცებლად |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.1.8:** ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მუნიციპალიტეტები

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსში განსაზღვრულია 2020 წლისთვის შესაგროვებელი ნარჩენების სამიზნე მაჩვენებლები - მუნიციპალური ნარჩენების 90% და სახიფათო ნარჩენების 50%.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თითოეულ მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი ქმედებები.

სახიფათო ნარჩენების ახალი სისტემის შექმნა მხოლოდ საწყის ეტაპზეა. თუმცა ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიები ახორციელებენ ნარჩენების სწორ მართვას და მათ მიერ წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია - მუნიციპალიტეტებს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი ქმედებები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.1** ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.1.8.: ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | მუნიციპალიტეტები |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შეგროვებულია:<br>მუნიციპალური ნარჩენები - 90%<br>სახიფათო ნარჩენები - 50% | შესრულებული:<br>მუნიციპალიტეტებს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი ქმედებები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 5.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ქმედება - მიმდინარეობდა არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის გაუმჯობესება, იგეგმება სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა, დაიწყო რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა და საწყის ეტაპზეა სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ კეთილმოეწყო 13 ნაგავსაყრელი
⇒ დაიხურა 4 ნაგავსაყრელი
⇒ ქუთაისის რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის შეირჩა ახალი ტერიტორია
⇒ იმართაება 5 ნარჩენების გადამტვირთი სადგური
⇒ სახიფათო ნარჩენების დამუშავებაზე ნებართვა/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემულია 70 მდე კომპანიაზე
⇒ სახიფათო ნარჩენების შეგროვება ტრანსპორტირებაზე რეგისტრირებულია 150-ზე მეტი კომპანია

5.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 3,041,426 ლარი.

- **ქმედება 5.2.1:** არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის და ოპერირების გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“

<u>ქმედების მიზანი:</u> შპს „საქართელოს მყარი ნარჩენების კომპანია“ ამჟამად მართავს 54 (31 განახლებული და 23 დახურული) მუნიციპალურ ნაგავსაყრელს - კომპანიის მიზანია არსებული ნაგავსაყრელების მართვა, კეთილმოწყობა, ეტაპობრივი დახურვა, გარდამავალ პერიოდში მათი ოპერირების გაუმჯობესება და ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

- კეთილმოწყობილია 13 ნაგავსაყრელი;

- დახურულია 4 ნაგავსაყრელი. დახურვასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებეი შესრულდა 2018 წელს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია - საანგარიშო პერიოდში კეთილმოეწყო 13 და დაიხურა 4 (ოფიციალურად) ნაგავსაყრელი. თუმცა ქმდება 2020 წლამდე გრძელდება. ინდიკატორი ნაწილობრვ შესრულდა - ჯამში კეთილმოეწყო 15 და დაიხურა 5 ნაგავსაყრელი (2018-2019 წ.წ.).

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 18,000,000 (2017-2021 წ.წ.) ლარის ოდენობით. თუმცა საანგარიშო პერიოდის (2019 წ.) საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 2,169,000 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 2,029,553 ლარი.

| **ამოცანა 5.2** ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.2.1.: არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის და ოპერირების გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>განახლებული ნაგავსაყრელების რაოდენობა<br><br>დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>13 განახლებული ნაგავსაყრელი<br><br>4 დახურული ნაგავსაყრელი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 18,000,000 | **ფაქტობრივი:** 2,029,553 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.2.2:** სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს მუნიციპალიტეტები

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოში არსებული არაოფიციალური, სტიქიური ნაგავსაყრელების თანდათანობითი ლიკვიდაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თითოეულ მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის გაწერილი აქვთ სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის ღონისძიებები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მუნიციპალიტეტების მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმები ითვლისწინებს სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას და ნაწილი სტიქიური ნაგავსაყრელებისა ლიკვიდირებულია, თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით ჯერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.2** ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.2.2.: სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | მუნიციპალიტეტები |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>ნაწილობრივ შესრულდა, თუმცა ზუსტი მონაცემები ცნობილი არ არის |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.2.3**: თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია"

ქმედების მიზანი: შპს „საქართელოს მყარი ნარჩენების კომპანია" მიზნად ისახავს მუნიციპალური ნაგავსაყრელების დახურვას, ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობასა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მიმდინარეობს არასახიფათო ნარჩენების განთავსების 4 ახალი რეგიონული ობიექტის (ნაგავსაყრელის) და შესაბამისი ნარჩენების გადამტვირთავი 5 ახალი სადგურის საპროექტო სამუშაოები:

- ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში ქუთაისის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობისთვის მიმდინარეობს ახალი ტერიტორია შერჩევის პროცედურები

- ცვლილება შევიდა ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტში - ჩატარდა კვლევები, შეირჩა ახალი ტერიტორია არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობისთვის, მიმდინარეობს სკოპინგის ანგარიშის დოკუმენტზე მუშაობა
- სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში ჩატარებულია კვლევები და შერჩეულია ტერიტორია ნაგავსაყრელის მოწყობისთვის; ასევე მიმდინარეობს ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის ტერიტორიის შერჩევა კახეთის რეგიონისთვის
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ნაგავსაყრელების მშენებლობისთვის მიმდინარეობს წინასწარი კვლევები შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია" მართავს 5 ნარჩენების გადამტვირთ სადგურს.

ასევე აღსანიშნავია, რომ რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა დაწყებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურასთან, ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ოპერირება და დახურვა განეკუთვნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების კომპეტენციას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 324,000,000 ლარის ოდენობით. თუმცა საანგარიშო პერიოდის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 2,525,000 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,011,873 ლარი.

| **ამოცანა 5.2** ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.2.3.: თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია" |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელების და გადამტვირთავი სადგურების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>მიმდინარეობს არასახიფათო ნარჩენების განთავსების 4 ახალი რეგიონული ობიექტის (ნაგავსაყრელის) და შესაბამისი ნარჩენების გადამტვირთავი 5 ახალი სადგურის საპროექტო სამუშაოები. იმართება ნარჩენების 5 არსებული გადამტვირთავი სადგური. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 324,000,000 | **ფაქტობრივი:** 1,011,873 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.2.4:** სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: სახიფათო ნარჩენების გადაზიდვა/ტრანსპორტირება, დამუშავება, უსაფრთხოდ განლაგება და შენახვა შესბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოითხოვს - რის შესრულებასაც ემსახრება აღნიშნული ქმედება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

სახიფათო ნარჩენების დამუშავებაზე ნებართვა/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემულია 70 მდე კომპანიაზე;

- სახიფათო ნარჩენების შეგროვება ტრანსპორტირებაზე რეგისტრირებულია 150-ზე მეტი კომპანია;
- დაგეგმილია სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის და სხვა წინასწარი დამუშავების ობიექტების მოწყობა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - სახიფათო ნარჩენების შეგროვება / ტრანსპორტირება/ დროებით დასაწყობებაზე, ასევე სახიფათო ნარჩენების დამუშვებაზე გაცემულია ნებართვები/ რეგისტრაციები. თუმცა სახიფათო ნარჩენების მართვისთვის საჭირო ინფრაქსტრუქტურის (ნაგავსაყრელის) მოწყობა ჯერ არ დაწყებულა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.2** ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.2.4.: სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>სახიფათო ნარჩენების მართვისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურის რაოდენობა | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება

ამოცანა 5.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ქმედება - ნარჩენების მართვის სფეროში მიმდინარეობს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრა, იგეგმება ცალკეული ზომების მიღები ნარჩნების სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის, ასევე მიზნად არის დასახული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექნიზმების შემუშავება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ შემუშავებულ იქნა „საქართველოში ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფებისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავების ზოგადი მეთოდოლოგია“

⇒ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტებში გაიწერა კერძო და საჯარო სექტორს (ცენტრალური ხელისუფლება, მუნიციპალიტეტები) შორის თანამშრომლობის ფორმები და მიდგომები

5.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 5.3.1:** ხარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს მუნიციპალიტეტები

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ჩამოყალიბება როგორც კერძო სექტორის, ისე მუნიციპალიტეტებისთვის. მნიშვნელოვანია დანახარჯების ანაზღაურების ისეთი სისტემის შემოთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალურ დონეზე მყარი ნარჩენების მართვის სისტემების მდგრადობას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

USAID-ის დახმარებით შემუშავებულ იქნა „საქართველოში ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფებისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავების ზოგადი მეთოდოლოგია“. აღნიშნულ მეთოდოლოგიის გამოყენება ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფების დადგენისთვის იგეგმება რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების ინდიკატორების შესრულება ახალი დაწყებულია - ამ ეტაპზე მხოლოდ ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფების დადგენის საპილოტე მეთოდოლოგია არსებობს და

მხოლოდ მისი გამოყენების შემდეგ იქნება შესაძლებელი მის ეფექტიანობაზე (ან პირიქით) საბარი. ამ ეტაპზე პირველი ნაბიჯები იდგმება მუნიციპალურ დონეზე ნარჩენების მართვის მომსახურების ანაზღაურების სისტემის შემუშავების კუთხით. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.3** „დამბინძურებელი იხდის" პრინციპისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.3.1.: ხარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტებისთვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | მუნიციპალიტეტები |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მუნიციპალიტეტებში დანერგილი ნარჩენების მოსაკრებელის ამოღების ეფექტიანი სისტემა და დადგენილი ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მიღების(ჭიშკრის) საფასური კომპანიებისთვის განახლებული სატარიფო სისტემა | **შესრულებული:**<br>ნარჩენების მოსაკრებელის ამოღების სისტემის შექმნა ახალი დაწყებულია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელება ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.3.3:** ზომების მიღება ნარჩენების სხვადასხვა სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით აუცილებელია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების თანამედროვე სტანდარტებით მართვა - მოცემულია 2020 წლისთვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლები სპეციფიკური ნარჩენებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მოცემული მაჩვენებლები 2020 წლისათვის მიიღწევა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის შექმნისა და დანერგვის გზით:

- ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება;
- მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განმახორციელებელი ორგანიზაციების შექმნა, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა - სპეციფიკური ნარჩენების მართვის სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება** | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.3.3.: ზომების მიღება ნარჩენების სხვადასხვა სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>სათანადოდ მართული:<br>ბატარეები - 20%<br>ნარჩენი ზეთები -50%<br>შეფუთვის ნარჩენები - 40%<br>ნეემ - 20%<br>საბურავები - 50%<br>აკუმულატორები - 60%<br>ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები - 20% | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: - | **ფაქტობრივი**: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 5.3.4:** მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექანიზმების განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება მიზნად ისახავს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან ერთად პეტის ბოთლების შეგროვების დეპოზიტური სისტემის შექმნასა და დანერგვას. (მოსახლეობის მოტივაცია, დაინტერესება ბოთლების შეგროვება/ჩაბარებაზე კომპანიების გაზრდილი ინტერესი რეციკლირებაზე.). ასევე, ქაღალდისა და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისა და იმპორტის სტიმულირებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

არ განხორციელებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 5.3** „დამბინძურებელი იხდის" პრინციპისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 5.3.4.: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექანიზმების განხორციელება |
ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის სრულყოფის მიზნით 2019 წელს გერმანიის თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით განხორციელდა გარკვეული ინდიკატორების კვლევები :

- სახეობათა სტატუსი - წყალმცურავი ფრინველების, უხერხემლოთა ჯგუფის, ვეშაპისნაირთა, დიდი ძუძუმწოვრების კონკრეტული სახეობების მდგომარეობის შეფასება;
- აგრობიომრავალფეროვნების სამი ინდიკატორი: პესტიციდების გამოყენების ტენდენცია; სასოფლო-სამეურნეო მცენარეებისა და ცხოველების ენდემური ჯიშების რაოდენობის ცვლილება; ბიომეურნეობის პრინციპების შესაბამისად მართული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ფართობის ცვლილება);
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით შემუშავდა მეთოდოლოგიები კონკრეტული ინდიკატორების გამოსათვლელად; ინდიკატორის შემუშავებას

„ვიზიტორთა ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე“ კონტრიბუცია გაუწია საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ;

- მომზადდა რამდენიმე ინდიკატორის ანგარიში დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული შეხვედრების საფუძველზე;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემისათვის საჭირო სპეციალური პლატფორმის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობს შეგროვებული მონაცემების შესაბამის ფორმატში ინტეგრირების პროცესი;
- მომზადებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის წარმოების წესის კანონქვემდებარე აქტის სამუშაო ვერსია;
- ბექობის არწივის მონიტორინგის ანგარიში;
- დასავლეთკავკასიური ჯიხვის (Capra caucasica) აღრიცხვის მეთოდები და 2019 წლის შედეგები;
- კავკასიური სალამანდრას (Mertensiella caucasica sensu Lato) ჰაბიტატების მონიტორინგი;
- მონიტორინგის მეთოდები შემუშავების მიზნით პეპლების თანასაზოგადოებების საბაზისო კვლევების დაგეგმვა და ორგანიზება;
- ვეშაპისნაირების აღრიცხვის შედეგები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში;
- ხოჭოების თანასაზოგადოებების საბაზისო კვლევა, შემდგომი მონიტორინგის მეთოდების შემუშავების მიზნით;
- მოზამთრე წყალმცურავ ფრინველთა აღრიცხვა კოლხეთის ეროვნულ პარკში;
- ზუთხისებრთა გენეტიკური ანალიზის ანგარიში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება შესრულდა ნაწილობრივ - ბიომრავლფეროვნების მონიტორინგის სისტემა ფუნქციონირებს, მაგრამ არ ხორციელედება ყველა ინდიკატორის მონიტორინგი. გარდა ამისა, არ არის ეროვნულ დონეზე დამტკიცებული განახალებული ინდიკატორები.

2020 წელს დაგეგმილია მონაცემთა ბაზის ტექნიკური პლატფორმის შემუშავება; ყველა ინდიკატორის მეთოდოლოგიის განსაზღვრა; ყველა ინდიკატორის ანგარიშის მომზადება; მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება;

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.1** ბიომრვალფეროვნების მდგრადი მართვის ხელშეწყობა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.1.4.: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ფუნქციონირებადი მონიტორინგის სისტემა | **შესრულებული:**<br>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემა არ არის ტექნიკურად მოწყობილი და ფუნქციონირებადი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- ქმედება 7.1.5: მდგრადი ნადირობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> აქტივობის მიზანია საქართველოში პირველად ნადირობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მდგრადი ნადირობის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყება „ნადირობის შესახებ კანონის“ მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.1** ბიომრვალფეროვნების მდგრადი მართვის ხელშეწყობა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.1.5.: მდგრადი ნადირობის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული მდგრადი ნადირობის ეროვნული სტრატეგია | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

## ამოცანა 7.2 სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია

ამოცანა 7.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმდინრეობდა 6 ქმედების განხორციელება - დაწყებულია მუშაობა ფრინველთა სახეობისთვის სპეციალური დაცული ტერიტორიების იდენტიფიკაციასა და შექმნისთვის, ჰაბიატატების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს „ზურმუხტის ქსელის" გაფართოება, იგეგმება შიდა წყლის ეკოსისტემებზე ზეწოლის შესწავლა, მიმდინარეობს მუშაობა „ზურმუხტის საიტების" დამტკიცებაზე და დაწყებულია ზურმუხტის კანდიდატი საიტების შესწავლა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის წლის განმავლობაში:

⇒ ფრინველთა სახეობებისთვის სპეციალური დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით იდენტიფირცერებულია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი 32 ადგილი

⇒ მომზადდა ფრინველთათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA) მონაცემთა ბაზა, შესაბამისი რუკებით

⇒ დამტკიცებულია 46 ზურმუხტის ტერიტორია

⇒ ჩატარდა კვლევები ზურმუხტის ქსელის 7 პოტენციურ ტერიტორიაზე, რომლებიც წარედგინა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედ კომიტეტს საბოლოო დამტკიცებისათვის

7.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 7.2.1:** გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის („საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებათა გეგმის" მიხედვით) საკონსერვაციო ღონისძიებების გატარება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით (NBSAP) გათვალისწინებულია შერჩეული სახეობების საკონსერვაციო გეგმების შემუშავებისა და დანერგვის საკითხი. მათ შორის არის ისეთი სახეობები, როგორიც არის ქურციკი (*Gazella subgutturosa*), აფალინა (*Tursiops truncatus*), ირემი (*Cervus elaphus*), ნიამორი (*Capra aegagrus*), წავი (*Lutra lutra*) და სხვა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

არ განხორციელებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.2** სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.1.: გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის („საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებათა გეგმის“ მიხედვით) საკონსერვაციო ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შერჩეული სახეობებისთვის მომზადებული და დანერგილი საკონსერვაციო გეგმების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>საანგარიშო პერიოდში ახალი საკონსერვაციო გეგმები არ მომზადებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.2.2:** ფრინველთა სახეობებისათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების იდენტიფიკაცია და შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად მცირდება გარეული ფრინველების რაოდენობა, რაც წარმოადგენს ძალიან დიდ საფრთხეს ბუნებრივი გარემოსათვის ისევე, როგორც, ბიოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისათვის. 2009 წელს ევროპარლამენტის და საბჭოს მიერ მიღებული იქნა დირექტივა გარეული ფრინველების დაცვის შესახებ. გარეული ფრინველები, რომლებიც გავრცელებული არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე, ძირითადად მიგრირებადი სახეობებია, ამიტომ მათი ეფექტური დაცვა წევრი ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობაა. აღნიშნული პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო საქართველომაც ასოცირების შესახებ შეთანხმებით.

ფრინველების დაცვის შესახებ დირექტივის დებულებებში მოცემული პირობების შესრულება, მათ შორის ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების შექმნა, გარდა იმისა, რომ გააუმჯობესებს საქართველოში ფრინველთა სახეობების დაცვის მდგომარეობას, ქვეყანას დაეხმარება შეასრულოს რიგი კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები კერძოდ: კონვენცია „საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ" (რამსარის კონვენცია), „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია" (ბერნის კონვენცია) და „კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ" (ბონის კონვენცია).

**განხორციელებული ღონისძიებები**

Birdlife international-ის ტექნიკური მხარდაჭერით საქართველოში შერჩეულია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი 32 ადგილი, თუმცა, დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ მოითხოვება აღნიშნულ ადგილების დაცვა;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მომზადდა ფრინველთათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების (SPA) მონაცემთა ბაზა, შესაბამისი რუკებით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა - ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები იდენტიფიცირებულია, მაგრამ ამ ადგილებზე დაცული ტერიტორიები არ შექმნილა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.2** სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.2.: ფრინველთა სახეობებისათვის სპეციალური დაცული ტერიტორიების იდენტიფიკაცია და შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შექმნილი დაცული ტერიტორიების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>დაცული ტერიტორიები არ შექმნილა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | X | | |

- **ქმედება 7.2.3:** ჰაბიტატების დაცვის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების შესახებ“ (ბერნის) კონვენციას შეუერთდა 2008 წელს, რითაც აიღო ვალდებულება დაიცვას კონვენციით დაცული სახეობები და ჰაბიტატები. კონვენციის მიზნის მიღწევის ძირითად ინტრუმენტს წარმოადგენს „ზურმუხტის ქსელი“, რომელიც შედგება „განსაკუთრებული საკონსერვაციო მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებისაგან“. ზურმუხტის საიტები არ არის აუცილებელად მკაცრად დაცული ტერიტორიები - ზურმუხტის საიტები წარმოადგენენ მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებს და სხვა. თუმცა ასეთ ტერიტორიებზე ვრცელდება განსაზღვრული შეზღუდვები - საქმიანობის წარმოება ზურმუხტის საიტებზე უნდა მოხდეს ისე, რომ არ შეექმნას საფრთხე იმ სახეობას ან ჰაბიტატს, რომლის დაცვის მიზნითაც ის არის შექმნილი.

ჰაბიტატების დაცვის გაუმჯობესება და ზურმუხტის ქსელის შექმნა საქართველოსათვის არა მარტო კონვენციით დაკისრებული ვალდბულებების შესრულებას ემსახურება, არამედ ხელს უწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, „ზურმუხტის ქსელის“ ჩამოყალიბება საქართველოში განსაზღვრულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულია 46 ზურმუხტის ტერიტორია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - დამტკიცებულია 46 ზურმუხტის ტერიტორია და კიდევ 12 ტერიტორიას არის შეთავაზებული.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.2** სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.3.: ჰაბიტატების დაცვის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული „ზურმუხტის უბნების“ და იდენტიფიცირებული ეკოდერეფნების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>უმეტესწილად შესრულდა, ბერნის კონვენიის მუდმივმოქმედ კომიტეტზე უკვე დამტკიცდა 46 ტერიტორია, ამ ეტაპზე განიხილება 12 ტერიტორიის სტატუსი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.2.4:** შიდა წყლის ეკოსისტემებზე ზეწოლის შესწავლა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედება გულისხმობს შიდა წყლის ეკოსისტემებზე ყველანაირი ზეწოლის (დაბინძურება, ჭარბი თევზჭერა, ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება და სხვა) შესწავლა/ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას აღნიშნული ზეწოლის ფორმების შერბილებისკენ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

არ განხორციელებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.2** სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.4.: შიდა წყლის ეკოსისტემებზე ზეწოლის შესწავლა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შიდა წყლების ეკოსისტემებზე ზეწოლის მდგომარეობის შესახებ კვლევის შედეგები | **შესრულებული:**<br>კვლევა არ ჩატარებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 7.2.5:** ზურმუხტის 5 საიტის ოფიციალური გამოცხადება (დეზიგნირება)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ზურმუხტის ტერიტორიის შერჩევის და ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ, საჭიროა მათთვის შესაბამისი ლეგალური სტატუსის მინიჭება - რაც უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობის მიერ. ქმედების მიზანი იყო 2017-2018 წლებში 5 არჩეული ტერიტორიის ოფიციალურად ზურმუხტის დაცულ ტერიტორიად გამოცხადება (დეზიგნირება).

**განხორციელებული ღონისძიებები**

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ საქართველოში უკვე დამტკიცებულია ზურმუხტის 46 ტერიტორია, საქართველოს მთავრობის მიერ აღნიშნული ტეირიტორიები ოფიციალურად არ არის დამტკიცებული. “ზურმუხტის ქსელის” შექმნის სამართლებრივი საფუძველი მოცემულია“ზიომრავალფეროვნების შესახებ” კანონპროექტში. შესაბამისად, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ, საქართველოს მთავრობა ეროვნულ დონეზე ოფიციალურად დაამტკიცებს ამ ტერიტორიებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა - საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა ზურმუხტის საიტების დეზიგნირება.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 7.2 სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.5.: ზურმუხტის 5 საიტის ოფიციალური გამოცხადება (დეზიგნირება) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საიტი | **შესრულებული:**<br>ამ ეტაპზე არც ერთი საიტი არ არის დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.2.6:** კანდიდატი ზურმუხტის საიტების შესწავლა და ოფიციალური გამოცხადებისთვის (დეზიგნირებისათვის) შერჩევა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია კანდიდატი ზურმუხტის საიტების შესწავლა, რათა მოხდეს მათი ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის - საბუკო“-მ ჩაატარეს კვლევები 7 ტერიტორიაზე: Samegrelo (GE0000021), Ratcha 1 (GE0000011), Svaneti 1 (GE0000012), Svaneti 2 (GE0000045), Ratcha 2 (GE0000040), Ratcha 3 (GE0000041) და Ratcha 4 (GE0000042). კვლევების შედეგების შესაბამისად აღნიშნული შვიდი ტერიტორია წარედგინა ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის საბოლოო დამტკიცებისათვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება შესრულდა, ამ ეტაპზე საქართველოში აღარ არის დარჩენილი კანდიდატი ტერიტორიები, ყველა მათგანი არის შესწავლილი საქართველოს მიერ და დამტკიცებული ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის) კონვენციის მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ.

| **ამოცანა 7.2** სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა და მათი კარგვის პრევენცია | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.2.6.: კანდიდატი ზურმუხტის საიტების შესწავლა და ოფიციალური გამოცხადებისთვის (დეზიგნირებისათვის) შერჩევა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გამოკვლეული ტერიტორიები ანგარიშები | **შესრულებული:**<br>გამოკვლეულია 7 ზურმუხტის ტერიტორია და მომზადებულია ანგარიშები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება

ამოცანა 7.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 ქმედება - შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორია, განისაზღვრა მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ნუსხაში შესატანი ტერიტორიები და თანდათანობით ვითარდება თანამშრომლობა საქართველოს მოსაზღვრე და მეზობელი ქვეყნების დაცულ ტერიტორიებთან. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:**

- ⇒ შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორია -პონტოს მუხის აღკვეთილი (443 ჰა)
- ⇒ გაფართოვდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები.
- ⇒ იდენტიფიცირდა მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ნუსხაში შესატანი ნომინირებაზე წარსადგენი დაცული ტერიტორიების საიტები (კოლხეთის და მტირალას ეროვნული პარკები, კინტრიშის და ქობულეთის დაცული ტერიტორიები)
- ⇒ ნომინირებულ დაცულ ტერიტორიებზე ადგილზე განხორციელდა საველე გასვლები
- ⇒ განხორციელდა „მწვანე ნუსხის“ სახელმძღვანელოს თარგმნა და ბეჭდვა
- ⇒ მიმდინარეობს რეინტროდუცირებული ჯეირნების მონიტორინგი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ამჟამად 140-ზე მეტი ჯეირანია ტერიტორიაზე
- ⇒ 2018 წლიდან, პირველად კავკასიაში, მიმდინარეობს ჯიხვის ტელეომეტრიული მონიტორინგი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;

**7.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ**

- **ქმედება 7.3.1:** ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია, არსებული დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა,

რაც საშუალებას იძლევა დაცულ იქნას მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, უნიკალური სახეობები, მათი ჰაბიტატები და საიმიგრაციო გზები, გეოლოგიური ობიექტები და ა.შ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს დაცული ტერიტორიების სისტემას შეემატა ახალი დაცული ტერიტორია -პონტოს მუხის აღკვეთილი (443 ჰა), რომელსაც ადმინისტრაციულად მართავს კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია.

მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი დაცული ტერიტორიების დაარსებასთან დაკავშირებით: თრუსოს დაცული ლანდშაფტის დაარსება (7 007 ჰა), რაჭის ეროვნული პარკის დაარსება (52

191 ჰა), ერუშეთის ეროვნული პარკის დაარსება (11 681 ჰა), არაგვის დაცული ლანდშაფტის დაარსება (99 802 ჰა), რიონის დაცული ტერიტორიების დაარსება ( 598 ჰა), შიდა ქართლის დაცული ტერიტორების დაარსება (46 515 ჰა ).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შეიქმნა პონტოს მუხის აღკვეთილი. გარდა ამისა, დაწყებილია მუშაობა რაჭისა და ერუშეთის ეროვნული პარკების, ასევე რიონის დაცული ტერიტორიის დაარსებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.1.: ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მიღებული კანონები შემდეგი დაცული ტერიტორიების შექმნის შესახებ:<br>რაჭის და ერუშეთის დაცული ტერიტორიები<br>პონტოს მუხის აღკვეთილი<br>რიონის დელტის დაცული ტერიტორიები | **შესრულებული:**<br><br>დაწყებულია მუშაობა<br>აღკვეთილი დარსებულია<br>დაწყებულია მუშაობა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 7.3.2:** ახალ დაცულ ტერიტორიებზე დამხმარე ზონების შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია ახალშექმნილ დაცული ტერიტორიების მიმდებარედ სპეცილური ზონების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომრეობის გაუმჯობესებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

არ განხორციელებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.2.: ახალ დაცულ ტერიტორიებზე დამხმარე ზონების შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ახალ დაცულ ტერიტორიებზე შექმნილი ბუფერული ზონები | **შესრულებული:**<br>ბუფერული ზონები არ არის შექმნილი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 7.3.3:** არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოვება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია არსებული დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა, რაც საშუალებას იძლევა დაცულ იქნას მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა, უნიკალური სახეობები, მათი ჰაბიტატები და საიმიგრაციო გზები, გეოლოგიური ობიექტები და ა.შ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაფართოვდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია და ჯავახეთის დაცული ტერიტორიები.

მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი დაცული ტერიტორიების გაფართოებასთან დაკავშირებით კოლხეთის ეროვნლი პარკის გაფართოება, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გაფართოება, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების გაფართოება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება სრულად შესრულდა - მომზადდა ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოების შესახებ შესაბამის კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 7.3** დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.3.: არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოვება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოვების შესახებ ცვლილება შეტანილია კანონში | **შესრულებული:**<br>ცვლილება შეტანილია კანონში |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 7.3.4:** ტერიტორიების იდენტიფიცირება მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ნუსხაში შესატანად და მათი დასამტკიცებლად წარდგენა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> დაცული ტერიტორიებისთვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს დაცულ ტერიტორიების ცნობადობის გაზრდას, ეკოტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი ობიექტების მართვის გამოცდილების გაზიარებას, ვიზიტორების დაინტერესებას და რაოდენობის ზრდას, შესაბამისად, შერჩეულ ტერიტორიებზე მაღალკვალიფიციური და თანამედროვე კვლევების წარმოებას. ასევე, ეს გამოიწვევს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მაცხოვრებელ მოსახლეობისათვის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

იდენტიფიცირდა მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ნუსხაში შესატანი ნომინირებაზე წარსადგენი დაცული ტერიტორიების საიტები (კოლხეთის და მტირალას ეროვნული პარკები, კინტრიშის და ქობულეთის დაცული ტერიტორიები);

2019 წლის თებერვლის თვეში ნომინირებული დაცული ტერიტორების შესაფასებლად მომზადდა შესაბამისი დოსიე და გაიგზავნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრალურ ოფისში განსახილველად.

2019 წლის სექტემბრის თვეში, UNESCO-IUCN საერთასორისო მისიის ფარგლებში, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით, ნომინირებულ დაცულ ტერიტორიებზე ადგილზე განხორციელდა საველე გასვლები.

საერთაშორისო მისიის მიერ მოხდა ოთხივე ნომინირებული დაცული ტერიტორიის ადგილზე შეფასება. სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით, მათ მიერ მომზადებული ანგარიში ნომინირებული დაცული ტერიტორიების შესახებ, განიხილულ იქნება UNESCO-ს სამდივნოს მიერ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - მოხდა მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ნუსხაში შესატანი 4 დაცული ტერიტორიის იდენტიფიცირება და მათი UNESCO-ში ნომინირება. დაცული ტერიტორიების შესხებ მომზადებული ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს UNESCO-ს სამდივნოს მიერ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 7.3 დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.4.: ტერიტორიების იდენტიფიცირება მსოფლიო მემკვირეობის უბნების ნუსხაში შესატანად და მათი დასამტკიცებლად წარდგენა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დასამტკიცებლად წარდგენილი მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ჩამონათვალი | **შესრულებული:**<br>კოლხეთის და მტირალას ეროვნული პარკები, კინტრიშის და ქობულეთის დაცული ტერიტორიები იდენტიფირცირებულია და ნომინირებულია მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების ჩამონათვლში შესატანად |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.3.5:** ახალი დაცული ტერიტორიების წარდგენა „მწვანე ნუსხაში" შესატანად

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> „მწვანე ნუსხაში“ დაცული ტერიტორიის შეტანა ხელს შეუწყობს კავკასიის ბიომრავალფეროვნების და კონკრეტულად საქართველოს, დაცულ ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პოპულარიზაციას, ადგილობრივ მოსახლეობაში ადგილობრივი პროდუქციის წარმოების განვითარებასა და რეალიზაციას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაიმართა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და IUCN-ის შორის სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა „მწვანე ნუსხის“ სახელმძღვანელოს თარგმნა და ბეჭდვა;

საქართველომ IUCN-ს მიმართა „მწვანე ნუსხა“-ში გაწევრიანების თაობაზე;

გამოცხადდა ღია კონკურსი, შეირჩა მწვანე ნუსხის ექსპერტთა ჯგუფის წევრები, ჯგუფმა დაიწყო მუშობა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - „მწვანე ნუსხაში“ შესატანად დაცული ტერიტორიის წარდგენის ღონისძიებები მხოლოდ საწყის ეტაპზეა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.3** დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.5.: ახალი დაცული ტერიტორიების წარდგენა „მწვანე ნუსხაში“ შესატანად |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2017 – 31.12.2018 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>„მწვანე ნუსხაში“ შესატანად წარდგენილი, სულ მცირე, 1 დაცული ტერიტორია | **შესრულებული:**<br>„მწვანე ნუსხაში“ შესატანად დაცული ტერიტორიის წარდგენის ღონისძიებები მხოლოდ საწყის ეტაპზეა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.3.6:** თანამშრომლობის განვითარება საქართველოს მოსაზღვრე და მეზობელი ქვეყნების დაცულ ტერიტორიებთან

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველოსა და მოსაზღვრე ქვეყნების შორის თანამშორმლობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ტრანსსასაზღვრო გაერთიანებულ სამდივნოს

(TJS). თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილია იშვიათ და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ერთობლივ მონიტორინგი, ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის შექმნა, ტურიზმის სტრატეგიების შემუშავება და ა.შ.საქართველოსა და მოსაზღვრე ქვეყნების შორის თანამშრომლობის ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო გაერთიანებულ სამდივნოსთან (TJS) თანამშორმლობის ფარგლებში დაგეგმილია იშვიათ და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ერთობლივ მონიტორინგი, ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის შექმნა, ტურიზმის სტრატეგიების შემუშავება და ა.შ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

TJS–პროექტის ფარგლებში მომზადდა მონაცემთა ბაზა და გადამზადდნენ ჯავახეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები მონაცემთა ბაზის მართვის საკითხებში;

TJS–პროექტის ფარგლებში, წარმატებით დაიწყო და მიმდინარეობს რეინტროდუცირებული ჯეირნების მონიტორინგი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, ამჟამად 140-ზე მეტი ჯეირანია ტერიტორიაზე;

TJS–პროექტის ფარგლებში, 2018 წლიდან, პირველად კავკასიაში მიმდინარეობს ჯიხვის ტელეომეტრიული მონიტორინგი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;

TJS–პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების და არფის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფრინველების მონიტორინგი;

TJS–პროექტის ფარგლებში შემუშავდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის სტრატეგია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - ტრანსსასაზღვრო კონცეფცია არ არის შემუშავებული, თუმცა მიმდინარეობს რამდენიმე ტრანსსასაზღვრო პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.3** დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.3.6.: თანამშრომლობის განვითარება საქართველოს მოსაზღვრე და მეზობელი ქვეყნების დაცულ ტერიტორიებთან |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის კონცეფცია და განხორციელების მექანიზმი საქართველოს მოსაზღვრე და მეზობელი ქვეყნების დაცულ ტერიტორიებთან დაწყებული საპოლოტე პროექტები | **შესრულებული:**<br>კონცეფცია არ არის შემუშავებული<br><br>მეზობელ ქვეყნებთან მიმდინარეობს რამდენიმე საპილოტე პროექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 7.4 დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 7.4-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 ქმედება - თანმიმდევრულად მიმდინარეობს დაცული ტერიტორიტების სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება, მომზადდა მენეჯმენტის გეგმები 7 დაცული ტერიტორიისთვის, ბიომრავალფეროვნების მონოტირინგის გეგმა შემუშავდა 2 დაცული ტერიტორიისთვის, დაიწყო კანონაღსრულების პროცედურების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, ეროვნულ პარკებში მიმდინარეობს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების აღდგენის/კონსერვაციის ღონისძიებები. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ ჩატარდა 7 თემატური ტრენინგი და გადამზადდა 235 თანამშრომელი
- ⇒ შემუშავდა 7 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა
- ⇒ დამტკიცდა 3 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა
- ⇒ ყაზბეგის, ალგეთის, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკებისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისათვის შემუშავდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმები
- ⇒ მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკებისთვის მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავება
- ⇒ აჯამეთის აღკვეთილში მიმდინარეობს იმერული მუხის აღდგენის პროექტი, დაახლოებით 56 ჰა-ზე

7.4 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 7.4.1:** დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კონცეფციის მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქმედების მიზანი: დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება ერთ-ერთი პრიორიტეტს წარმოადგენს - ხოლო ტრენინგებისა და გადამზადების კურსების მდგრადობისთვის აუცილებელია შესაბამისი მოდულების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

სააგენტოს თანამშრომელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავდა თემატური მოდულები და განხორციელდა ტრენინგები:

სულ 2019 წელს ჩატარდა 7 თემატური ტრენინგი და გადამზადდა 235 თანამშრომელი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - შემუშავდა ტრენინგების თემატური მოდულები, საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 235 თანამშრომელი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 7.4 დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.4.1.: დაცული ტერიტორიების სააგენტოს თაამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების კონცეფციის მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მომზადებული ტრენინგის სახელმძღვანელოები და მოდულები<br>დაცული ტერიტორიების სააგენტოს თაამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგებისა და სტაჟირებების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>ტრენინგების თემატური მოდული მომზადებულია<br>საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 235 თანამშრომელი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.4.2:** დაცული ტერიტორიებისათვის მენეჯმენტის გეგმების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს ყველა დაცული ტერიტორია უნდა იმართებოდეს მენეჯმენტის გეგმით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დაცული

ტერიტორიის შესაძლებლობები, გამოწვევები და დაცული ტერიტორიების ძირითადი მიმართულებების პროგრამები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა 7 მენემენტის გეგმა:

1. მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, დონორი: UNDP;
2. კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის მენეჯმენტის გეგმა, დონორი: კოლხეთის განვითარების ფონდი;
3. ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, დონორი: კოლხეთის განვითარების ფონდი;
4. ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, დონორი: KFW/SPPA;
5. კინტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, დონორი: KFW/SPPA
6. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა, დონორი: KFW/SPPA
7. ყაზბეგის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა, დონორი: KFW/SPPA

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება სრულად შესრულდა - 2019 წლისთვის მომზადებულია 7 მენეჯმენტის გეგმა, მათგან დამტკიცდა 3: მაჭახელას ეროვნული პარკის, კოლხეთის ეროვნული პარკის და კაცობურის აღკვეთილის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმები. მიმდინარეობს დასამტკიცებლად საჭირო პროცედურები 4 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმებზე: ალგეთის ეროვნული პარკის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისა და ყაზბეგის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.4** დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.4.2.: დაცული ტერიტორიებისათვის მენეჯმენტის გეგმების მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დაცული ტერიტორიებისათვის მომზადებული მენეჯმენტის გეგმები | **შესრულებული:**<br>მომზადებულია მენეჯმენტის გეგმები 7 დაცული ტერიტორიისთვის, რომელთაგან 3 დამტკიცებულია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.4.3:** დაცული ტერიტორიებისთვის კანონაღსრულების სახელმძღვანელოს მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

ქმედების მიზანი: დაცული ტერიტორიების კანონაღსრულების სახელმძღვანელოს - ერთიანი დოკუმენტის მომზადება, რომელიც დაეხმარება დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს პრაქტიკულ საქმიანობაში, უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და ცალკეული დოკუმენტების შედგენის ერთიანი სტანდარტის დაწესებაში, რაც ხელს შეუწყობს კანონაღსრულებას და მართლმსაჯულების სისტემაში მოქნილი მექანიზმების დანერგვას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

განხორციელება არ დაწყებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.4** დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.4.3.: დაცული ტერიტორიებისთვის კანონაღსრულების სახელმძღვანელოს მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დაცული ტერიტორიებისთვის მომზადებული კანონაღსრულების დამტკიცებული სახელმძღვანელო | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 7.4.4:** დაცული ტერიტორიებისათვის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგის გეგმების შემუშავება ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის სისტემის ჩათვლით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მუდმივი და სრულყოფილი მონიტორინგისთვის აუცილებელია მონიტორინგის გეგმების შემუშავება, სადაც გაიწერება რა სიხშირით, სად და როგორ უნდა ხორციელდებოდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი. ასევე უნდა გაიწეროს თუ როგორ უნდა ხდებოდეს მოპოვებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი და უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნული მონაცემების ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- ყაზბეგის, ალგეთის, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკებისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისათვის შემუშავდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმები; დაცული ტერიტორიების ადმინსიტრაციების თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები;
- TJS–პროექტის ფარგლებში მომზადდა მონაცემთა ბაზა და გადამზადდნენ ჯავახეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები მონაცემთა ბაზის მართვის საკითხებში; მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება შერჩეული გადამფრენი და მობუდარი ფრინველებისთვის;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიასა და ზაქათალას ნაკრძალს შორის (აზერბაიჯანი) მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების (კერძოდ, მსხვილი ჩლიქოსნების) ტრანსსასაზღვრო მონიტორინგი;
- მაჭახელას და მტირალას ეროვნული პარკებისთვის მიმდინარეობს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინდიკატორების შემუშავება, დონორი: CNF;
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სიტემის გაუმჯობესებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ბორჯომის და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს SMART-სისტემის დანერგვა სატესტო რეჟიმში; დონორი: CNF.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მომზადებულია ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგის გეგმა 2 დაცული ტერიტორიისთვის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.4** დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.4.4.: დაცული ტერიტორიებისათვის ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგის გეგმების შემუშავება ტრანნსასაზღვრო მონიტორინგის სისტემის ჩათვლით |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:**<br>ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგის მომზადებული, სულ მცირე, 10 გეგმა (რომლებიც, სათანადო შემთხვევებში, მოიცავენ ტრანსსასაზღვრო მონიტორინგის საკითხებს) | **შესრულებული:**<br>მომზადებულია ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის მონიტორინგის გეგმა 2 დაცული ტერიტორიისთვის |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 7.4.5:** კანონაღსრულების პროცედურების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული სისტემის ჩამოყალიბება (მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაცულ ტერიტორიების მონიტორინგისა და დაცვის გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ინფორმაციის მონაცემთა ბაზის შექმნის, დანერგვის და გამოყენების მიზნით დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურის და ბუნებრივი რესურსების თანამშრომლებს ჩაუტარდათ SMART პროგრამის შესახებ ტრენინგი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - 2 დაცულ ტერიტორიაზე დაიწყო კანონაღსრულება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 7.4** დაცული ტერიტორიების მართვის სისტემის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 7.4.5.: კანონაღსრულების პროცედურების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული სისტემის ჩამოყალიბება (მონაცემთა აღრიცხვა და ანალიზი) |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| სულ მცირე, 4 დაცულ ტერიტორიაზე გამოცდილი თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული კანონაღსრულების პროცედურები | 2 დაცულ ტერიტორიაზე დაიწყო SMART-სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კანონაღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის (გზდ) შეფასება და რეკომენდაციების მომზადება მისი ინსტიტუტიცური გაძლიერების კუთხით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

სატყეო სექტორში მიმდინარე რეფორმების ფარგლებში, განხორციელდა ტყის მართვის ორგანოს - ეროვნულ სატყეო სააგენტოსგან სახელმწიფო კონტროლის ფუნქციის ჩამოშორება და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გაძლიერება ხე-ტყის ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად, კერძოდ: 2019 წლისთვის დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება 411-დან 870 ერთეულამდე გაიზარდა, გასამმაგდა გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფების (ეკიპაჟების) რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო ტერიტორიების სრულად დაფარვას და შედეგად, სამართალდარღვევათა პრევენციასა და შემაკავებელი გარემოს გაუმჯობესებას; განხორციელდა ეკიპაჟების აღჭურვა და გადამზადება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად განხორციელდა - შემუშავებულია ტყის მაკონტროლებელი ორგანოების შეფსების ანგარიში და მომზადებულია რეკომენდაციები ამ ორგანოების ოპტიმიზაციისთვის. ინსტიტუტციური ცვლილებების დანერგვა მიმდინარეობს ტყის მაკონტროლებელი ორგანოში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 8.3 ტყის პოლიტიკის, მართვისა და მაკონტროლებელი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.3.3.: ტყის მაკონტროლებელი ორგანოების შესაძლებლობათა შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ინსტიტუციური გაძლიერება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი); სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ტყის მაკონტროლებელი ორგანოების შეფასების ანგარიშის შემუშავება<br>რეკომენდაციები ტყის მაკონტროლებელი ორგანოების ოპტიმიზაციისთვის<br>განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებები | **შესრულებული:**<br>ანგარიში შემუშავებულია<br>რეკომენდაციები შემუშავებულია<br>ინსტიტუციური ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, განხორციელდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობათა გაძლიერება, მათ შორის, ხე-ტყის ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად:<br>გაიზარდა დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება (+ 459 ერთეულით).<br>გაიზარდა 24-საათიან რეჟიმში მომუშავე გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების რაოდენობა 32-დან 100-მდე. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 8.4 ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა

ამოცანა 8.4-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში უნდა განხორციელებულიყო 2 ქმედება - თუმცა საანგარიშო პერიოდში მოხდა მხოლოდ ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების დაგეგმვაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ მომზადდა ბორჯომისა და ბაკურიანის ტერიტორიებზე ტყეების რეკრეაციული მართვის შესახებ ანგარიში

⇒ ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ტყის მრავალფუნქციური გამოყენების პრაქტიკის დანერგვის ხელშესწყობა

⇒ იდენტიფიცირებულია ტურისტული ადგილები და პოტენციური ინფრასტრუქტურისა და ტურისტული სერვისების სახეები

⇒ ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა

8.4 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 8.4.1:** ტყეების მრავალფუნქციური პოტენციალის შეფასება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ტის ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით ტყის მრავალფუნქციური გამოყენების პოტენციალის შეფასება და კლასიფიცირება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელდა პროექტი ,,ტყის მრავალფუნქციური გამოყენების დანერგვა და პოპულარიზაცია ბორჯომის მუნიციპალიტეტში''. აღნიშნულის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ტყის მრავალფუნქციური გამოყენების პრაქტიკების, მათ შორის დანერგვის ხელშეწყობა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 8.4** ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.4.1.: ტყეების მრავალფუნქციური პოტენციალის შეფასება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შეფასებული, განსაზღვრული და კლასიფიცირებული ტყეები შემდეგი კატეგორიების მისედვით:<br>1. დაცული<br>2. დაცვითი<br>3. საკურორტო და რეკრეაციული<br>4. სამეურნეო | **შესრულებული:**<br>ბორჯომში განხორციელდა პროექტი, რომელმაც ხელი შეუწყო ტყის მრავალფუნქციური გამოყენების დანერგვას. |

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 8.4.2:** საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოს ტყეებში ტურიზმის განვითარება, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება/გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

დონორის (UNDP/BIOFIN) დახმარებით მომზადდა ბორჯომისა და ბაკურიანის ტერიტორიებზე ტყეების რეკრეაციული მართვის შესახებ ანგარიში. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულია ტურისტული ადგილები და პოტენციური ინფრასტრუქტურისა და ტურისტული სერვისების სახეები, აგრეთვე მათი განვითარების სამოქმედო გეგმა. დამატებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ფართობზე მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა. 2020 წელს იგეგმება მსგავსი კვლევების ჩატარება სხვა რეგიონებშიც და ეტაპობრივად ინფრასტრუქტურის განვითარება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 8.4** ტყის ეკოსისტემის მომსახურების გამოყენების ხელშეწყობა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.4.2.: საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
|---|---|
| განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა | მომზადდა ბორჯომისა და ბაკურიანის ტერიტორიებზე ტყეების რეკრეაციული მართვის შესახებ ანგარიში<br>სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ფართობზე მოეწყო ტურისტული ინფრასტურქტურა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულებების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 8.5-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 4 ქმედება - გადაიდგა პირველი ნაბიჯები სატყეო სექტორის მაკონტროლებელი ორგანეობის დასაქმებულთა მომზადება/გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებისკენ, მიმდინარეობს სატყეო კომპონენტის დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იგეგმება თანამშრომლობის გაძლიერება სატყეო დარგში არსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით და მიმდინარეობს მუშაობა სატყეო თემებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიებზე. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ გაიწერა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთა კომპეტენციები და შემუშავდა გადამზადების სქემა

⇒ მომზადებულია სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი

⇒ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო აგრარული უნივერსიტეტი ტყის ეროვნული აღრიცხვის პროექტის ფარგლებში ახორციელებენ ხის ნაბურღი ნიმუშების ანალიზს

8.5 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 8.5.1:** სატყეო სექტორში დასაქმებულთა მომზადება/გადამზადების უწყვეტი სისტემის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია სატყეო სექტორში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, რაც ტყის მართვის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაიწერა გზდ-ს თანამშრომელთა კომპეტენციები და შემუშავდა გადამზადების სქემა;

მომზადებულია საბაზისო მოდული ტყის მართვის მიმართულებით. დაგეგმილია ერთიანი დოკუმენტის მომზადება უწყვეტი სისტემის დასანერგად;

2019 წლის მაისი-ივნისის განმავლობაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელდა 2-დღიანი ტრენინგების კურსი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთათვის (სულ 10 ჯგუფისთვის), რომლის ფარგლებში დატრენინგდა ახლადმიღებული 150 თანამშრომელი. ტრენინგებს უძღვებოდნენ დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც გადამზადებულნი იყვნენ ტრენერებად, 2020 წლისათვის დაიგეგმა კიდევ 350 თანამშრომლის გადამზადება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის ჩამოყალიბებულია მუდმივი გადამზადების სიტემის შესახებ რეკომენდაციები. ასევე მომზადებულია საბაზისო მოდული ტყის მართვის მიმართულებით. მიმდინარეობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომელთა სწავლება.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.5.1.: სატყეო სექტორში დასაქმებულთა მომზადება/გადამზადების უწყვეტი სისტემის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი); სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ჩამოყალიბებული ტრეინინგების სქემა და ტრენინგ მოდულები გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებებისათვის | **შესრულებული:**<br>ჩამოყალიბებულია მუდმივი გადამზადების სიტემის შესახებ რეკომენდაციები. მომზადებულია საბაზისო მოდული ტყის მართვის მიმართულებით |

| | |
|---|---|
| დატრენინგებული ყველა ახალი თანამშრომელი სამუშაოს დაწყების თავდაპირველ ეტაპზე | დატრენინგებულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ახლადმიღებული 150 თანამშრომელი. დაგეგმილია 300-ზე მეტი ახალი თანამშრომლის გადამზადება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 8.5.2:** სკოლისა და სკოლამდელი ასაკის ჯგუფების, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშეწყობა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა სატყეო დარგში სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების გაუმჯობესების პროცესში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია განათლების სისტემის ყველა ეტაპზე სატყეო სასწავლო პროგრამების თანდათანობითი დანერგვა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მომზადებულია სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი, სასწავლო პროგრამა და დაიწყო სწავლება ქვეყნის კოლეჯებში (ახალციხე, ქობულეთი, კაჭრეთი, წინამძღვრიანთკარი), სატყეო სააგენტოს თანამშრომლები ჩართულნი არიან სწავლების პროცესში როგორც მასწავლებლები, ასევე გარკვეული რაოდენობა ეუფლება პროფესიას. მიმდინარეობს GIZ-თან ერთად პროგრამის დახვეწის პროცესი მომდევნო სასწავლო წლისათვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

უმეტესწილად შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.5.2.: სკოლისა და სკოლამდელი ასაკის ჯგუფების, უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელშეწყობა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა სატყეო დარგში სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების გაუმჯობესების პროცესში |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი), სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული რეკომენდაციები სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების გაუმჯობესებათსან დაკავშირებით სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედებული სატყეო დარგში სასწავლო მოდულები/კურიკულუმები | **შესრულებული:**<br>მომზადებულია სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი, სასწავლო პროგრამა და დაიწყო სწავლება ქვეყნის 4 კოლეჯში (ახალციხე, ქობულეთი, კაჭრეთი, წინამძღვრიანთკარი), სატყეო სააგენტოს თანამშრომლები ჩართულნი არიან სწავლების პროცესში როგორც მასწავლებლები, ასევე გარკვეული რაოდენობა ეუფლება პროფესიას. მიმდინარეობს GIZ-თან ერთად პროგრამის დახვეწის პროცესი მომდევნო სასწავლო წლისათვის |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 8.5.3:** სატყეო დარგში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ქვეყანაში არსებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებეულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება და საერთო პროექტების ორგანიზება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სატყეო სექტორში კვლევითი პოტენციალის გასაზრდელად, მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველო აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებთან. კონკრეტულად, 2019 წლიდან ტყის ეროვნული აღრიცხვის პროექტის ფარგლებში აქტიურად ახორციელებენ ხის ნაბურღი ნიმუშების ანალიზს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.5.3.: სატყეო დარგში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევების ორგანიზება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან<br>დაწყებული/განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო პროექტები/კვლევები | **შესრულებული:**<br>თანამშრომლობა მიმდიანრეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველო აგრარული უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტებთან. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 8.5.4:** ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის გაზრდა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, ასევე მათ გადასაჭრელად სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული ჯგუფებისთვის მიმდინარეობს ვებ-პორტალისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით. 2019 წელს მომზადდა სატყეო სექტორის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 8.5.4.: ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის გაზრდა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული და დანერგილი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ეფექტური მექანიზმები | **შესრულებული:**<br>ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული ჯგუფებისთვის მიმდინარეობს ვებ-პორტალისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით.<br>2019 წელს მომზადდა სატყეო სექტორის საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

# თავი 9: ნიადაგის დაცვა

თავი 9 - ნიადაგის დაცვა მოიცავს 2 ამოცანას. აქედან 2019 წელს მიმდინარეობდა 7 ქმედების განხორციელება. ამოცანები მიზნად ისახავენ მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირებასა და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენას, ასევე დეგრადირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

## ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა

ამოცანა 9.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 6 ქმედება - მიმდინარეობდა მუშაობა „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონზე და გადაიდგა ნაბიჯები მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად,. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ "ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტისთვის მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტი
⇒ შემუშავდა მიწის დეგრადაციის ეროვნული მიზნები
⇒ მომზადდა მიწების მდგრადი მართვის კონცეფცია
⇒ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაშენდა 6,5 კმ ქარსაფარი ზოლი
⇒ ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელდა საძოვრების აღდგენის საპილოტე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს 15 ჰა-ზე როტაციული ძოვების დანერგვას, საძოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მართვის გეგმების შემუშავებას
⇒ გარდაბნის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ნაკვეთმონაცვლეობითი თესლბრუნვის საპილოტე პროექტი 50 ჰა-ზე

9.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 9.1.1:** „ნიადაგის დაცვის შესახებ" კანონის პროექტის დასრულება/დასამტკიცებლად წარდგენა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი რამდენიმე სამართლებრივი აქტის არსებობის მიუხედავად, ნიადაგების მართვის კანონმდებლობა არასრულყოფილია. კერძოდ, კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის ასახული გაუდაბნოებასა ან/და ნიადაგის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ჩატარდება ისეთი კერძო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების მონიტორინგი, რომლებიც შესაძლოა დაბინძურებული იყოს; ასევე არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც სრულფასოვნად უზრუნველყოფს ნიადაგის დაცვას დაბინძურებისაგან. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ნიადაგის დაცვის ღონისძიებები. ნიადაგების მართვის სფეროს მთავარი სამართლებრივი აქტები - 1994 წლის კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და 2003 წლის კანონი “ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ” - შემუშავდა განსხვავებული პოლიტიკური, ფინანსური და ინსტიტუციური გარემოს გათვალისწინებით, შესაბამისად, ისინი მოძველებულია და სათანადოდ ვერ ასახავს არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, ხარვეზების გამოსასწორებლად და არსებული თუ სამომავლო გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია საერთაშორისო მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რა მიზნითაც დაიგეგმა "ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2018 წელს მომზადდა "ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი. კანონის პროექტი აერთიანებს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონებს. გასწორდა კანონებში არსებული ტერმინები. აღნიშნული კანონის პროექტის მიღებით სახელმწიფო დაწესებულებებსა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს/მფლობელს შორის მკაფიოდ გაიმიჯნება ნიადაგის დაცვის სფეროში უფლება-მოვალეობები. ნიადაგური საფარის დაცვის მიზნით, კანონის პროექტი ითვალისწინებს მონიტორინგის სისტემის შექმნას, როგორც ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლებზე, ასევე ნიადაგის დაბინძურებაზე. სამეწარმეო ან და სხვა საქმიანობის განხორციელებისას გამკაცრდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენების მართვის მექანიზმები და რეგულირდება ნიადაგის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები.

2019 წელს "ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტისთვის მომზადდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტი. კანონის პროექტი წარდგენილი იქნება საქართველოს პარლამენტში 2020 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.1.: „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის დასრულება/დასამტკიცებლად წარდგენა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** დამტკიცებული კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ | **შესრულებული:** მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის და რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტი. |
| ბიუჯეტი | |
| **საპროგნოზო: -** | **ფაქტობრივი: -** |

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td></td><td>X</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>

- **ქმედება 9.1.2:** მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად: ა) ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით; ბ) ეროვნული მიზნების განსაზღვრა მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად; გ) მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> 2015 წლის სექტემბერში გლობალურმა საზოგადოებამ დაამტკიცა "მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი " და მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG). მიზანი 15 მოუწოდებს ქვეყნებს, რომ დაიცვან, აღადგინონ და ხელი შეუწყონ ხმელეთის ეკოსისტემების მდგრად გამოყენებას, ტყის მდგრად მართვას, გაუდაბნოებასთან ბრძოლას და შეაჩერონ მიწის დეგრადაცია და ბიომრავალფეროვნების კარგვა. 15.3 ამოცანაა "გაუდაბნოებასთან ბრძოლა, დეგრადირებული მიწების და ნიადაგების აღდგენა მათ შორის გაუდაბნოებული, გვალვისა და წყალდიდობების გავლენის ქვეშ მყოფი მიწები, რათა 2030 წლამდე მსოფლიომ მიაღწიოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალურ ბალანსს. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისათვის გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ

შემუშავებულ იქნა ახალი მიდგომა „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსი“, რომელიც წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დროსაც, ჯანსაღი და პროდუქტიული მიწის რესურსების ფართობები, რომელიც საჭიროა ეკოსისტემური სერვისების ხელშეწყობისთვის, სტაბილურია ან იზრდება განსაზღვრული დროისა და სივრცით ფარგლებში. გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციისა და გლობალური მექანიზმის (კონვენციის ფინანსური მექანიზმი) მიერ შეიქმნა გლობალური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნებისთვის მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევისათვის ეროვნული მიზნების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობას. აღნიშნული პროგრამა ასევე ხორციელდება საქართველოში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაეროს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მოწოდებული იქნა ინფორმაცია მიწის დაფარულობის, მიწის პროდუქტიულობის და მიწისზედა და მიწისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით. ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა მიწის დეგრადაციის ცხელი წერტილები და გამომწვევი მიზეზები ქვეყნის მასშტაბით;

მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სამუშაო ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნული ინდიკატორების, ცხელი წერტილებისა და დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის საფუძველზე შემუშავდა მიწის დეგრადაციის ეროვნული მიზნები:

1. დაახლოებით 1500 ჰა ტყის ფართობები იქნება გაშენებული; 7500 ჰა აღდგენილი და 60% ტყის ფართობისა იქნება მდგრადად მართული;
2. დაცული ტერიტორიის ფართობი გაიზრდება 12%-ით;
3. დეგრადირებული ფართობები იქნება აღდგენილი;
4. გაუმჯობესდება ირიგაციისა და დრენაჟის სისტემები.

მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება კონვენციის სამდივნოს მიერ დაგეგმილი იყო 2020 წლიდან, თუმცა გადაიდო დაფინანსების არ არსებობის გამო.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - მიღებულ იქნა ინფორმაცია მიწის დაფარულობის, მიწის პროდუქტიულობის და მიწისზედა და მიწისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით. ასევე, მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად განისაზღვრა

მიწის დეგრადაციის ეროვნული მიზნები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.2.: მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად: ა) ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება მიწის დეგრადაციიის |

| | |
|---|---|
| | ნეიტრალური ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით; ბ) ეროვნული მიზნების განსაზღვრა მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად; გ) მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ინფორმაცია ნიადაგსაფარის, ნიადაგის პროდუქტიულობის (საზომი ერთეული: წმინდა პირველადი პროდუქტიულობა) და მიწისზედა და მიწისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC)<br>მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად განსაზღვრული ეროვნული მიზნები<br>მიწის დეგრადაციიის ნეიტრალური ბალანსის დამტკიცებული ეროვნული სტრატეგია | **შესრულებული:**<br>მიღებულ იქნა ინფორმაცია მიწის დაფარულობის, მიწის პროდუქტიულობის და მიწისზედა და მიწისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000- 2015 წლების მონაცემებით<br><br>ეროვნული მიზნები განსაზღვრულია<br><br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო: -** | **ფაქტობრივი: -** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 9.1.3:** მიწების მდგრადი მართვის კონცეფციის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია მიწების მდგრადი მართვის ხედვის განსაზღვრა და თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უნდა აისახოს შესაბამის კონცეფციაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის: „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა საქართველოში" ფარგლებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით 2019 წელს მომზადდა მიწების

მდგრადი მართვის კონცეფცია, რომელიც მოწონებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება შესრულდა ნაწილობრივ-ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით 2019 წელს მომზადდა მიწების მდგრადი მართვის კონცეფცია, რომელიც მოწონებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.3.: მიწების მდგრადი მართვის კონცეფციის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული კონცეფცია ნიადაგების მდგრადი მართვის შესახებ | **შესრულებული:**<br>მომზადებულია მიწების მდგრადი მართვის კონცეფცია, რომელიც მოწონებულ იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 9.1.4:** ნიადაგების რეკულტივაციის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოსთვის ნიდაგების რეკულტივიზაციის მეთედოლოგიის შემუშავება და დამტკიცება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს დაიწყო მუშაობა ნიადაგის რეკულტივაციის მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით. მომზადებულია პირველადი ვერსია, თუმცა საქართველოს კანონის პროექტის „ნიადაგის დაცვის შესახებ“ მიღების შემდეგ აუცილებელი გახდება მეთოდოლოგიის გადამუშავება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**
ქმედება არ შესრულდა.
ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.4.: ნიადაგების რეკულტივაციის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ნიადაგების რეკულტივაციის დამტკიცებული მეთოდოლოგია | **შესრულებული:**<br>შემუშავებული ნიადაგების რეკულტივაციის მეთოდოლოგიის პირველადი ვერსია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 9.1.5:** სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული მეთოდების მოძიება და დაინტერესებული მხარეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ისტორიულად საქართველო აგრარული ქვეყანაა და განვითარებული იყო სხვადასხვა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებდა ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებებსაც. დღეისათვის არსებული პრაქტიკა მივიწყებულია.ფერმერების უმეტესობას არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საუკეთესო სასოფლო-სამეურენო პრაქტიკას და მიიღონ ინფორმაცია ისტორიული ტრადიციული ცოდნის შესახებ.

**განხორციელებული ღონისძიებები**
2019 წელს პროექტის: „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა საქართველოში" ფარგლებში:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაშენებულია 6,5 კმ ქარსაფარი ზოლი, რომელიც ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწებს დაიცავს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ასევე განხორციელდა თესლბრუნვის საპილოტე პროექტი. 100 ჰა ზე 21 ფერმერს უსასყიდლოდ გადაეცა ბარდისა და წიწიბურას თესლი და ჩაუტარდათ სწავლება მიწის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ყოველ წელს აღნიშნული ფერმერები თესავდნენ მხოლოდ ხორბალს. ბარდისა და წიწიბურის მონაცვლეობით 1ჰა-ზე მიღებული იქნება დაახლოებით 4000 დოლარამდე ეკონომიკური სარგებელი ფერმერისთვის. აღნიშნული საპილოტე პროექტი შერჩეულ იქნა როგორც მიწის მდგრადი მართვის ერთ-ერთ საუკეთესო საპილოტე პროექტად და წარდგენილი იქნა გაეროს კონვენციის გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ მხარეთა მე-14 კონფერენციაზე. გამოიცა პუბლიკაცია.

ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელდა საძოვრების აღდგენის საპილოტე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს 15 ჰა-ზე როტაციული ძოვების დანერგვას, საძოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და მართვის გეგმების შემუშავებას 300 ჰა-მდე სოფელ კასრისწყლის და 7 ჰა - მდე სოფელ შენაქოს საძოვრებისათვის. გარდაბნის მუნიციპალიტეტშიც ასევე გაშენდა 7კმ- მდე ქარსაფარი ზოლი წარმატებული ფერმერის კუთვნილ მიწის ფართობზე.

გარდაბანის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ნაკვეთმონაცვლეობითი თესლბრუნვის საპილოტე პროექტი 50 ჰა-ზე 6 ფერმერს უსასყიდლოდ გადაეცა იონჯის, სიმინდის, ესპარცეტის, შვრიისა და ბარდის თესლები, ასევე ორგანული სასუქი. ფერმერებმა მოსავლიანობის გაზრდის გარდა დამატებით მიიღეს საფურაჟე მასალა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - დედოფლისწყაროს, გარდაბანისა და ახმეტის მუნიცპალიტეტებში მიმდინარეობს გაუდაბრონების შემცირებაზე ორიენტირებული პროექტები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.5.: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული მეთოდების მოძიება და დაინტერესებული მხარეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული მიდგომების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>გაშენებულია ქარსაფარი ზოლები; განხორციელებულია მიწის მდგრადი მართვის საუკეთესო პრაქტიკის საპილოტე პროექტები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 9.1.6:** სიღნაღის მუნციციპალიტეტში დამლაშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეაბილიტაცია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> კახეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი ფართობებია დამლაშებული. დამლაშების შედეგად შემცირებულია ნიადაგის ნაყოფიერება, შესაბამისად შემცირებულია მოსავლიანობა. ქმედების მიზანია აღნიშნული სავარგულების რეაბილიტაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2018 წელს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით, საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, შემუშავდა დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ნაკვეთების მონაცვლეობასა და თესლბრუნვას. არსებული მეთოდოლოგია გადაეცათ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მსხვილ ფერმერებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შემუშავდა დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის დანერგვისთვის განისაზღვრა მომზადდა ხარჯთაღრიცხვა და დროითი ჩარჩოები. იმის გამო, რომ დამლაშებული ტერიტორიების აღდგენისთვის საჭირო ხარჯებმა გადააჭარბა პროექტის ფარგლებში გამოყოფილ დაფინანსებას, შეუძლებელი გახდა აღნიშნული ქმედების სრულად განხორციელება.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.1** მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.1.6.: სიღნაღის მუნციციპალიტეტში დამლაშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>რეაბილიტირებული ტერიტორიის ფართობი (ჰა) | **შესრულებული:**<br>შემუშავებული დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანა 9.2-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 1 ქმედება - მიმდინარეობდა საკანონმდებლო ბაზის მომზადება საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზრულად დასაჩვები კონცენტრაციების განსასაზღვრად. ამოცანა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ"

9.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 9.2.2:** საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველო–ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება გააუმჯობესოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის N 38/ნ ბრძანებით დადგენილი იყო ნიადაგის დაბინძურების სტანდარტები, რომელიც ეფუძვნებოდა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1987 წლის მეთოდურ მითითებებს. სტანდარტები ძალზედ მოძველებული იყო და ვერ ასახავდა დღეისთვის არსებულ რეალობას. ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასების მიზნით აუცილებელია ახალი სტანდარტების შემოღება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ". დადგენილების პროექტით განახლდება ნიადაგის მძიმე მეტალებით დაბინძურების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები. დადგინდება ნიადაგების დაცვის ჰიგიენური მოთხოვნები სხვადასხვა სახის საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი სამეურნეო- საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა და/ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ტექნიკური რეგლამენტი აგრეთვე განსაზღვრავს ნიადაგის ხარისხის კონტროლის წესს. დადგენილების პროექტი დამტკიცდება „ნიადაგის დაცვის შესახებ" კანონის პროექტის მიღების შემდეგ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ". დადგენილების პროექტი დამტკიცდება „ნიადაგის დაცვის შესახებ" კანონის პროექტის მიღების შემდეგ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 9.2** დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 9.2.2.: საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული ახალი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები | **შესრულებული:**<br>შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

# თავი 10: კლიმატის ცვლილება

თავი 10 - კლიმატის ცვლილება - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 13 ქმედებას. აქედან 2109 წელს მიმდინარეობდა ან იგეგმებოდა 12 ქმედების განხორციელება. ამოცანები მიზნად ისახავენ სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნას, ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდასა და კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებას.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

## ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა

ამოცანა 10.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 6 ქმედება - მიმდინარეობს მუშაობა „კლიმატი 2021-2030“ სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, შემუშავების პროცესშია „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, შემუშავდა „ეროვნულად მისაღები შემარბილებლი ქმედებების“ დოკუმენტები, და ამასთანავე, ბათუმსა და ქუთაისში დაწყებულია „მწვანე ქალაქის განვითარების პროგრამის“ განხორციელება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა 7 სამუშაო ჯგუფი
- ⇒ მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის პროექტი
- ⇒ მერების შეთანხმებას დაემატა ბაღდათის მუნიციპალიტეტი
- ⇒ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა ბათუმის „მდგრადი ურბანული გადაადგილების სამოქმედო გეგმა“
- ⇒ ბათუმის მუნიციპალიტეტში შეძენილ იქნა 40 ერთეული “ISUZU” წარმოების EURO-5 დიზელის საქალაქო ავტობუსი

10.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 10.1.1:** დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით „შესაძლებლობათა გაძლიერება დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიისთვის სუფთა ენერგიის 4 წლიანი პროგრამის" ფარგლებში განისაზღვრა საქართველოსთვის ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შეზღუდვის ტრაექტორია განსაზღვრულიყო 2030 წლისთვის.

დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია გულისხმობს ეკონომიკის სექტორებში ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნებია, ნარჩენების მართვა და სხვა. ინტეგრირებულ კომპლექსურ მიდგომას გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის. ამავდროულად, სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის განვითარების მიზნებსა და თავისებურებებს და ხელს უნდა უწყობდეს კერძო სექტორის განვითარებასა და სიღარიბის დონის შემცირებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2017 წელს მომზადებული დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია მზადდებოდა ეროვნულად განსაზღვრული სავარაუდო წვლილის (INDC) დოკუმენტთან ერთად. თუმცა მოგვიანებით კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა პანელმა (IPCC) შეაფასა ყველა ქვეყნიდან მიღებული INDC დოკუმენტები და გამოაქვეყნა ანგარიში, რომ ამ დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებები ვერ უზრუნველყოფდა პარიზის შეთანხმების განხორციელებას და რომ აუცილებელი იყო ახალი უფრო ამბიციური ვალდებულებების აღება. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ, დაიწყო განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მომზადება. აქედან გამომდინარე, დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის წინა ვერსიის დამტკიცება აუცილებლობას აღარ წამოადგენდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავდა დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, თუმცა გამომდინარე კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) რეკომენდაციებისა, საქართველომ განახორციელა ცვლილება და დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მომზადების პროცესი ჩაანაცვლა ეროვნულად განსაზღვრული წვლილის განახლებით და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მომზადებით.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.1.: დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>საკოორდინაციო კომიტეტის მიერ მოწონებული დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი | **შესრულებული:**<br>შემუშავდა დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, რომელიც საკოორდინაციო კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროებს მოდიფიცირებას |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | x | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | x | |

- **ქმედება 10.1.2:** „კლიმატი 2021-2030" სამოქმედო გეგმის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 მიზანია განისაზღვროს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შემამცირებელი კონკრეტული აქტივობები, აღნიშნულ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებები და ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ერთგვარ მექანიზმს, რითაც შესაძლებელია ეკონომიკური სექტორების მდგრად განვითარებას შეეწყოს ხელი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და ა.შ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა კლიმატის სამოქმედო გეგმის სექტორულ თავებზე, სამოქმედო გეგმა მოიცავს შვიდ სექტორს ესენია: 1. ელექტრო ენერგიის გენერაცია და გადაცემა; 2. სატყეო სექტორი; 3. სოფლის მეურნეობის სექტორი; 4. მრეწველობის სექტორი; 5. ტრანსპორტის სექტორი; 6. შენობების სექტორი; 7. ნარჩენების სექტორი. თითოეული თავზე მუშაობა მიმდინარეობდა პარალელურად, აღნიშნულისათვის შეიქმნა 7 სამუშაო ჯგუფი და თითოეული ჯგუფისთვის გამოყოფილი სექტორული ექსპერტით. მომზადებული თავების ნაწილი წარმოადგენს საბოლოო სამუშაო ვერსიას, ხოლო ნაწილის განხილვა ხდება სამუშაო ჯგუფებში ვალიდაციისთვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მომზადებულია სამოქმედო გეგმის 4 სექტორული თავის სამუშაო და 3 სექტორული თავის საბოლოო ვერსია.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 10.1** სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.2.: „კლიმატი 2021-2030" სამოქმედო გეგმის მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული სამოქმედო გეგმა "კლიმატი 2021-2030" | **შესრულებული:**<br>მომზადებულია სამოქმედო გეგმის 4 სექტორული თავის სამუშაო და 3 სექტორული თავის საბოლოო ვერსიები |
|---|---|
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 10.1.3:** „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილების 1/CP.20 მე-13 და მე-14 პარაგრაფების შესაბამისად საქართველომ 2015 წლის 25 სექტემბერს წარადგინა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი "წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილი." აღნიშნული დოკუმენტით ქვეყანამ აიღო ვალდებულება შეზღუდოს თავისი ემისიები 2030 წლისთვის საკუთარი ძალებით 15%-ით ხოლო საერთაშორისო დახმარების შემთხვევაში 25%-ით ტრადიციული ბიზნეს სცენარით გაანგარიშებულ მაჩვენებელთან შედარებით.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის 1/CP21 გადაწყვეტილების 24-ე პარაგრაფის შესაბამისად საქართველო გეგმავს გაანალიზოს „წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილის“ დოკუმენტი, და მის საფუძველზე შეიმუშავოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ (NDC) და წარადგინოს იგი UNFCCC-ის სამდივნოში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის პროექტი. დაგეგმილია დოკუმენტის პროექტის განხილვა მომიჯნავე სამინისტროებში და შემდგომ ფართო დაინტერესებულ მხარეებთან.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება უმეტესწილად შესრულდა. ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის პროექტი მომზადებულია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.3.: „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული “დოკუმენტის მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სისტემაში რეგისტრირებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი | **შესრულებული:**<br>„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის პროექტი მომზადებულია |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 10.1.4:** გრძელვადიანი, 2050 წლამდე პერიოდისთვის „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება“

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით ქვეყნები შეთანხმდნენ კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ხედვების ჩამოყალიბების საჭიროებაზე. ასევე, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგით მხარდაჭერილია აღნიშნული საკითხი. საქართველოს გრძელვადიანი 2050 წლამდე პერიოდისათვის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მომზადების მიზანია გაღრმავდეს კლიმატგონივრული ეკონომიკური განვითარების კურსი საქართველოში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2050 წლამდე პერიოდისათვის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება დაგეგმილია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Climate დახმარებით. ვინაიდან 2019 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა მთავრობის #629 დადგენილება, რომელიც

განსაზრვრავს ქვეყანაში ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების წესს, საჭირო

გახდა ახალი მოთხოვნებისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შეჯერება - ამიტომ პროექტის ჯგუფთან კონსულტაციით მიმდინარეობს მასალების გადამუშავება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2018-2021 წლები. ქმედება არ შესრულდა.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.4.: გრძელვადიანი, 2050 წლამდე პერიოდისთვის „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება“ |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გრძელვადიანი „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი“ მოწონებულია საკოორდინაციო კომიტეტის მიერ | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 10.1.6:** ევროკავშირის ინიციატივა "მერების შეთანხმების" ხელმომწერი ქალაქების მიერ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო მხარს უჭერს ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმების" განხორციელებას. ამ დროისთვის 23 მუნიციპალიტეტი არის შეთანხმების მხარე - აქედან 11-მა მუნიციპალიტეტმა დამატებით ხელი მოაწერა ინიციატივას „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკისთვის" (CoMCE). მათ აიღეს 2020 წლისთვის სათბურის აირების ემისიების 20 %-ით შემცირების ვალდებულება, რაც მეტია საბაზისო დონის – „ტრადიციული ბიზნესის“ სცენარით - განსაზღვრულ მნიშვნელობასთან შედარებით. სამინისტრო თანამშრომლობს სხვა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთანაც, რათა მათ CoMCE-

ის შესაბამისად აიღონ და განახორციელონ განახლებული ვალდებულებები სათბური გაზების გაფრქვევების შესამცირებლად.

საქართველოს მუნიციპალიტეტების „მერების შეთანხმებასთან“ მიერთების შედეგად ერთი მხრივ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია და გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს კლიმატის ცვლილების სფეროს ეროვნული მიზნების ასახვა ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში, ხოლო მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტების მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებით შემოთავაზებული მიზნები და საჭიროებები აისახა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ეროვნულ სტრატეგიებში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს ევროკავშირის ინიციატივა მერების შეთანხმებას დაემატა ბაღდათის მუნიციპალიტეტი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2020 წლები. ქმედება ნაწილობრივ შესრულდა. მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ დამტკიცდა 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 10.1** სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.6.: ევროკავშირის ინიციატივა "მერების შეთანხმების" ხელმომწერი ქალაქების მიერ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმები დამტკიცებული "მერების შეთანხმების" სამდივნოს მიერ | **შესრულებული:**<br>მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ დამტკიცდა 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 10.1.7:** ბათუმსა და ქუთაისში „მწვანე ქალაქების განვითარების პროგრამის“ განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> მიმდინარეობს პროექტი „მწვანე ქალაქები ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის (ISTBAR).” ასევე, მომზადდა პროექტი „მწვანე ქალაქები,” რომელიც დააფინანსა კლიმატის მწვანე ფონდმა. პროექტის განმახორციელებელი არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და იგი მოიცავს 9 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს.

აღნიშნული პროექტების მიზანია საქართველოს მსხვილ ქალაქებში დაინერგოს კლიმატგონივრული ტექნოლოგიები და გაუმჯობესდეს ურბანული სერვისები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა ბათუმის „მდგრადი ურბანული გადაადგილების სამოქმედო გეგმა“, რომელიც შემუშავდა UNDP-GEF „მწვანე ქალაქების“ ფარგლებში. აღნიშნული გეგმიდან ამ ეტაპზე განხორციელდა ან ხორციელდება

შემდეგი ღონისძიებები:

- შემცირდა ყოველდღიურად ქალაქის მიერ დამტკიცებულ სამარშრუტო ხაზებზე დაშვებული მირკოავტობუსების რაოდენობა 460 ერთეულიდან 250 ერთეულამდე;
- შეძენილ იქნა 40 ერთეული “ISUZU” წარმოების EURO-5 დიზელის საქალაქო ავტობუსი;
- 2020 წლის აპრილის თვეში ქალაქი მიიღებს ბელორუსული წარმოების 8 ერთეულ სრულიად ელექტრო საქალაქო ავტობუსს;
- ეტაპობრივად მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების სამარშრუტო ქსელის ოპტიმიზაცია „მდგრადი ურბანული გადაადგილების სამოქმედო გეგმაში“ შეთავაზებული სამარშრუტო ქსელის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით;
- ქალაქის ტერიტორიაზე ოპერირებადი ყველა მიკროავტობუსი აღიჭურვა GPS სისტემით, რათა მუნიციპალური ზედამხედველობის სააგენტომ, უკეთ შეძლოს მათ მიერ სანებართვო პირობების დაცვის და აღსრულების კონტროლი;
- თბილისის მოედანზე მოეწყო ფასიანი პარკირების ზონა და მგზავრთა გადასასხდომი კვანძი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით გაიზარდა პარკირების ნებართვის ყოველწლიური გადასახადი 40 ლარიდან 60 ლარამდე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედება ნაწილობრივ შესრულდა.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით

| ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.1.7.: ბათუმსა და ქუთაისში "მწვანე ქალაქების განვითარების პროგრამის" განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ბათუმსა და ქუთაისში „მწვანე ქალაქების განვითარების" პროგრამებით" გათვალისწინებული შედეგები: მწვანე საფარის ზრდა, კლიმატდამზოგი სატრანსპორტო სისტემის განვითარება, და სხვა პროცენტებში)<br>შემუშავებული:<br>მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი<br>სათბურის აირების ემისიების შემცირება ათასი ტონა CO2-ის ექვივალენტებში | **შესრულებული:**<br>ბათუმში მოხდა სატრანსპორტო ქსელის ოპტიმიზაცია - შემცირდა ყოველდღიურად ქალაქის მიერ დამტკიცებულ სამარშრუტო ხაზებზე დაშვებული მიკროავტობუსების რაოდენობა 40%-ით<br><br>დამტკიცდა ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების სამოქმედო გეგმა<br><br>არ არის მონაცემები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა

ამოცანა 10.2-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 3 ქმედება - ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფთხილების სისტემის დანერგვის მიზნით ეროვნულ დონეზე შემუშავდა ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ოპტიმიზებული სადამკვირვებლო ქსელის დიზაინი. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მოწყვლადობის დადგენის მიზნით მომზადდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის საადაპტაციო გეგმა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ მოხდა ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის მოთხოვნების შესწავლა და ეროვნულ დონეზე შემუშავდა ოპტიმიზებული სადამკვირვებლო ქსელის დიზაინი
- ⇒ შეფასდა არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური სადამვირებლო ქსელის ინსტიტუციური მოწყობა
- ⇒ დადგინდა სპეციფიკაციები ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოებისთვის
- ⇒ დაიწყო საფრთხეების შედგენისა და რისკის შეფასების მეთოდოლოგიების სტანდარტიზაცია
- ⇒ მომზადდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის საადაპტაციო გეგმა აგრომეტეოროლოგიური სადგურების და მობილური ველის აღჭურვილობისთვის

10.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 10.2.1:** ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი</u>: კლიმატის მწვანე ფონდის (27 მლნ აშშ დოლარის) და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (5 მლნ აშშ დოლარის) მიერ ფინანსდება პროექტი - „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში", პროექტის განხორციელების შედეგად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა და გაძლიერდება ამინდისა და ჰიდროლოგიური მოდელირების შესაძლებლობები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს მოხდა ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის მოთხოვნების შესწავლა და ეროვნულ დონეზე შემუშავდა ოპტიმიზებული სადამკვირვებლო ქსელის დიზაინი. შეფასდა ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ქსელების არსებული ინსტიტუციური მოწყობა. სპეციფიკაციები შედგენილია ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური აღჭურვილობისთვის,

აგრომეტეოროლოგიური სადგურების და მობილური ველის აღჭურვილობისთვის. დაიწყო

საფრთხეების შედგენისა და რისკის შეფასების მეთოდოლოგიების სტანდარტიზაცია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედების შესრულება დაწყებულია. ქმედება თანადაფინანსებულია კლიმატის მწვანე ფონდის მიერ 27 მლნ აშშ დოლარის ოდენობს გრანტით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ 5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტით და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით 38 მლნ აშშ დოლარით.

| **ამოცანა 10.2** ქვეყნის საადაპტციო პოტენციალის გაზრდა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.2.1.: ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
| გაუმჯობესებული ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ქსელი | არ შესრულდა |
| მომზადებული წყალომოვარდნების საფრთხისა და რისკის რუკები | არ შესრულდა |
| მომზადებული და ქვეყნის მასშტაბით დანერგილია ადრეული გაფრთხილების სისტემა | არ შესრულდა |
| განხორციელებული წყალმოვარდნებისგან დამცავი სტრუქტურული და არასტრუქტურული ღონისძიებები (მდინარეების ნაპირებზე გაბიონები, ქვაყრილები, მდინარეთა ჭალებში აგრო–ტყეები და სხვა) | არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 10.2.2:** კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მიზანია ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობის შეფასება, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი საჭიროებების განსაზღვრა და გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან ერთად, კლიმატის მწვანე ფონდისთვის დასაფინანსებლად მოამზადა ეროვნული ადაპტაციის გეგმის საპროექტო განაცხადი. ქმედების განხორციელების დაწყება იგეგმება 2020 წელს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2020 წლები. ქმედება არ შესრულებულა.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტციო პოტენციალის გაზრდა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.2.2.: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **ქმედება 10.2.3:** კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მოწყვლადობის დადგენა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების თანახმად, შავი ზღვის სანაპირო ზოლი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბაუნებრივი კატასტროფებით

მნიშვნელოვნად ზიანდება. შტორმული მოდენები, ნაპირის წარეცხვა და ზღვის დონის მატება სერიოზულ საფრთხეს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შავი ზღვის სანაპირო ზოლის საადაპტაციო გეგმა მომზადდა მსოფლიო ბანკის დახმარებით, სადაც შეფასებულია სანაპირო ზონის მოწყვლადობა და იდენტიფიცირებულია შესაბამისი საადაპტაცო ღონისძებები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება სრულად შესრულდა

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 10.2** ქვეყნის საადაპტციო პოტენციალის გაზრდა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.2.3.: კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მოწყვლადობის დადგენა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დადგენილი და პრიორიტიზირებული კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სანაპირო ზონის ადაპტაციის ღონისძიებები | **შესრულებული:**<br>დადგენილი და პრიორიტიზირებული კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სანაპირო ზონის ადაპტაციის ღონისძიებები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება

ამოცანა 10.3-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 3 ქმედება - შესრულდა კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულება. ასევე შემუშავების პროცესშია „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინება". ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მე–2 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი მომზადებულია და განთავსებულია გაეროს ჩარჩო კონვენციის ვებ–გვერდზე

⇒ „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინება" მომზადების პროცესში დასრულდა 3 თავის შემუშავება

⇒ საწყის ეტაპზეა კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩოს კონვენციისადმი საქართველოს მე-3 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის" მომზადება

10.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 10.3.1:** კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის" მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის მიზანია ინფორმაციის განახლება სათბური გაზების გაფრქვევების შესახებ და კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანგარისგების მიმართულებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მე–2 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი მომზადებულია და განთავსებულია გაეროს ჩარჩო კონვენციის ვებ–გვერდზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება სრულად შესრულდა.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.3.1.: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის" მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ–გვერდზე | **შესრულებული:**<br>კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ–გვერდზე |

| | |
|---|---|
| განთავსებულია საქართველოს მე–2 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი | განთავსებულია საქართველოს მე–2 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 10.3.2:** კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების" მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი</u>: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების მიზანია ინფორმაციის განახლება სათბური გაზების გაფრქვევებისა და ქვეყნის საადაპტაციო მდგომარეობის შესახებ და კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანგარისგების მიმართულებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინება" მომზადების პროცესშია, დასრულდა ეროვნული გარემოებების, მოწყვლადობისა და ადაპტაციის, გამოწვევების, ტექნოლოგიების გადაცემის თავები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედება უმეტესწილად შესრულდა.

ქმედება არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.3.2.: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების" მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ–გვერდზე განთავსებულია „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების" დოკუმენტი | **შესრულებული:**<br>მომზადებულია საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების: ეროვნული გარემოებების; მოწყვლადობისა და ადაპტაციის; გამოწვევების; ტექნოლოგიების გადაცემის თავები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 10.3.3:** კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩოს კონვენციისადმი საქართველოს მე-3 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის" მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების მიზანია ინფორმაციის განახლება სათბური გაზების გაფრქვევებისა და ქვეყნის საადაპტაციო მდგომარეობის შესახებ და კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანგარისგების მიმართულებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს მომზადდა საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა გაანალიზდეს მესამე ორწლიურ ანგარიშში, ამჟამად მიმდინარეობს პროექტის საიდენტიფიკაციო ფორმის მომზადება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2019-2021 წლები. ქმედების შესრულება არ დაწყებულა.

| ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 10.3.3.: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩოს კონვენციისადმი საქართველოს მე-3 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის" მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ–გვერდზე განთავსებულია საქართველოს მე–3 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

# თავი 11: ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა

თავი 11 - ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა - მოიცავს 1 ამოცანას და ჯამში 8 ქმედებას. აქედან 2019 წელს მიმდინარეობდა 7 ქმედების განხორციელება. ამოცანის მიზანია ბუნებრივი საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2019 წელს თავის ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 233,359 ლარი.

## ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა

ამოცანა 11.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 7 ქმედება - დაიწყო წყალდიდობებისა და წყალოვარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემის დანერგვა, მიმდინარეობს ქ. თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება, გრძელდება საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება, ყალიბდება გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა, ეტაპობრივად ფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელი და მიმდინარეობს ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ 3 მდინარის აუზში განხორციელდა საველე სამუშაოები წყალდიდობებისა და თოვლის ზვავების საფრთხეების რუკების მომზადების მიზნით
- ⇒ მომზადდა და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდა გაფრთხილებები საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში გაიცა 150 გაფრთხილება, მათ შორის საქართველოს სამხედრო გზაზე 60 გაფრთხილება გუდაური-კობის მონაკვეთზე მოსალოდნელი თოვლის ზვავების შესახებ
- ⇒ მომზადდა და დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდა 2019 წლის გაზაფხულის წყლდიდობების პროგნოზი
- ⇒ გამოიცა ქ. თბილისის ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკა
- ⇒ მომზადდა ქ.თბილისის გეოლოგიური საფრთხეების GIS მონაცემთ ბაზა
- ⇒ საქართველოს ყველა მხარეში განხორციელდა ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგი - შეფასებულია 1089 დასახლებული პუნქტი

⇒ გამოიცა ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი „საქართველოში 2018 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2019 წლისთვის“
⇒ მომზადდა 317 დასკვნა, სადაც შეფასებულია საცხოვრებელი სახლების, საკარმიდამო ნაკვეთების, ინფრასტრუქტურული ობიექტების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა
⇒ ჩატარდა რუსთავის და ლაგოდეხის ფურცლების საველე გეოლოგიური აგეგმვითი და კამერალური სამუშაოები
⇒ დამონტაჟდა და გაიმართა 6 ერთეული მეტეოროლოგიური და 6 ერთეული ჰიდროლოგიური სადგური
⇒ განხორციელდა ქაღალდზე არსებული ისტორიული და მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების 25 %-ის აციფვრა

11.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 233,359 ლარი

- **ქმედება 11.1.1:** წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: წყალდიდობები და წყალმოვარდნები საქართველოს თითქმის ყველა მდინარისთვის არის დამახასიათებელი, რომელსაც დიდი ეკონომიკური ზარალი მოაქვს და ხშირად ადამიანური მსხვერპლითაც მთავრდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღნიშნული სტიქიური მოვლენების რისკების ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიკაცია და აღნიშნული ზონებისთვის ამ რისკების შემცირებისა და მზადოფნის გეგმების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გაეროს განვითარების პროგრამასა და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შორის შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში მდინარეების სუფსა, ნატანებისა და კინტრიშის აუზების ფარგლებში განხორციელდა კამერალური და საველე სამუშაოები. დამუშავდა ისტორიული მონაცემები, მდინარეებზე გადაღებულ იქნა ჯამში 736 განივი კვეთი, რაც გამოყენებულ იქნება წყალდიდობების საფრთხეების რუკების მომზადებისათვის.

წყალდიდობის საფრთხეებისა და რიკსების რუკების მომზადების შედგომ შემუშავდება წყალდიდობის მართვის გეგმები მდინარეთა აუზების მიხედვით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედენა ნაწილობრივ შესრულდა - 3 მდინარის აუზისთვის დამუშავდა წყალდიდობების საფრთხეების რუკების შედგენისათვის საჭირო საველე და ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 24,000 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 100,000 ლარი (სააგენტოს სახსრები).

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.1.: წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემების დანერგვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
| წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი იდენტიფიცირებული ზონები | 3 მდინარის აუზისთვის დამუშავდა წყალდიდობების საფრთხეების რუკების შედგენისათვის საჭირო საველე და ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები |
| წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების შეფასებული რისკები | არ დაწყებულა |
| წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი ზონებისთვის წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შემცირებისა და მზადყოფნის მომზადებული გეგმა | არ დაწყებულა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 100,000 |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.2:** ქალაქ თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> საჭიროა ქ. თბილისში გეოლოგიური საფრთხეების ზონების იდენტიფიცირება, გეოლოგიური საფრთხეების შესახებ დეტალური მონაცემების შეგროვება და დედაქალაქის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის თანდათანობითი გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- გამოიცა ქ. თბილისის ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა და სხვა) ზონირების (დარაიონება) რუკა;
- გამოიცა გეოლოგიური ანგარიში - ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება;

- მომზადდა გეოლოგიური საფრთხეების GIS მონაცემთ ბაზა;
- მომზადდა გეოლოგიური საფრთხეების კატალოგი/კადასტრი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ქ. თბილისში გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირებას და დედაქალაქის საფრთხეების GIS რუკის შედგენას. საანგარიშო პერიოდში ქმედება სრულად შესრულდა - ქ. თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური პროცესები იდენტიფიცირებულია და მომზადებულია გეოლოგიურ საფრთხეების ზონირების GIS-რუკა, შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშით და კატალოგი/კადასტრით.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 192,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 10,456 ლარი.

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.2.: ქალაქ თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ქალაქ თბილისში იდენტიფიცირებული გეოლოგიური პროცესები<br><br>ქალაქ თბილისის საფრთხეების ზონირების GIS რუკა | **შესრულებული:**<br>გამოიცა გეოლოგიური ანგარიში - ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო- გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება<br>ქ. თბილისის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებული გეოლოგიური საფრთხეები;<br>შექმნილი გეოლოგიური საფრთხეების GIS მონაცემთა ბაზა<br>გამოიცა ქ. თბილისის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკა<br>შექმნილი გეოლოგიური საფრთხეების კატალოგი/კადასტრი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 192 000 | **ფაქტობრივი:** 10,456 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.3:** საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს ერთიანი, გეოლოგიური საფრთხეების ზონირებული GIS რუკების მომზადება, სადაც იდენტიფიცირებული იქნება გეოლოგიური პროცესები (როგორიცაა მეწყერი, ღვარცოფი, ქვაცვენა და ა.შ.) და ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ბუნებრივი კატასტროფების რისკების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- 2019 წელს, გეოლოგიური სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების შედეგად შეფასებულია 453 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 814 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა, სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით;
- სტიქიური გეოლოგიური (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) პროცესებისშეფასების მიზნით 2019 წელს საქართველოს ყველა მხარეში განხორციელდა ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგი - შეფასებულია 1089 დასახლებული პუნქტი;
- გამოიცა ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენი „საქართველოში 2018 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2019 წლისთვის";
- მხარეების მუნიციპალიტეტებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით შედგენილი იქნა 317 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
- პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში" (GCF, UNDP/SDC) ფარგლებში 2019 წელს 3 მდინარის აუზში (სუფსა, ნატანები, კინტრიში) განხორციელდა საფონდო (ისტორიული) გეოლოგიური მონაცემების დამუშავება, საველე გეოლოგიური კვლევები სტიქიური გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირების მიზნით და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება;
- მომზადდა 47 დასკვნა, სადაც შეფასებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების, საინჟინრო ნაგებობების, დაბაბული უბნების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა;
- ხელშეკრულების საფუძველზე (ფასიანი მომსახურება) ჩატარდა მიწის ნაკვეთების საკონსულტაციო გეოლოგიური კვლევები და მომზადდა 70 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
- მიმდინარეობდა გეოლოგიური საფრთხეების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და სხვა) მონაცემთა ბაზის შევსება და კადასტრების შედგენა;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ცხელი ხაზით" და 112-ით შემოსული იყო 67 ინფორმაცია, მოწოდებული ინფორმაციით სააგენტოს გეოლოგები ფორს- მაჟორულ ვითარებაში ახდენენ სიტუაციის შეფასებას და ადგილზე სახავენ გადაუდებელ პალიატიურ ღონისძიებებს, ხოლო შემდეგ სათანადო დასკვნებს უგზავნიან შესაბამის უწყებებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა საქართველოში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, და სხვ.) იდენტიფიცირებას, გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკების შემუშავებასა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შერბილებისა და პრევენციისთვის საჭირო ძირითადი მონაცემების მოპოვებას. საანგარიშო პერიოდში გაიზარდა დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები და მომზადდა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები, შესაბამისი რეკომენდაციებით.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2021 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 2 127 123 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 30,654 ლარი.

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.3.: საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:** | **შესრულებული:** |
| საქართველოში იდენტიფიცირებული გეოლოგიური პროცესები (მეწყერი, ღვარცოფი, და სხვ.); | შედგენილია მეწყრების, ღვარცოფების და კლდეზვავ/ქვათაცვენების კატალოგი/კადასტრი და მიმდინარეობს ინფორმციის შევსება |
| საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკა; | შედგენილია გეოლოგიური საფრთხეების განახლებული GIS მონაცემთა ბაზა, შედგენილია გეოლოგიური დასკვნები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების რეკომენდაციებით გამოცემულია ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური |
| ბუნებრივი კატასტროფების რისკების შერბილებისა და პრევენციისთვის საჭირო ძირითადი მონაცემები | ბიულეტენი „საქართველოში 2018 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2019 წლისთვის“ |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 30,654 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.4:** გეოლოგიური რუკების მომზადება (გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა)

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> საქართველოს მთლიანი გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს, მიმდინარეობდა საფონდო (ისტორიული) მასალის დამუშავება, საველე გეოლოგიური კვლევები და მიღებული ინფორმაციის კამერალური დამუშავება რუსთავის და ლაგოდეხის ფურცლების (K-38-XXII და K-38-XXIII) 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური რუკის და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშის მომზადების მიზნით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2019 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო რუსთავის და ლაგოდეხის ფურცლების (K-38-XXII და K-38-XXIII ) საველე გეოლოგიური აგეგმვითი და კამერალური სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა საველე გეოლოგიური აგეგმვითი და კამერალური სამუშაოები.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2021 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 390,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 3,443 ლარი.

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.4.: გეოლოგიური რუკების მომზადება (გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა) |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>გეოლოგიური აგეგმვა<br><br>საქართველოს გეოლოგიური GIS რუკა | **შესრულებული:**<br>2 მუნიციპალიტეტში ჩატარდა გეოლოგიური აგეგმვითი და კამერალური სამუშაოები<br>გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი გეოლოგიური GIS რუკებით გამოიცემა 2020 წელს |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** 3,443 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.5:** ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება ავტომატიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურების/საგუშაგოების რაოდენობის ზრდის საფუძველზე (იგეგმებოდა წელიწადში 20

სადგური/საგუშაგოს დამატება), რასაც უნდა გამოეწვია ადრეული გაფრთხილების სისტემის გაძლიერება და წყალდიდობების პროგნოზირების გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს დამონტაჟდა და გაიმართა 6 ერთეული მეტეოროლოგიური სადგური (გურჯაანი, გომბორი, თბილისი/ვარკეთილი, ყაზბეგი/მაღალმთიანი, ბახმარო, გორი) და 6 ერთეული ჰიდროლოგიური სადგური (არაგვი-ფასანაური, ოცხე-აბასთუმანი, ალაზანი-ჭიაური, ალაზანი-შაქრიანი, ალაზანი-ბირკიანი, სტორი-ლეჩური,);

გატარდა ღონისძიებები ქ. ქუთაისში მეტეოროლოგიური რადარის განსათავსებლად მაღლივი (23 მ) კოშკურის ასაშენებლად საჭირო ტენდერის გამოსაცხადებლად. სავარაუდოდ რადარი დამონტაჟდება 2020 წლის ბოლოს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - საანგარიშო პერიოდში განთავსდა 12 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2020 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 3, 500,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 88,806 ლარი.

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.5.: ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამონტაჟებული ავტომატიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოები (წელიწადში 20)<br>ადრეული შეტყობინების გაძლიერებული სისტემა, უფრო ზუსტი პროგნოზები, ამაღლებული ხარჯთეფექტიანობა | **შესრულებული:**<br>2019 წელს დამონტაჟდა 12 ერთეული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,500,000 | **ფაქტობრივი:** 88,806 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.6:** ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბება, რომელშიც თავმოყრილი იქნება არქივებში არსებული და თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერსებული მხარისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წელს განხორციელდა ქაღალდზე არსებული ისტორიული და მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების 25 %-ის აციფვრა;

2019 წელს მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილება ფასიანი მომსახურების წესებში ცვლილების შესახებ, რამაც გააუმჯობესა ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემებთან მომხმარებლების - განსაკუთრებით სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლების ხელმისაწვდომობა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ერთიანი არქივებში, ფურცელზე არსებული მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნვრეყოფას. საანგარიშო პერიოდში მოხდა ქაღალდის მატარებელზე არსებული ისტორიული/მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების ნაწილის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.6.: ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ისტორიული და თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზა<br>სისტემის ხელმისაწვდომობა | **შესრულებული:**<br>მოხდა ისტორიული და მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების 25 %-ის აციფვრა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 11.1.7:** გვალვის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია სრულყოფილი გვალვის ადრეული გაფრთხილების სისტემის ჩამოყალიბება და გამართვა, რაც უზრუნველყოფს გვლავის პროგნოზირებას მოკლევადიან, საშუალოვდიან და გრძელვდიან პერიოდებზე - ეს კი შაუსალებას მისცემს ქვეყანას დროულად მოახდინოს რეაგირება და დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

გვალვის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა განხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ სავარაუდოდ 2023 წლისთვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულება არ დაწყებულა.

| **ამოცანა 11.1** საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 11.1.7.: გვალვის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გაცემული გაფრთხილებები/რეკომენდაციების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | X | | | | |

# თავი 12: რადიაციული უსაფრთხოება

თავი 12 - რადიაციული უსაფრთხოება - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 8 ქმედებას. აქედან 2109 წელს მიმდინარეობდა 6 ქმედების განხორციელება. ამოცანების მიზანია ეროვნული ბირთვული და რადიციული უსაფრთხოების სფეროში ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესება, სექტორში უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება და საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

## ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება

ამოცანა 12.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - გაუმჯობესდა უსაფრთხოების ზომების რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ შემუშავდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) სამოქმედო გეგმა
⇒ განისაზღვრა იმ აპარატურის სია, რომელიც აუცილებელია კონდიცირებისთვის (გადაფუთვისათვის)
⇒ დაწყებულია მუშაობა რადიოლოგიური ლაბორატორიის საქართველოსთვის გადმოცემაზე
⇒ სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს გადმოეცა სპეციალიზებული ავტომანქანა რადიოაქტიური მასალების უსაფრთხოდ გადასაზიდად

12.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 12.1.3:** რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერება - როგორც აღნიშნული ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის, ისე ასეთი ადგილების კონტროლისა და მათზე არაავტორიზებული პირების მოხვედრის რისკის შემცირების კუთხით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- საანგარიშო პერიოდში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან (აესს) თანამშრომლობის ფარგლებში, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ, ექსპერტის შეფასების საფუძველზე, შეიმუშავა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) სამოქმედო გეგმა, მოპყრობის უსაფრთხოების სტანდარტის გასაუმჯობესებლად;
- განისაზღვრა იმ სამუშაო სივრცის ტექნიკური და ლოჯისტიკური დეტალები, სადაც უნდა გადაიფუთოს რადიოაქტიური წყაროები შემუშავებული გეგმის მიხედვით. განისაზღვრა, ასევე, იმ აპარატურის სია, რომელიც აუცილებელია კონდიცირებისთვის (გადაფუთვისათვის);
- აესს-თან თანამშრომლობის ფარგლებში, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიეწოდა, ასევე, რადიოაქტიური წყაროებისა და ნარჩენებისათვის განკუთვნილი ორი სატრანსპორტო და სამი შესანახი კონტეინერი;
- სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ აესს-ისგან მიიღო სხეულის რადიაციული კონტამინაციის პორტალი რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ტერიტორიაზე განსათავსებლად;
- ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში, ხორციელდება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად საქართველოსათვის რადიოლოგიური ლაბორატორიის გადმოცემას;
- საანგარიშო პერიოდში, ასევე, აშშ-ის ენერეგეტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, მოწოდებული იქნა სპეციალიზებული ავტომანქანა რადიოაქტიური მასალების უსაფრთხოდ გადასაზიდად. მანქანა სრულად არის აღჭურვილი უსაფრთხოების სისტემებით: მის შიგნით განლაგებულია გამა და ნეიტრონული დოზიმეტრები, მძღოლი დაცულია სპეციალური ტყვიის კედლით; მანქანაში განლაგებულია ვიდეოკამერები, საიდანაც ვიდეოსიგნალი მიეწოდება სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ოფისს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებას. საანაგარიშო პერიოდში დეტალურად განისაზღვრა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) დეტალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ლოჯისტიკური, ისე საჭირო აღჭურვილობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამავე მიზნით, გაუმჯობესდა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური შესაძლებლობები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.1.3.: რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ლოკაციებზე (საცავი და სამარხი) | **შესრულებული:**<br>შემუშავებულია რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) დეტალური სამოქმედო გეგმა. გაუმჯობესებულია ეროვნული ტექნიკური შესაძლებლობები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 12.1.4:** გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია გარემოს რადიაციული მონოტირინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს რეგიონებში არ ჩატარებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგს. საანგარიშო პერიოდში ქმედება არ განხოციელდა. ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2020 წლის ჩათვლით) განისაზღვრა 51,000 ლარით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 0 ლარი.

| ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული კანონმდებლობის გაუმჯობესება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.1.4.: გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა | **შესრულებული:**<br>არ განხორციელდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 51,000 | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში

ამოცანა 12.2-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - მიმდინარეობდა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ხორციელდებოდა ღონისძიებები რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავდაა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) სამოქმედო გეგმა
- ⇒ 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა ტრენინგები, საველე სწავლებები და სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა თემაზე

12.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 12.2.1:** რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების (ნარჩენების) უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს არამარტო შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, არამედ აუცილებელია, წყაროების გადამუშავება, რისთვისაც საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები ამჟამად არ არსებობს. აქედან გამომდინარე, იგეგმება რადიოაქტიური ნარჩენების კონდიცირების მცირე საწარმოს აშენება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- საანგარიშო პერიოდში, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან (აესს) თანამშრომლობის ფარგლებში, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ, უცხოელი ექსპერტის შეფასების საფუძველზე, შეიმუშავა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონდიცირების (გადაფუთვის) სამოქმედო გეგმა, მოპყრობის უსაფრთხოების სტანდარტის გასაუმჯობესებლად;
- განისაზღვრა იმ სამუშაო სივრცის ტექნიკური და ლოჯისტიკური დეტალები, სადაც უნდა გადაიფუთოს რადიოაქტიური წყაროები შემუშავებული გეგმის მიხედვით. განისაზღვრა;
- განისაზღვრა იმ აპარატურის სია, რომელიც აუცილებელია გადაფუთვისათვის.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობას, რომლის ინდიკატორადაც მითითებულია რადიოაქტიური ნარჩენების კონდიცირების მცირე საწარმოს აშენება. საანგარიშო პერიოდში დეტალურად განისაზღვრა სწორედ ამ საწარმოს მოწყობის (რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების გადასაფუთად) დეტალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ლოჯისტიკური, ისე საჭირო აღჭურვილობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 12.2** შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.2.1.: რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2017 – 31.12.2018 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>აშენებული რადიოაქტიური ნარჩენების კონდიცირების მცირე საწარმო | **შესრულებული:**<br>2019 წელს განისაზღვრა კონდიცირების საწარმოს დეტალური გეგმა და განისაზღვა, როგორც საჭირო ტექნიკური რესურსები, ისე ლოჯისტიკული ასპექტები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 12.2.2:** ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ტრენინგებით

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სექტორის გაძლიერების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ამ სექტორში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაა, რისთვისაც საჭიროა სხვადასხვა ტრენინგში და პროექტებში მონაწილეობა, რომ ქვეყანაში ეტაპობრივად დაინერგოს სექტორში მსოფლიოს მასშტაბით არსებული საუკეთესო მიდგომები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2019 წლის განმავლობაში, საქართველოში ჩატარდა ტრენინგები, საველე სწავლებები და სამუშაო შეხვედრები შემდეგ თემებზე:

- რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობა და გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები;
- ბირთვული უსაფრთხოების კულტურა პრაქტიკაში;
- ბირთვული გაუვრცელებლობა და ბირთვული მასალების აღრიცხვა და კონტროლი;
- ბირთვული უსაფრთხოება და ინციდენტებისა და ტრეფიკინგის მონაცემთა ბაზა;
- კრიმინალისტიკური შესაძლებლობების განვითარება;
- რადიოაქტიური ნარჩენების მიღების კრიტერიუმენი.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტები მონაწილეობდნენ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, ევროკავშირის, აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტის, გერმანიის რეაქტორების დაცვის საზოგადოების ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში (სამეცნიერო ვიზიტი, სამუშაო შეხვედრა, ტრეინინგი).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ჩატარებასა და თანამშრომლების გადამზადებას. 2019 წელს საქართველოში ჩატარდა 5 ღონისძიება; სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვა სახელმწიფოებში გამართულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებასსახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.2.2.: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ტრენინგებით |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა ტრენინგების რაოდენობა | **შესრულებული:**<br>2019 წელს, საქართველოში ჩატარდა 5 ღონისძიება (ტრენინგი, სამუშაო შეხვედრა, საველე სწავლება); სხვა სახელმწიფოებში ჩატარდა ამგვარი ათობით ღონისძიება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

## ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 12.3-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - მიმდინარეობდა კონსულტაციები ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავებისთვის. გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობდა ფართო საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

⇒ სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ გამართა 3 შეხვედრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. საკაძის მაცხოვრებლებისათვის, ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებლებისთვის მაიონებელი გამოსხივებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან დაკავშირებული რისკების თაობაზე

12.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 12.3.1:** ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განათლების სისტემის გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მიმდინარეობდა კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების მოდელზე შესათანხმებლად უსაფრთხოებაში კვალიფიკაციის, ტრენინგ-პროგრამებისა და სერტიფიცირების პროცედურებთან დაკავშირებით 2017 წელს შემუშავებული მოდელის მიხედვით. თუმცა, კონსულტაციების შედეგად გამოკვეთილი მზადყოფნისა და არსებული რესურსების ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული ქმედების განხორციელება შეჩერდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების განათლების სტრატეგიის დანერგვას. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა კონსულტაციები შემუშავებული მოდელის გარშემო პასუხისმგებელ უწყებებს შორის კონსესუსის მისაღწევად ოპტიმალურ ვერსიასთან დაკავშირებით. თუმცა ქმედების განხორციელება შეჩერდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 12.3** საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.3.1.: ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დანერგილი სტრატეგია | **შესრულებული:**<br>არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | X | |

- **ქმედება 12.3.2:** ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

<u>ქმედების მიზანი:</u> ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისგან დაცვის შესახებ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტომ გამართა 3 შეხვედრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. საყაძის მაცხოვრებლებისათვის, ასევე ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებლებისთვის მაიონებელი გამოსხივებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან დაკავშირებული რისკების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით. შეხვედრები გაიმართა როგორც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისე ქალაქ თბილისში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 12.3.2.: ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ |
| პასუხისმგებელი უწყება: | სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>ჩატარებული სემინარების და ტრენინგების რაოდენობა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის | **შესრულებული:**<br>ჩატარდა 3 შეხვედრა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. საყაძის მაცხოვრებლებისათვის, ასევე ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საქმიანობის განმახორციელებლებისთვის |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

# თავი 13: მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება

თავი 13 - მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება - მოიცავს 1 ამოცანას და ჯამში 7 ქმედებას. აქედან 2019 წელს მიმდინარეობდა 6 ქმედების განხორციელება. ამოცანის მიზანია მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ეროვნულ დონეზე ცოდნის ამაღლება.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

## ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე

ამოცანა 13.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 6 ქმედება - საწყის ეტაპზეა მწვანე ზრდის სტატეგიის შემუშავება, მიმდინარეობს „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის" (BIG-E) ვალდებულებების შესრულება, დაწყებულია დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების პროცესი და დამტკიცებულია ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2019 წლის განმავლობაში:

- ⇒ საქართველოს მომზადებული და წარგენილი აქვს BIG-E-ის 2017-2018 წლების ანგარიში
- ⇒ მოხდა 3 ქალაქის - თბილისი, ბათუმი და ქუთაისი - მცირე ზომის მყარი ნაწილაკების (მაგ. PM2.5 და PM10) შემცველი შემადგენლობის მოსახლეობაზე შეწონილი საშუალო წლიური დონის განსაზღვრა
- ⇒ დამტკიცდა საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა
- ⇒ შემუშავდა და დამტკიცდა განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმა

13.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2019 წელს სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 13.1.1:** მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც გაიწერება ქვეყნის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები.

**განხორციელებული ღონისძიებები**

როგორც ცნობილია, 2018 წელს მომზადდა ტექნიკური ანგარიში და გრძელვადიანი გათვლები სამი სექტორისთვის, კერძოდ - ტურიზმი, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა. ამასთან, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, დოკუმენტზე შემდგომი მუშაობა შეფერხდა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ EU4Environment-ის პროგრამაში. გამომდინარე იქიდან, რომ წინა ანგარიშის მიხედვით მიმდინარეობდა კონსულტაციები სტრატეგიის შემუშავების საკითხებზე, EU4Environment-ის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მწვანე ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით 2022 წლამდე, მას შემდეგ რაც დამტკიცდება მწვანე ზრდის კონცეფცია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

| **ამოცანა 13.1** მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 13.1.1.: მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული მწვანე ზრდის სტრატეგია შესაბამის დარგობრივ გეგმებში გათვალისწინებული სექტორული ღონისძიებები | **შესრულებული:**<br>მწვანე ზრდის სტრატეგია არ არის შემუშავებული სექტორული ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 13.1.3:** „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E) ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულების და ანგარიშგების კოორდინაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა მერვე კონფერენციამ, რომელიც 2016 წელს ბათუმში ჩატარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაციის საქმეში. საქართველომ, UNECE-ს წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მხარი დაუჭირა „მწვანე ეკონომიკის განვითარების პან-ევროპულ სტრატეგიულ ჩარჩოს“ და აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება, ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას და ამით წვლილი შეიტანოს „მდგრადი განვითარების მიზნების“ განხორციელებაში. „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E) ფარგლებში საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა ოთხი ქმედების განხორიელებაზე, კერძოდ: (1) საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება; (2) განათლება მდგრადი განვითარებისათვის - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება; (3) საქართველოში "მწვანე" მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პოპულარიზაცია და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა; (4) მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება. საქართველომ ასევე მზადყოფნა გამოთქვა UNECE-ის ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია BIG-E-ის განხორციელების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2016 წლიდან 2018 წლამდე საქართველოს ევალებოდა BIG-E-ის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომიისთვის წარდგენა. 2018 წლიდან ანგარიშგების ვადები შეიცვალა და ქვეყნებს ევალებთ ანგარიშის წარდგენა 2.5 წელიწადში ერთხელ. საქართველოს მომზადებული და წარგენილი აქვს 2017-2018 წლების ანგარიში, შესაბამისად, 2019-2020 წლების ანგარიში მომზადდება და გაიგზავნება 2021 წელს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედება შესრულდა სრულად საანგარიშო პერიოდისთვის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 13.1** მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 13.1.3.: „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E) ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულების და ანგარიშგების კოორდინაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ მომზადებული და წარდგენილი ანგარიშები | შესრულებული: საქართველოს მომზადებული და UNECE-სთვის წარდგენილი აქვს 2017-2018 წწ. ანგარიში |
|---|---|
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: - | ფაქტობრივი: - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 13.1.4:** დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: მდგრადი განვითარების მე-11 მიზნის მეექვსე ამოცანა მიზნად ისახავს დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში პასუხისმგებლობა აიღო აღნიშნული ამოცანის განხორციელებაზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

SDGs-ის 11.6 ამოცანის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით გაანგარიშებულ იქნა 11.6.2 ინდიკატორის 2018 წლის მონაცემი, რომელიც ეხება ქალაქებში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების (მაგ. PM2.5 და PM10) შემცველი შემადგენლობის მოსახლეობაზე შეწონილი საშუალო წლიური დონის განსაზღვრას. 2018 წლისთვის ინდიკატორის გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნა 3 ქალაქის - თბილისი, ბათუმი და ქუთაისი - მონაცემი:

- Exp SUM (PM10) - 38.86
- Exp SUM (PM2.5) - 18.91

2019 წლის მონაცემები გამოთვლილი იქნება 2020 წელს. 2020 წლისთვის ინდიკატორის გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნება 5 ქალაქის მონაცემი, კერძოდ, დაემატება ქ. რუსთავის და ქ. კასპის მონაცემები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა დიდ ქალაქებში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვასა და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის გზით. ქმედების შესრულების ვადაა 2017-2021 წლები. ქმედება საანგარიშო

პერიოდში შესაძლებელია, რომ ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: 11.6.1 ინდიკატორთან დაკავშირებით (რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობა წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან დახარისხებული ქალაქების მიხედვით) SDGs-ის ეროვნული მატრიცის წარმოების ფარგლებში გამოთვლილია 2015 წლის საბაზისო ინდიკატორი - 84%, რომელიც არის მიახლოებითი მონაცემი, ვინაიდან, ინდიკატორის წარმოებისთვის საჭირო არასრული მონაცემებიდან გამომდინარე, გამოითვალა მხოლოდ ნაგავსაყრელზე არსებული მუნიციპალური მყარი ნარჩენი (გერმანული მეთოდოლოგიით მოხდა სავარაუდო გაანგარიშება, თუ რა შესაძლო მუნიციპალური მყარი ნარჩენი წარმოიქმნება ქვეყანაში).

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

| **ამოცანა 13.1** მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 13.1.4.: დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო<br>გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შეგროვებული და კარგად მართული მუნიციპალური მყარი ნარჩენების რაოდენობა<br>ნარჩენების მართვის დანერგილი ეფექტიანი სისტემები<br>ქალაქებში გაუმჯობესებული ჰაერის ხარისხი | **შესრულებული:**<br>სავარაუდო მონაცემები - 84%<br>არ შესრულდა<br>საქართველოს სამი ქალაქის მიხედვით დათვლილია ჰაერში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შემცველი შემადგენლობის (PM2.5 და PM10) საშუალო წლიური დონე<br>(მოსახლეობაზე შეწონილი): 2018 წლის მონაცემები:<br>თბილისი:<br>PM10 Exp - 30.09<br>PM2.5 Exp - 15.07<br>ბათუმი:<br>PM10 Exp - 4.92<br>PM2.5Exp- 2.20<br>ქუთაისი:<br>PM10 Exp - 3.85<br>PM2.5Exp - 1.64<br>Exp SUM (PM10) - 38.86<br>Exp SUM (PM2.5) - 18.91 |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 13.1.5:** ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

<u>ქმედების მიზანი:</u> ქმედების მიზანია საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის დამტკიცებასა და ენერგოტევადი სექტორებისთვის ენერგოეფექტური ღონისძიებების განსაზღვრას. ქმედება შესრულდა ნაწილობრივ, კერძოდ მხოლოდ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

ქმედებას არ აქვს ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ნაწილობრივ ხორციელდება დონორი ორგანიზაციის გრანტით.

| **ამოცანა 13.1** მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 13.1.5.: ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ენერგოტევადი სექტორებისთვის განსაზღვრული ენერგოეფექტური ღონისძიებები | **შესრულებული:**<br>სამოქმედო გეგმა დამტკიცდა მიმდინარეობს ღონისძიებების განსაზღვრის პროცესი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **ქმედება 13.1.6:** განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების ხელშეწყობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება მიზნად ისახავს განახლებადი ენერგიის წყაროების ხელშეწყობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2019 წლის 3 ოქტომბერს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ითვალისწინებდა განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმის შემუშავებას და დამტკიცებას. ქმედება შესრულდა სრულად, კერძოდ დამტკიცდა სამოქმედო გეგმა.

ქმედებას არ აქვს ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება განხორციელდა დონორი ორგანიზაციის გრანტით.

| **ამოცანა 13.1** მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე | |
|---|---|
| ქმედების ნომერი და სახელწოდება | ქმედება 13.1.6.: განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების ხელშეწყობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2019 – 31.12.2019 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>შემუშავებული სამოქმედო გეგმა | **შესრულებული:**<br>სამოქმედო გეგმა შემუშავდა და დამტკიცდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** - | **ფაქტობრივი:** - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **ქმედება 13.1.7:** ენერგოეფექტრობისა და ენერგეტიკის მდგრადი განვითარების თანამედროვე მიდგომების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება მიზნად ისახავს ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

შემუშავებულია და დასამტკიცებლად წარდგენია შემდეგი კანონები : ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი და შენობების ენერგოეფეტიანობის შესახებ კანონი

დამტკიცდა შემდეგი კანონები და სამოქმედო გეგმები : განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი, ენერგოეფეტიანობის სამოქმედო გეგმა და განახლებადი ენერგიების სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მიმდინარეობს საკნონმდებლო ბაზის დახვეწა - საანგარიშ პერიოდში დამტკიცდ 1 და შემუშავებულ იქნა 2 კანონი მწვანე ეკონომიკის წახალისების მიზნით,.

ქმედებას არ აქვს ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება განხორციელდა დონორი ორგანიზაციის გრანტით.

<table>
<tr><td colspan="2">ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე</td></tr>
<tr><td>ქმედების ნომერი და სახელწოდება</td><td>ქმედება 13.1.7.: ენერგოეფექტრობისა და ენერგეტიკის მდგრადი განვითარების თანამედროვე მიდგომების დანერგვა</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი</td><td>01.01.2019 – 31.12.2019</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>გაუმჯობესებული საკანონმდებლო ბაზა<br><br>განხორციელებული სადემონსტრაციო პროექტების რაოდენობა</td><td>შესრულებული:<br>დამტკიცებულია 1 და შემუშაშევებულია 2 კანონი<br>1) ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი-2020 წლის 28 მაისიდან;<br>2) შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი - 2020 წლის 28 მაისიდან;<br>3) განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი დამტკიცდა პარლამენტის მიერ;<br>4) ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წწ. დამტკიცდა მთავრობის მიერ;<br>5) განახლებადი ენერგიების შესახებ სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებში დამტკიცდა სამინისტროს მიერ<br>6) კანონი ენერგო ეტიკეტირების შესახებ - პარლამენტმა მიიღო 2019 წლის დეკემბერში<br>7) განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ კანონი - 2019 წლის 26 დეკემბრიდან</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: -</td><td>ფაქტობრივი: -</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td>X</td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>